არასამთავრობოების „უზინოების სინდრომი“ და პარტიების ექვიანობა A3

შეტევათა სერია ჯარზე და დემოკრატიაზე A3

„ქვიშის კარიერის გენერლები“ თბილისში A7



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ორშაბათი, 22 ივლისი, 2002 წელი. №50

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

## „ცარიელ აუზში არ გადავხტები„

თამარ ხორბალაძე

*სანამ შაბათ-კვირას ქობულეთში შეკრებილი პარლამენტის ბიურო ასლან აბაშიძის სტუმრობას ელოდა, აჭარის ლიდერი გზად "24 საათს" ეცნობოდა. გაზეთში ამოკითხული განცხადებები, აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების განახლების პერსპექტივებთან დაკავშირებით, ასლან აბაშიძის გუშინდელი გამოსვლის მთავარ თემად იქცა.*

**"ნადარეიშვილი ამბობს, რომ თორმეტ დღეში საბრძოლო მოქმედებები დაიწყება. რას ვაკეთებ ამ დროს მე? ევერესტზე ასასვლელი ყველა ფერდობი დაკავებულია და მე მეუბნებიან, შენ უნდა დაიპყროო. თან საიდანაც ახვალ, იმ მხარეს დავბომბავთო",** – აღშფოთებას ვერ მალავდა გუშინ აბაშიძე და იმ პერიოდსაც იხსენებდა, როცა მის მიერ დაწყებული მოლაპარაკებების ფონზე (შარშან) აფხაზეთში შეიარაღებული ადამიანები გადაიყვანეს, ხოლო ერთ-ერთმა გუბერნატორმა (გვარს არ დავასახელებ და თემურ შაშიაშვილმა) საბრძოლო მოქმედებების მუქარაც გაახმოვანა.

მოკლედ, ბატონი ასლანი ისევ იმაზე საუბრობს, რომ მას აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში ხელს უშლიან. ხშირად ავლებს სხვადასხვაგვარ პარალელს აფხაზეთსა და აჭარას შორის და აფხაზეთის კონფლიქტში პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსს აშკარად ვერ ელევა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მთავრობა სამოთხეში



კოდორის ხეობა მათი სახლი და ციხე-სიმაგრეა

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ზაზა ფაჩუაშვილი

*კოდორის ხეობაში პრეზიდენტის სადღეგრძელოს ღვინით სვამენ, მთავრობის მადლიერები არიან და რწმუნებულსაც დიდად აქებენ. გუშინ მთავრობის დიდი ნაწილი, სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძის მეთაურობით, კიდევ ერთხელ ჩავიდა ამ სამოთხეში და "ცოცხალი" თათბირი ჩაატარა. დელეგაციაში იყვნენ: რწმუნებულები - კვიციანი და შაშიაშვილი; მინისტრები: ფინანსთა - გოგიაშვილი, ენერგეტიკის - მირცხულავა, ჯანდაცვის - გამყრელიძე, აფხაზეთის ჯანდაცვის - ბერია, განათლების - კარტოზია, საგანგებო საქმეთა - კაკაბაძე, სოფლის მეურნეობის - კირვალიძე; აგრეთვე, თავდაცვის სამინისტროს, ცეკავშირის და საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლები.*

### თათბირი

თათბირზე ყველაზე მწვავე პრობლემები განიხილეს, რომელთა შორის გზისა და უსაფრთხოების საკითხები პირველ ადგილზე დგას. მინისტრები დასახულ ამოცანებზე თავთავიანთ უწყებებში ჩამოყალიბდებიან და უახლოეს დღეებში სახელმწიფო მინისტრთან წინადადებებით წარდგებიან, რათა კოდორის ხეობა ზამთარს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს. თათბირს ესწრებოდა და აქტიურობდა ქალბატონი ვენერა ჩოფლიანი – გულრიფშის რაიონის "მოქკავშირის" თავმჯდომარე.

გაგრძელება A2 გვერდზე


აფხაზები კოდორში შესვლის უფლებას ითხოვენ A2

თავდაცვის მინისტრი ნიკოლოზ ჯანჯღავას ახალ თანამდებობას შესთავაზებს A3

ვის ქონებას იცავს რუსთავის მერი A4

ოჰეკი რუსეთს ომს უცხადებს A4

"პუტინომანია" - ემუქრება თუ არა რუსეთს პიროვნების ახალი კულტი A5

სახელმძღვანელოების "შავი" მბეჭდავები ცხელი სეზონისთვის მოემზადნენ A6

ნოვოსიბირსკელ ექიმებს "ფრანკენშტეინთან" ურთიერთობა ბრალდებათ A7

"რეალს" რივალდოს შეძენა სურს B4


### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | |
| ქუთაისი | 32 | |
| ბათუმი | 31 | |
| სოხუმი | 32 | |
| ფოთი | 32 | |
| თელავი | 30 | |
| ზუგდიდი | 33 | |
| გორი | 28 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2050 |
| ევრო | 2.2196 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4521 |
| რუბლი | 0.0699 |

## მიხაელ შუმახერის მეხუთე ტიტული




შუმახერის ხელში ყველაფერი რეაქტიულია

REUTERS

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო,

გწერთ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი. ამ თანამდებობაზე ვმუშაობ 1998 წლის აგვისტოდან და აქამდე არასოდეს მომიმართავს, მაგრამ ახლა, როგორც მოქალაქე და ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ამ დარგში არც თუ უცხო ადამიანი, თავს ვალდებულად მივიჩნევ, საქმის კურსში ჩაგაყენოთ იმის თაობაზე, თუ რაოდენ კრიტიკული მდგომარეობაა შექმნილი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში.

ბატონო პრეზიდენტო, როდესაც დამნიშნეთ ამ თანამდებობაზე, მიმაჩნდა, რომ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფერო გადამწყვეტ როლს შეასრულებდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და მთლიანად შევძლებდით ყველა იმ უპირატესობის გამოყენებას, რომელიც გაგვაჩნია ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობიდან და წინა ათწლეულებში შექმნილი პოტენციალიდან გამომდინარე. როცა მუშაობას ვიწყებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ აბრეშუმის გზის აღორძინების თქვენს მიერ წამოყენებული იდეა ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სფეროში, საქართველოს ეკონომიკურად შეძლებულ ქვეყნად აქცევდა.

დღეს მე იძულებული ვარ, მოგახსენოთ, რომ ჩემი იმედები გაცრუებულია და, რამდენიმე ადამიანის სიხარბის, კორუმპირებულობის და ღალატის გამო, საქართველო თავის ბოლო შანსსაც კარგავს. ჩემი ყველა მცდელობა, წინ აღვდგომოდი დარგში მიმდინარე ნეგატიურ პროცესებს, წააწყდა სწორედ ამ ადამიანების გააფთრებულ წინააღმდეგობას და დღეს იძულებული გავხდი, მომემართა თქვენთვის, როგორც ბოლო იმედისთვის, რათა შევაჩეროთ კორუფციისა და ძარცვის ის ტალღა, რომელიც საქართველოს ტოვებს თავისი სტრატეგიული დარგის გარეშე.

ამ სამი წლის განმავლობაში, პირადად მე, ყველაფერი ვიღონე იმისათვის, რათა არ დამეშვა საქართველოს ეროვნული სიმდიდრის განიავება-დატაცება. ხშირ შემთხვევაში ჩემი ძალისხმევა წარუმატებლად მთავრდებოდა პოლიტიკური მხარდაჭერის არარსებობის გამო. ჩემთვის ბოლო წვეთად იქცა საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწარმოს, "ინფოკომის" გროშებად გაყიდვა, რითაც საქართველოს ბიუჯეტმა რამდენიმე მილიონი იზარალა.

ყოველდღიურად იზრდება ხელისუფლების უმოქმედობით გამოწვეული კატასტროფული შედეგები. თუ ამ პროცესების შეჩერება არ მოხერხდა, მე ჩემს თანამდებობაზე დარჩენის მოტივაციას ვერ ვხედავ. უმორჩილესად გთხოვთ, მომისმინოთ მთავრობის სხდომაზე, რათა თქვენ და საქართველოს მთავრობას მივაწოდო ამომწურავი ინფორმაცია იმ მძიმე მდგომარეობის შესახებ, რაც სახეზეა კავშირგაბმულობის და ტრანსპორტის სფეროში და რასაც შეიძლება დარგის სრული განადგურება მოჰყვეს.

**პატივისცემით**
**გიორგი კარბელაშვილი**

## ჩვენი თავისუფლება და თავისუფლების ინსტიტუტი


ია ანთაძე
*რადიო „თავისუფლება„ სპეციალურად „24 საათისთვის„*


10 ივლისს, როდესაც უცნობმა პირებმა თავისუფლების ინსტიტუტი დაარბიეს, პირადად მე თბილისში არ ვიყავი. ეს ამბავი რომ გავიგე, პირველად საზოგადოების რეაქცია ვიკითხე და მითხრეს, რომ დარბევას რაიმე განსაკუთრებული პროტესტი არ მოჰყოლია. როდესაც თბილისში დაბრუნებულმა, დარბევის შემდეგ გადაღებული კადრები ვნახე, გამიკვირდა – ასე დაუნდობლად ნაცემი ადამიანები არც ცხოვრებაში მენახა, არც ფილმში და არც სიზმარში. ყველაზე მეტად კი იმან გამაოცა, რომ, თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, დღემდე საზოგადოება გაღიზიანებას გამოხატავს არა იმდენად დამრბევების, რამდენადაც – დარბეულების მიმართ. ვფიქრობ, რომ საზოგადოების ამგვარი რეაქცია არ შეიძლება იყოს ცუდი ან კარგი; ის შეიძლება იყოს ნიშანდობლივი. ამიტომ, მისი მიყურადება და განმარტება მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის, საზოგადოების თითოეული წევრისთვის.

გაგრძელება A8 გვერდზე

## „მამებისა და შვილების„ ბრძოლა ჩინურად

"თავისი ნებით ხელისუფლებას არავინ არასოდეს არ ტოვებს" – კომუნისტურ და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეს წესი ანბანურ ჭეშმარიტებად ითვლება. ლიდერი იქამდე რჩება ხელისუფლების სათავეში, სანამ არ მოკვდება ან სანამ არ გამოჩნდება ვინმე, ვინც დაამტკიცებს, რომ მასზე ძლიერია. როგორც წესი, ქვეყნის სტაბილურობაზე უარყოფითად მოქმედებს მოხუცი, ნაკლებად ქმედითუნარიანი ლიდერის ყოლაც და პრეტენდენტის მიერ თავისი უპირატესობის დამტკიცების მცდელობაც.

ჩინეთი ამ წესიდან, გარკვეულწილად, გამონაკლისს წარმოადგენდა. მართალია, პარტიის გენერალური მდივნები აქაც "სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს" იღუპებოდნენ, მაგრამ, უფრო ხშირად, ისინი მემკვიდრეს ტოვებდნენ. ასე მაგალითად, მაო ძედუნმა თავის მემკვიდრედ ხუა გუოფენი დატოვა, დენ სიაოპინი კი უფრო შორსაც წავიდა და არა მხოლოდ თავისი მემკვიდრე, არამედ მემკვიდრის მემკვიდრეც გამოაცხადა. ჩინეთის ეკონომიკური რეფორმების არქიტექტორის და ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკური მოღვაწის სურვილის მიხედვით, მისი მემკვიდრე ძიან ძემინი უნდა გამხდარიყო, რომელსაც 2002 წლის შემოდგომაზე ჰუ ჯინტაო შეცვლიდა.

გაგრძელება A5 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 სტილი B3 რეკლამა B4 სპორტი B5 სპორტი B6 კულტურა B7 ომბუდსმენი B8 სხვადასხვა

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილავს 1999 წლიდან ფუნქციონირებად ბაქო-სუფსას ნავთობსადენის, ასევე ძირითადი საექსპორტო მილსადენის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და გაზსადენ - ბაქო-თბილისი-ერზრუმის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რომლებიც 2004-2005 წლებში ამოქმედდებიან.

როგორც პრაიმ-ნიუსს უშიშროების მინისტრის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა უთხრა, უშიშროების საბჭოს ეგიდით ენერგოკორიდორთა უსაფრთხოებაზე მუშაობს უწყებათაშორისო ჯგუფი, რომლის ძალისხმევასაც ეფექტურად კოორდინირებს სამთავრობო დაცვის სპეციალური სამსახური.

მან აღნიშნა, რომ მოცემული თვალსაზრისით საქართველოს მეგობარი სახელმწიფოებიც ეხმარებიან.

ლაშა ნაცვლიშვილის თქმით, ერთხელ უკვე შედგა საქართველოს, აზერბაიჯანისა და უკრაინის ერთობლივი სწავლებები, რომლებზეც სწრაფი რეაგირების ძალები მილსადენთა დაცვის ღონისძიებებს ამუშავებდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 22 ივლისი გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გამოაცხადა.

როგორც პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო კანცელარიაში აცნობეს, ამ თარიღის არჩევა განპირობებულია იმით, რომ 1937 წლის 22 ივლისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ პაოლო იაშვილმა, რომლის დაბადებიდან 110 წლისთავი მიმდინარე წელს აღინიშნება.

ორშაბათს, მწერალთა სახლში ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალური დაფა გაიხსნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდი სამამულო ომის მონაწილეთა თბილისის კავშირი პოლიტიკურ მოძრაობათა პროგრამებს სწავლობენ, რათა მომავალ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში მხარდასაჭერ პარტიაზე ჩამოყალიბდნენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს აღნიშნული კავშირის თავმჯდომარემ, გადამდგარმა პოლკოვნიკმა ვასილ ჩალაძემ უთხრა, წინა არჩევნებზე ვეტერანთა უმრავლესობამ "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" დაუჭირა მხარი.

მან აღნიშნა, რომ სამი წლის წინ კავშირმა უშედეგოდ სცადა საკუთარი პარტიის ფორმირება.

დღეისათვის, თბილისში 6345 დიდი სამამულო ომის ვეტერანია. ამასთან, ჯერ კიდევ, 1991 წელს დედაქალაქში 36 ათასი ვეტერანი იყო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი საქართველოს" წარმომადგენლებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს რუსეთისა და საქართველოს ხელმძღვანელობისადმი მიმართვაზე, რაც სავიზო რეჟიმის გაუქმების მოთხოვნას ითვალისწინებს.

ამის შესახებ აცნობა პრაიმ-ნიუსს "ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარემ, პარტია "საქართველოს დემოკრატიული კავშირის" ლიდერმა ავთანდილ მარგიანმა.

მისი თქმით, მიმართვის ასლი რუსეთის პრეზიდენტს "ერთიანი საქართველოს" დელეგაციის ვიზიტისას უკვე გადაეცა, რომლებმაც რიგი შეხვედრები გამართეს ვლადიმირ პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან.

ხელმოწერების შეგროვება იმის დასტური უნდა გახდეს, რომ ქართველი ხალხი ამ ინიციატივას ემხრობა.

დღეისათვის უკვე 274 ათასი ხელმოწერა შეგროვდა და ეს პროცესი მიმდინარე წლის სექტემბრამდე გაგრძელდება, - აღნიშნა ავთანდილ მარგიანმა.

მისი თქმით, "ერთიანი საქართველო" ასევე, საქართველოს პრეზიდენტისადმი და პარლამენტის თავმჯდომარისადმი რუსეთთან ორმაგი მოქალაქეობის შემოღებისა და რუსული ენისათვის ეროვნებათაშორისო ურთიერთობის სტატუსის მინიჭების საკითხის დასმას აპირებს.

"ერთიანი საქართველო" 17 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, რომელთა ძირითადი მიზანია რუს ხალხთან დაახლოება ლოზუნგით "რუსეთი ჩვენი კეთილი მეზობელი, ნამდვილი მეგობარი და სულიერი ძმაა", - განაცხადა ავთანდილ მარგიანმა.

საქართველოსთან ცალმხრივი სავიზო რეჟიმი რუსეთმა გასული წლის დეკემბრიდან შემოიღო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

***თბილისი*** საქართველოსა და რუსეთს შორის ჩარჩო-ხელშეკრულების მზადების ფარგლებში მოსკოვში 24 ივლისს დაგეგმილი ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მორიგი - მეოთხე რაუნდი, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ყველაზე რთული იქნება. ამჯერად მხარეები საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის პრობლემის განხილვას ვარაუდობენ.

როგორც "ინტერ-პრესს" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა კახა სიხარულიძემ განუცხადა, საქართველოს და რუსეთის სახელმწიფო დელეგაციების მორიგ შეხვედრაზე ჩარჩო-ხელშეკრულების ფარგლებში ყველაზე რთულ პოლიტიკურ და სამხედრო საკითხთა ბლოკების განხილვა იგეგმება.

მისივე თქმით, ერთ-ერთ მთავარ საკითხად მოლაპარაკებათა მეოთხე რაუნდზე ახალქალაქსა და ბათუმში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის პრობლემა **იქნება** განხილული. . ***"ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** კრწანისის და იალღუჯას სამხედრო პოლიგონებზე ერთთვიან შეკრებაზე გაიწვიეს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში მონაწილეობის მსურველი სამასამდე რეზერვისტი, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან ჩამოიყვანეს.

თავდაცვის სამინისტროს სარდლობა ირწმუნება, რომ ორ დღეში მათ შეუერთდება კიდევ სამასამდე რეზერვისტი, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოდან ჩამოვლენ.

ერთი თვის მანძილზე ისინი საველე პირობებში იცხოვრებენ და სპეციალურ მომზადებას გაივლიან. ერთი თვის შემდეგ შეარჩევენ 400 ჯარისკაცს, რომლებიც შემდგომში ოფიციალურად ჩაერთვებიან წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში და მათ ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები სამი თვის მანძილზე ნატოს სტანდარტების დონეზე გაწვრთნიან.

ამერიკელების მიერ მომზადებულ ჯარისკაცებთან საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კონტრაქტებს გააფორმებს და მათ 400-800 ლარამდე ოდენობის ხელფასები დაენიშნებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები გაიმართება 25 ივლისს მოსკოვში, სადაც ქართული დელეგაცია გუდაუთაში რუსეთის სამხედრო ბაზის სრული ლიკვიდაციის შესახებ ოფიციალური დოკუმენტაციის წარმოდგენას მოითხოვს.

როგორც „მედია-ნიუსს" საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორმა კახა სიხარულიძემ უთხრა, ბაზის ლიკვიდაციის ოფიციალური დოკუმენტების დადასტურების შემდეგ, ქართული მხარე გუდაუთაში საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, საერთაშორისო ინსპექტირების ჩატარების საკითხს დააყენებს.

მისივე თქმით, ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით ქართული მხარის პოზიცია კვლავ უცვლელი რჩება და 14-წლიანი პერიოდის ნაცვლად ორივე ბაზის გასაყვანად 3 წლის ვადას სრულიად საკმარისად მიიჩნევს. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**თბილისი.** ქართული ჩაის ექსპორტის ხელშეწყობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სუბსიდიის გადასანაწილებლად შექმნილმა სატენდერო კომისიამ ფინანსთა სამინისტროში მუშაობა დაიწყო. სუბსიდიაზე პრეტენზიას 42 მსურველი აცხადებს.

ტენდერი ერთ ეტაპად, 42 ლოტად ტარდება. ერთი ლოტის ღირებულება 50.000 ლარია. ერთი საწარმოს მიერ მიღებული თანხა მილიონ ლარს არ უნდა აღემატებოდეს. კომისიამ ტენდერში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება გუშინ საღამოს დაასრულა. ტენდერის პირობების მიხედვით, განაცხადს სხვა ოფიციალურ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა ერთვოდეს ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანებებისა და ვადაგადაცილებული დავალიანებების შესახებ, აგრეთვე, ცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან ბიუჯეტის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებების შესახებ.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად დაფუძნებულ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს ჩაის დარგში მუშაობის გამოცდილება. ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციებს კომისია პაკეტების განხილვის შემდეგ დაასახელებს. სამი მილიონი ლარის სუბსიდია ჩაის ექსპორტის ხელშეწყობისათვის სახელმწიფომ გამოყო. **მედია-ნიუსი**..

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების (GR-EDS) სხდომაზე, რომელიც სექტემბერში იგეგმება, აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ევროსაბჭოს მხრიდან გაწეული სამუშაოს შესახებ სამდივნოს მიერ მომზადებულ დოკუმენტსა და აფხაზეთის პასპორტიზაციის საკითხებს განიხილავენ.

როგორც „მედია-ნიუსს" ევროსაბჭოში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ლანა ღოღობერიძემ უთხრა, სხდომაზე აფხაზეთის პარსპორტიზაციის საკითხის გატანას რუსეთის მხარე იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ განხილვას რუსეთზე ახალი სამონიტორინგო პროცედურის დაწყება არ მოჰყვება.

გარდა ამისა, ევროპის საბჭოში რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი ალექსანდრე ორლოვი ევროსაბჭოს პროქართულ ორიენტაციაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციის სამდივნოს მიერ მომზადებული დოკუმენტი მხოლოდ ქართულ ინტერესებს ითვალისწინებს.

ღოღობერიძის თქმით, აღნიშნულ დოკუმენტში მოყვანილი კონსტატაცია, რომ „აფხაზებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღება თითქმის შეუძლებელია", სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ამ თვალსაზრისით ქართული მხარის არაერთგზის შეთავაზებას აფხაზებისგან კეთილი ნების გამოხატვა არ მოჰყოლია. **მედია-ნიუსი**

# მთავრობა სამოთხეში

პირველი გვერდიდან



მთავრობის წევრები კოდორში

## პარტიის სახელით

თათბირის ბოლოს ადგილობრივმა მოძღვარმა მამა გიორგიმ სახელმწიფო მინისტრს სსრკ-ს დროინდელი სალაროს წიგნაკი გადასცა, სადაც მოსახლეობის მიერ ეკლესიის ასაშენებლად შეგროვებული თანხა იყო აღრიცხული და ფულის გაცოცხლება სთხოვა. ხეობაში ეკლესია არ ყოფილა და მოძღვარს მონასტრის მშენებლობა განუზრახავს. გოგიაშვილის გადაანგარიშებით 1700 ლარი გამოდიოდა.

**"ამის გამოტანა შეუძლებელია, მაგრამ ისე არ დაგტოვებთ და პარტიის სახელით 10000 ლარს შემოგწირავთო,"** – უთხრა მღვდელს ჯორბენაძემ.

სხვათა შორის, იმავე პარტიის სახელით ხეობაში სასკოლო სახელმძღვანელოებს და კლასგარეშე ლიტერატურასაც გააგზავნიან, კავშირგაბმულობის ძველ აპარატურასაც შეცვლიან, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ჯორბენაძის შემდეგი სიტყვებიდან გამომდინარე – **"გარდა იმისა, რომ სახელმწიფო მინისტრი გახლავართ, "მოქკავშირის" თავმჯდომარეც ვარ, პრეზიდენტი კი ამ ორგანიზაციის ლიდერია და ჩვენთვის სახელმწიფოსა და პარტიის ინტერესები - ორივე ერთია,"** - ყველაფერი, რაც ხეობაში გაკეთდება, თავისთავად პარტიის სახელს დაუკავშირდება.

ამ აზრის გახლდათ ქალბატონი ვენერა ჩოფლიანიც.

## ძმებო, ერთად ჩავეწეროთ "მოქკავშირშის" სიაში

ჯორბენაძე კოდორში პარტიის დასაფუძნებლად არ ჩასულა, მაგრამ თათბირის შემდეგ, გახარებულმა ქალბატონმა ვენერამ ხალხს "მოქკავშირში" გაწევრიანებისკენ მოუწოდა, აქაოდა, სანატრელი თავმჯდომარე გვყავსო. წინადადებას ოვაცია და პირველ მსურველთა ვინაობის დასახელება მოჰყვა. მანამდე "მოქკავშირს" თავად ემზარ კვიციანმაც არანაკლები რეკლამა გაუკეთა.

სხვებთან ერთად, მას სავსებით დაეთანხმა ქალბატონი ვენერაც.

## კოდორი და კვიციანი

ხალხმა თქვა, რომ ხეობის გმირი ვაჟკაცის, ემზარ კვიციანის შეურაცხყოფას არავის აპატიებს. კაცმა მშვიდობა დაამყარა, ხალხი შეარიგა და სურსათ-სანოვაგით მომარაგა, არაკაცები კი ლანძღავენო, - შეფოთავდნენ კოდორელები. ამიტომ ხალხმა ჯორბენაძეს იმ ადამიანების დასჯა მოსთხოვა, რომლებმაც კვიციანზე პასკვილი გამოაქვეყნეს.

**"ეს ადამიანები ხეობის და მთელი ერის მოღალატეები არიან,"** – ასეთი იყო საერთო დასკვნა.



გაუტეხელნი

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტოები

**"ან ისინი უნდა იყვნენ, ან მე,"** – ასეთი იყო კვიციანის განცხადება.

**"პირველად მესმის, მოვიკითხავთ, გავიგებთ,"** – ამშვიდებდა ხალხს ჯორბენაძე.

## ხალხი

ხალხი ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას მთავრობის მადლობით იწყებდა. ფქვილი, შაქარი, მარილი, მაკარონი და სამედიცინო მომსახურება (თავის წამლებიანად) უფასოა.

ძირითადი პრობლემა მშვიდობა და უგზოობა ყოფილა.

უხუცესთა საბჭოს წევრი ხალურ გურჩიანი: **"10 წელია, აღარ დადგინდა, რომ ხეობაში შეიარაღებული ვერავინ შემოიჭრება. ხალხი შეწუხებულია და ასე იქნება, სანამ აფხაზეთში არ შევალთ. ყოველ ღამე სულ ფიქრში და ლოდინშია ხალხი.**

**დანარჩენი, საკვების მხრივ რომ ვთქვათ, შედარებით უკეთესობაა აქ. შარშან ხომ შემოიტანეს ყველაფერი, ახლაც შემოიტანეს კიდევ, რაც დარჩენილი იყო. აგვისტოსთვისაც დაგეგმილია პროდუქტის შემოტანა. უკაცრავად და, ჭამის პრობლემა მოხსნილია."**

მეფუტკრე ოთარ მიქიანი: **"ძალიან კარგი ადგილია მეფუტკრეობისთვის, მაგრამ ინვენტარი არ არის. სახერხები განადგურებულია, თორემ ფიცარი რომ იყოს, სკას მე თვითონ გავაკეთებდი. ფუტკარს ვერ ვამრავლებ. ადრე 1200 ოჯახს ვუვლიდი, ახლა 120 მყავს. პრეზიდენტი იყო ჩამოსული, რა გიჭირთო. მინდოდა მეთქვა, მაგრამ მომერიდა. ხალხი იტყოდა, ფუტკარზე დაუწყო ლაპარაკიო."**

# აფხაზები კოდორში შესვლის უფლებას ითხოვენ

თამარ მჭედლიშვილი

***როგორც მოსალოდნელი იყო, ჭუბურხინჯში გამართული მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა რაიმე განსაკუთრებული შედეგებით არ დასრულებულა. ორი სამუშაო ჯგუფი უსაფრთხოებისა და დევნილთა დაბრუნების საკითხებზე ბჭობდა.***

აფხაზები კვლავ დაჟინებით ითხოვდნენ დალის ხეობიდან ქართველი მესაზღვრეების გაყვანას და ამის შემდგომ ორი აფხაზური საგუშაგოს გახსნას. თუმცა, მათი მოთხოვნა კვლავ მოთხოვნად რჩება, რადგან ხეობიდან ქართველი მესაზღვრეების გაყვანის აუცილებლობას საერთაშორისო ორგანიზაციები ნამდვილად ვერ ხედავენ.

შეხვედრაზე აფხაზური დელეგაცია მათი ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრით, სერგეი შამბათი და გენერალური შტაბის უფროსით ვლადიმერ არშბათი იყო წარმოდგენილი. ქართული მხრიდან კი შეხვედრაში განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვალერი ვაშაკიძე მონაწილეობდნენ.

როგორც განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლევან გერაძემ "24 საათს" განუცხადა, **"აფხაზებმა კიდევ ერთხელ მოითხოვეს კოდორის ხეობაში ორი საგუშაგოს გახსნა. ისინი ამ მოთხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ აფხაზურ მხარეს კოდორის ხეობიდან თავდსახმის საფრთხე ექმნება. ჩვენ მათ გარანტიები მივეცით და ავუხსენით, რომ ხეობიდან არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ". თავად განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა, მალხაზ კაკაბაძემ კი განაცხადა, რომ "საქართველო უპირობოდ ასრულებს და კვლავაც შეასრულებს მოსკოვის შეთანხმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს".**

მეორე სამუშაო ჯგუფი დევნილთა პრობლემებს განიხილავდა. როგორც ცნობილია, გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს ერთობლივმა მისიამ დევნილთა დაბრუნებისათვის რეკომენდაციები შეიმუშავა. თუმცა, ამ მხრივ კონკრეტული ნაბიჯები ჯერაც არ გადადგმულა. აქედან გამომდინარე, ქართულმა დელეგაციამ თხოვნით მიმართა გაეროს, რათა ხეობაში ექსპერტთა ჯგუფი ჩავიდეს და ადგილზე შეისწავლოს, როგორ სრულდება ეს რეკომენდაციები.

ლევან გერაძის თქმით, ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრა განცხადების მიღებით დასრულდა, რომლის შინაარსი მედიისათვის უკვე დღეს გახდება ცნობილი.

# „ცარიელ აუზში არ გადავხტები"

პირველი გვერდიდან

**"მე ცარიელ აუზში არ გადავხტები (ამ სიტყვებზე მთელმა ბიურომ ვახტანგ რჩეულიშვილს მიაპყრო მზერა, რომელმაც განაცხადა, რომ მსგავსი ქცევები მანაც მოიშალა)! მე შემიძლია, დღესვე მოვხსნა ჩემი კანდიდატურა, გამოვიდე ამ თამაშიდან და გამოვაქვეყნო მასალები, როგორ ეწინააღმდეგებიან საქართველოში აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას. ჩვენ გვაქვს დოკუმენტური ინფორმაცია, რომელიც შემაძრწუნებელია. ხალხი, რომელიც ვითომ იბრძვის პრობლემის დასარეგულირებლად, თავად არის პროცესის ხელშემწყობი. ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა..."** - განაუცხადა გუშინ აბაშიძემ პარლამენტარებს, რომლებმაც ჟურნალისტის პროფესია უცებ აითვისეს და აჭარის ლიდერს კითხვა კითხვაზე დააყარეს.

რუსეთის მიერ მიერ აფხაზეთის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების კომენტირებისას, აბაშიძე ისევ პრესას გადაწვდა, რომლის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ მის პრესკონფერენციას მოსკოვში, მათ შორის, "24 საათსაც," და განაცხადა: **"არ მითქვამს და როგორ შეიძლებოდა, მეთქვა, რომ ორმაგი მოქალაქეობა კარგია".** თუმცა, პარლამენტარებს იქვე შეახსენა, რომ **"ორმაგი მოქალაქეები,"** აფხაზეთს მიღმა, საქართველოშიც ბევრნი არიან. სავიზო რეჟიმიზე საუბრისას მან რეზო ადამიას საპარალმენტო გამოსვლა გაიხსენა და თქვა: **"რუსეთმა, უბრალოდ, დაგვასწრო".** მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტარ ადა მარშანიას შეკითხვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შემოღებულ გამარტივებულ სავიზო რეჟიმსაც შეეხებოდა, ამ საკითხს აჭარის ლიდერმა გვერდი აუარა. სამაგიეროდ, დააზუსტა, რომ იგი არ მოითხოვს ნადარეიშვილისა და სხვათა განთავისუფლებას თამდებობებიდან, უბრალოდ, მიიჩნევს, რომ "ლეგიტიმური ხელისუფლება" თბილისში არ უნდა არსებობდეს. ასეთ სიტუაციაში იგი, შეიძლება, სხვა უწყებად გადაკეთდეს, რომელიც "ლტოლვილებს მიემაგრება."

აფხაზეთის გარდა, გუშინ ასლან აბაშიძის გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აჭარისთვის გამოცხადებული ფაქტობრივი ბლოკადის გაპროტესტებაც გახდა: **"ამდენი გრანტი, ამდენი სახელმწიფო დახმარება, ამდენი ჰუმანიტარული დახმარება შემოვიდა საქართველოში. ერთი ცენტი მოგიციათ ჩვენთვის? ერთი კვადრატული მეტრი ასფალტი დაუგია ცენტრს აჭარაში? სახელმწიფოს გზა და ხიდები თუ აუშენებია? ვინ უნდა გააკეთოს ეს? საქართველოს ხელისუფლებამ რომ განაცხადა, "აი-თი-ესს" თუ არ შეუშვებთ, ჩოლოქზე დავაყენებთო, გაიგეთ თქვენ ეს? მე რომ ორი ბლოკი ჩავაგდე ჩოლოქზე, იარაღიანი ხალხი რომ არ შემოსულიყო, ქვეყანა დავაქციე და ახლა საბაჟოს თვითონ აკეთებენ?"**

**"ტვირთებს არ უშვებენ აჭარაშიო. დატვირთავენ გემზე და ფოთში მიაქვთ. ისე უვლიან გვერდს აჭარას, როგორც უცხო კუნძულს. ბლოკადაში გყავართ დღისით-მზისით და რაც მაქვს, ისიც მოგცეთ?"** - განაცხადა საბიუჯეტო დავასთან დაკავშირებით აჭარის ლიდერმა და ბიუროს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ **"მშვიდობა საქართველოში აჭარიდან წამოვიდა."**

და აი, აქ, მან კიდევ ერთხელ გაავლო პარალალი აჭარასა და აფხაზეთს შორის, როცა მიანიშნა: **"ისე იქცევიან, თითქოს საქართველოს ტერიტორია არ იყოს აჭარა. ამას ყველაფერს ხაზს უსვამენ აფხაზები. ამბობენ, რას უშვება ცენტრი აჭარას და რას უზამს აფხაზეთს, რომ დავბრუნდეთო?!"**

საბოლოოდ კი, აჭარის ლიდერს, რომელსაც "დისქავერის" ყურება ჰყვარებია, საქართველო ათტონიანი კამეჩების ჯოგს აგონებს: ათასი კამეჩი ათ ლომს თურმე იმიტომ ვერ უმკლავდება, რომ თავდასხმის ობიექტს გვერდით მდგომები გულგრილად უყურებენ, არ ეხმარებიან.

საინტერესოა, რომ ქობულეთური ბიუროს სტუმრებმა ეს ეპითეტი და ბევრი სხვა ლირიული თუ პოლიტიკური გადახვევა შესაშური მოთმინებითა და გამაღიზიანებელი დუმილით აიტანეს. შემაჯამებელ სიტყვაში მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარემ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ, როცა რეგიონიდან ასეთი სახის პრეტენზიები მოდის, მათი უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება. **"უნდა გაირკვეს, რაც სიმართლეა და შესაბამისი რეაქცია გაკეთდეს, ხოლო რაც სიმართლეს არ შეესაბამება, ისიც ცნობილი უნდა გახდეს",** – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. სხვა მხრივ კი, ქობულეთში პარლამენტის ბიუროსთან ასლან აბაშიძის სტუმრობამ "ექსცესების გარეშე" ჩაიარა. პარლამენტარებს კი, შეიძლება ითქვას, მეტისმეტად აკომპლექსებდათ ის ფაქტი, რომ თავის მხრივ ასლან აბაშიძის სტუმრად მიაჩნდათ თავი.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# არასამთავრობოების „უბიწოების სინდრომი" და პარტიების ექვიანობა

**ინტერვიუ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დირექტორთან გია ნოდიასთან**

ეკა კვესიტაძე

**- რამდენიმე დღის წინ, სასტუმრო "მეტეხში," ახალი პოლიტიკური გაერთიანებისა და სამოქალაქო სექტორის შეხვედრაზე, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი არ დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო სექტორს შორის ურთიერთობები ოფიციალურად უნდა გაფორმდეს. რისი შიში გაჩნდა არასამთავრობოებში?**

- საქართველოში არასამთავრობოებში გაბატონებულია აზრი, რომელსაც მე ვუწოდებდი "უბიწოების სინდრომს", რაც ნიშნავს, რომ არ უნდა გაეკარო პოლიტიკას, რადგან პოლიტიკა ბინძურია და არასამთავრობოები, შესაბამისად, აპოლიტიკურები უნდა იყვნენ. ეს არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი პოსტ-კომუნისტური სამყაროს პრობლემაა. ამ განწყობას ხანდახან ანტიპოლიტიკურ განწყობას უწოდებენ.

აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში. არასამთავრობოები არ ერიდებიან იმის თქმას, რომ ისინი გარკვეულ იდეოლოგიას და ღირებულებებს გამოხატავენ და, შესაბამისად, კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებს უჭერენ მხარს. ეს, ბუნებრივია, განპირობებულია იმითაც, რომ, ჩვენგან განსახვავებით, ამერიკაში პოლიტიკური პარტიები გარკვეული მყარი ღირებულებებისა და იდეოლოგიის მატარებლები არიან.

"მეტეხის" შეხვედრაზეც გამოჩნდა, რომ დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებს საკმაოდ ორჭოფული დამოკიდებულება აქვთ. ერთი მხრივ, ისინი მართლაც მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც კონკრეტული პრობლემების გარშემო მოხდა, სწორია და ეს ის საკითხებია, რომლებზეც არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ. მაგრამ, მეორე მხრივ, გაჩნდა თანდაყოლილი შიში, რომ პარტიებმა ისინი არ გახვიონ თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობაში და ამით ავტონომია და საკუთარი ნიშა არ დაკარგონ.

**- რამდენად რეალური და საფუძვილიანია ეს შიში?**

- თუ ამ პოლიტიკურ გაერთიანებას განვიხილავთ, როგორც კოალიციას, რომელიც მიმართულია სხვა პარტიების, ანუ პოლიტიკური მოთამაშეების წინააღმდეგ, მაშინ ეს შიში გამართლებულია.

თუმცა, თეორიულად, ისიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არ შეუშინდნენ იმის თქმას, რომ ისინი რომელიმე კონკრეტულ პარტიას უჭერენ მხარს, რადგან ამ პარტიას უფრო მეტად მიიჩნევენ დემოკრატიული ღირებულებების დამცველად, ვიდრე მის მოწინააღმდეგე სხვა პარტიებს.

სერბიაში არასამთავრობო ორგანიზაციებმა ძალინ დიდი როლი ითამაშეს მილოშევიჩის რეჟიმის დამარცხებაში. არასამთავრობოების მთელი კოალიცია შეიქმნა, რომლებიც აშკარად და დაუფარავად მუშაობდნენ მილოშევიჩის წინააღმდეგ და ეს უცნაურად და მიუღებლად არავის ალუქვამს.

მაგრამ საქართველოში, როგორც ჩანს, ასეთი სიტუაცია არ არის. არასამთავრობოების დიდი ნაწილი, შესაძლოა, ნეგატიურად არის განწყობილი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ არ ფიქრობს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ამ პარტიების ერთობლიობას მხარი უნდა დაუჭიროს. თვითონ ეს პარტიებიც არ ამბობენ, რომ მათ შექმნეს კოალიცია, რომელიც რომელიმე არჩევნებზე, შეიძლება, ერთიანად გამოვიდეს.

ყველაზე მთავარი, რისი გაკეთებაც აუცილებელია და შესაძლებელია პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობოების თანამშრომლობით, არის პოლიტიკაში იმ საერთო თამაშის წესებისა და სტანდარტების შემოღება, რომელიც დღემდე არ არსებობს. ჩვენში პოლიტიკური თამაშის ძირითადი წესები არ არის გარკვეული, არ არსებობს კონსესუსი არც პოლიტიკურ ელიტაში და არც საზოგადოებაში - რა შეიძლება და რა არ შეიძლება. ეს არის, ალბათ, ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა, რადგან ახლოვდება ძალაუფლების შეცვლის მომენტი. ყველა შევარდნაძის წასვლის მოლოდინშია და არ არსებობს იმის გარანტიები, რომ ძალაუფლების გადაცემა კანონიერების ფარგლებში მოხდება.

თითქოს იკვეთება ალტერნატივა: ერთი მხრივ, კვაზი-დემოკრატიული მოდელი, როდესაც შევარდნაძე თვითონ შეარჩევს თავის მემკვიდრეს და არჩევნებით მხოლოდ ამ მემკვიდრის ძალაუფლების ლეგიტიმაცია მოხდება, ანუ არ იქნება რეალური არჩევნები.

და მეორე, დესტაბილიზაცია - ხელისუფლება ვეღარ შეძლებს თავისი კანდიდატის გაყვანას, მაგრამ დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის იმდენად მწვავე ხასიათს მიიღებს და იმდენად ვერ ჩაჯდება კანონიერების ფარგლებში, რომ ეს ქვეყანაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს. ეს ორივე შესაძლებლობა ძალიან რეალურია.

**- რამდენად არის შესაძლებელი მესამე ალტერნეტივა, ანუ ის, რაზეც რამდენიმე დღის წინ "მეტეხში" შეკრებილი პოლიტიკოსები საუბრობდნენ, რომ პოლიტიკაში შემოიტანონ თამაშის ახალი წესები და სტანდარტები. ეს კი ნიშნავს, რომ არჩევნების წინ პოლიტიკურ პარტიებს თანაბარ პირობებში შეეძლოთ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენა. შეცვლილი გარემო რამდენად ბადებს ამ პოლიტიკოსებისათვის ამის საჭიროებას? პრინციპში, ამ გაერთიანებაში მყოფი არც ერთი სუბიექტი არ იტყოდა უარს კვაზი-დემოკრატიაზე, თუ ხელისუფლების ფავორიტი თავად აღმოჩნდებოდა.**


მარიკა ამურველაშვილის ფოტო

- ასეთი ეჭვი არის არასამთავრობოების ორჭოფობის მიზეზი. მეორე მხრივ კი, ვერც ერთი ეს პარტია ვერ გახდა ხელისუფლების ფავორიტი და რადგან არა ჰყავთ შეიარაღებული რაზმები, ისინი ვერც დესტაბილიზაციის გზით - ძალადობის გამოყენებით - შეძლებენ, მოვიდნენ ხელისუფლებაში. ამიტომ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მათ ინტერესში შედის, ასე თუ ისე მისაღებ, დემოკრატიული თამაშის, წესებზე შეთანხმდნენ. ეს, ამავე დროს, არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესშიცაა.

რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თამაშის წესებზე ეს პარტიები შეთანხმდნენ. მაგრამ თუ ხელისუფლებაზე მათ ამ კუთხით ზემოქმედება ვერ მოახდინეს, მაშინ მხოლოდ მათი შეთანხმება საკმარისი არ იქნება. ყოველ შემთხვევაში, თუ არანომენკლატურული პარტიების, ანუ "მოქალაქეთა კავშირისა" და "აღორძინების" გარდა, ყველა სხვა პარტია შეთანხმდა, ერთად იმოქმედონ, რათა თამაშის წესებიდან გადახვევა არ მოხდეს, მაშინ შანსიც არის, რომ ან აშკარად ავტოკრატიული, ან აშკარად დესტაბილიზაციის გზით ხელისუფლების შეცვლა თავიდან ავიცილოთ.

თუ პოლიტიკოსებსა და არასამთავრობოებს შორის შედგა მყარი თანამშრომლობა, მე, პირადად, არასამთავრობოების როლს ვხედავ იმაში, რომ შეიმუშაონ პოლიტიკური თამაშის წესების მოდელი.

ამასთან, არასამთავრობოებმა უნდა აწარმოონ მონიტორინგი, ვინ როგორ იცავს ამ წესებს, ანუ თავის თავზე აიღონ მსაჯულის ფუნქცია. ერთიც და მეორეც ძალიან რთულია, განსაკუთრებით - მეორე, რადგან პოლიტიკურ პარტიები, შეიძლება, არ ენდონ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ის, რომ ნდობის დეფიციტი არსებობს, კარგად გამოჩნდა გასული წლის შემოდგომაზე, როცა საარჩევნო კანონის მიღების დროს დადგა საკითხი, საარჩევნო კომისიები არასამთავრობოებს დაეკომპლექტებინათ. მაშინ გამოცხადდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ჟვანიასია და მხოლოდ მის ინტერესებში შედის საარჩევნო კომისიების სამოქალაქო სექტორით დაკომპლექტება. ეს განწყობილება ყოველთვის არსებობდა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში. ამიტომ ამის დაძლევა არასამთავრობო ორგანზაციებსაც სჭირდებათ და პოლიტიკოსებსაც.

**- "მეტეხის" შეხვედრაზე, ჟვანიას გარდა, სხვა პოლიტიკური ლიდერებიც იღებდნენ მონაწილეობას. პოლიტიკოსების უფრო ფართო სპექტრსა და არასამთავრობოებს შორის დაწყებული თანამშრომლობა ყველაზე ეფექტური ნაბიჯი ხომ არ არის საიმისოდ, რომ პოლიტიკურ ელიტაში ეს განწყობა შეიცვალოს?**

- ფაქტობრივად, წარმოდგენა, რომ არასამთავრობოები ჟვანიას ან სააკაშვილის ხალხია, შეიქმნა იმიტომ, რომ ერთიც და მეორეც აქტიურად მუშაობდა არასამთავრობო სექტორთან, დანარჩენი პარტიები ამას არც კი ცდილობდნენ.

"ახალმა მემარჯვენეებმა" სიტუაცია ცოტათი შეცვალეს, რადგან არსებობს "ახალი მოძრაობა", რომელიც მათთან ასოცირდება. ხალხი, რომელიც არ მალავს "მემარჯვენეების" მიმართ სიმპატიებს, საკმაოდ აქტიურია არასამთავრობო სექტორში.

არის, ეგრეთ წოდებული, "მამალაძის არასამთავრობოებიც", მაგრამ იქ უფრო რთულადაა საქმე. ისინი აშკარად იმ მიზნით შეიქმნენ, რომ პოლიტიკური საპირწონე გამხდარიყვნენ და როგორც არასამთავრობოები, თავიანთი საქმიანობით ნაკლებად არიან ცნობილნი. ამიტომ, არასამთავრობო გარემოში მათი მიღება საკმაოდ გაჭირდება.

**- არასამთავრობოებისა და პოლიტიკოსების მომავალი შეხვედრის კონკრეტული მიზანი რელიგიური საკითხები იქნება. იეღოველების ან სხვა რელიგიის მიმდევართა დაცვა საკმაოდ არაპოპულარულია მოსახლეობაში, რის გამოც, არასამთავრობოებისაგან განსხვავებით, პოლიტიკოსები აშკარად ერიდებიან სხვა აღმსარებლობის მიმართ ტოლერანტობის გამოჩენას. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს საკითხი განხეთქილების ვაშლი გახდება?**

- არ მიმაჩნია საჭიროდ, კონსულტაციები თუ დიალოგი არასამთავრობოებსა და პოლიტიკოსებს შორის რელიგიის თემით დაიწყოს. ეს მაინც უფრო ღირებულებების სფეროა და ღირებულებებზე შეთანხმება უფრო ძნელია. გარდა ამისა, ეს ის თემაა, რომელიც ძალიან არაპოპულარულია პოლიტიკოსებისთვის, ამიტომ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გულახდილი და ღია დიალოგი გაიმართოს.

პოლიტიკა იმას ნიშნავს, რომ საკითხი რალაც მოსაზრებების და საზოგადოების განწყობის მიხედვით უნდა გადაწყდეს. პარტიების და არასამთავრობოების შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე ისეთ კომპრომისებზე წავა, რომელიც რაღაცნაირად გაითვალისწინებს საზოგადოების განწყობას.

მაგრამ ამ თანამშრომლობის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს პოლიტიკური თამაშის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა და თუ რალაც მიუღებელი გახდება, ამაზე რეაგირების ფორმების მოძებნა. ეს არის საკითხების წრე, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია.

**- როგორ გგონით, წავა თუ არა შევარდნაძე ამ გაერთიანებასთან თანამშრომლობაზე?**

- ფორმალურად, წამოვა. მთავარია, მან ამ გაერთიანებაში ძალა დაინახოს. თუ "ახალი მემარჯვენეებისა" და "ლეიბორისტების" მონაწილეობა წმინდა ფორმალური ხასიათის კი არ იქნება, არამედ მართლა რალაც საკონსულტაციო მექანიზმი შეიქმნება, მაშინ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი რეაგირებას მოხდენს. ის შეეცდება, ან დაშალოს ეს გაერთიანება, ან ითანამშრომლოს მასთან.

**- ბევრი ვარაუდობს, რომ შევარდნაძე შეძლებს, წვრილი გარიგებებით პარტიათა ლიდერები გადაიბიროს და ეს გაერთიანება დაშალოს. რამდენად დარჩა პრეზიდენტს შიდა პოლიტიკური რესურსები, რომ ეს მოახერხოს?**

- როცა ქვეყნის პრეზიდენტი ხარ, რალაც პოლიტიკურ რესურსებს, ბუნებრივია, განაგებ. მაგრამ გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება პარტიებმაც შეიძინეს. ამიტომაც წვრილმან გარიგებებზე და სატყუარებზე, შეიძლება, არც წავიდნენ. ამის იმედი, ყოველ შემთხვევაში, არსებობს.

იმ ძალებს, რომლებიც ამ გაერთიანებაში არიან, შევარდნაძე ბოლომდე არ ენდობა. "ახალი მემარჯვენეების" მოძრაობის ახალმა ტრაექტორიამ ეს აჩვენა. რალაც ეტაპზე ჩანდა, რომ ეს პარტია, შეიძლებოდა, პრეზიდენტის დასაყრდენი გამხდარიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შევარდნაძე მათ ბოლომდე არ ენდო.

გარდა ამისა, თუ ამ პარტიებს გათვლა სერიოზულ პოლიტიკურ მომავალზე აქვთ, მაშინ, ჩემი აზრით, უფრო ლოგიკურია, მათ მონაწილეობა თამაშის ახალი წესების განსაზღვრაში მიიღონ, რადგან წმინდა ავტოკრატიულ მმართველობაში, დიდი შანსია, ვერც ერთმა მათგანმა მოგება ვერ ნახოს.

# თავდაცვის მინისტრი ნიკოლოზ ჯანჯღავას ახალ თანამდებობას შესთავაზებს

ზაზა წულაძე

*თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ახლო მომავალში აპირებს, ახალი თანამდებობა შესთავაზოს სახმელეთო ჯარების ყოფილ სარდალს, კოჯრის სასწავლო ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელსა და სპეციალური დანიშნულების ელიტარულ ბატალიონ "კომანდოსის" ყოფილ მეთაურს, ნიკოლოზ ჯანჯღავას, რომელიც მინისტრმა გასულ ხუთშაბათს, გვიან ღამით "სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების" მოტივით გაათავისუფლა თანამდებობიდან.*

**"მე ვიცი, რომ თავდაცვის მინისტრსა და ნიკა ჯანჯღავას შორის ამგვარი ხასიათის შეხვედრა ახლო მომავალში გაიმართება. ჩემი ინფორმაციით, მინისტრი განწყობილია, რომ ქართულმა არმიამ შეინარჩუნოს ისეთი მაღალი რანგის პროფესიონალი, როგორიც ჯანჯღავაა. ნიკაც, პრინციპში, როგორც ეს მისი საუბრიდან გავიგე, არ უნდა იყოს წინააღმდეგი, დარჩეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. მაგრამ მას სრულიად განსხვავებულ თანამდებობაზე სურს მუშაობის გაგრძელება. ვფიქრობ, რომ, თუ კონსენსუსი მიიღწევა, ამით მხოლოდ არმია და სახელმწიფო მოიგებს,"** – გვითხრა სახალხო დამცველის აპარატში სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ნოდარ ეფრემიძემ.

პირველმა ქართველმა რეინჯერმა, მწვანე ბერეტმა, "კომანდოს" ბატალიონის მეთაურმა, კოჯრის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელმა და სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა, ნიკოლოზ ჯანჯღავამ პარასკევს დილით, 102 ოფიცერთან და ზემდეგთან ერთად, დაწერა პატაკი თანამდებობიდან წასვლის შესახებ, ეს გადაწყვეტილება კი არმიაში უკიდურესად არაჯანსაღი ვითარების შექმნითა და თავდაცვის სამინისტროში კლანების ფორმირებით ახსნა. საპასუხოდ, თავდაცვის მინისტრმა, დავით თევზაძემ წინა ღამით მიღებული ბრძანებულება გამოამზეურა, რომლის მიხედვითაც ნიკოლოზ ჯანჯღავა გადაყენებული იყო თანამდებობიდან - კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებისა და სამხედრო ნაწილების უკანონო გადაადგილების მოტივით.

ჯანჯღავას გადაყენების შემდეგ, თევზაძემ თავად შეითავსა სახმელეთო ჯარების სარდლის, კოჯრის სპეცდანიშნულებისა და "კომანდოს" ბატალიონის მეთაურის ფუნქციები. პარალელურად, მინისტრს რამდენჯერმე მკაცრი საუბარი ჰქონდა ჯანჯღავას მხარდამჭერ ოფიცრებთან და ზემდეგებთან, რის შემდეგაც, ორი მათგანის გარდა, ყველა დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა. თავდაცვის სამინისტრო, ჯერჯერობით, არ ახმოვანებს იმ ორი ოფიცრის ვინაობას, რომლებმაც ჯანჯღავას ბოლომდე უერთგულეს. **"მე არ შემიძლია, მათი გვარები გითხრათ, რადგან თავდაცვის სამინისტროდან თანამშრომლების გაშვება ჩემი სამსახურის მიერ ხდება. პირადად ჩემთვის თანამდებობიდან გადაყენების პატაკით არც ერთ მოსამსახურეს არ მოუმართავს. ამ პროცედურის გავლამდე კი ყველა ოფიცერი თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში რჩება ან დეზერტირად ცხადდება,"** – გვითხრა თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსმა დიმიტრი ლეჟავამ. ჯანჯღავას შესაძლო დაბრუნებას შეიარაღებულ ძალებში არც ლეჟავა გამორიცხავს. **"არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ მანამდე მოკვლევის სამსახურმა უნდა გამოიძიოს, რამ და ვისმა შეცდომებმა განაპირობეს პარასკევს დილით დაწყებული ინციდენტი,"** – განაცხადა ლეჟავამ.

ჯანჯღავას შეიარაღებულ ძალებში დარჩენას თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილიც ემხრობა. **"ნიკა ქართულ არმიაში აუცილებლად უნდა დარჩეს და თავდაცვის მინისტრმა ამისათვის ყველაფერი უნდა გააკეთოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეც მოხდება,"** – განაცხადა ბათიაშვილმა. ჯანჯღავას გადაყენების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც იყო, რომ მან, თავდაცვის მინისტრთან შეუთანხმებლად, კონფიდენციალური ინფორმაცია ბათიაშვილს მიაწოდა. ეს ინფორმაცია "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამის მიმდინარეობაში არსებულ სერიოზულ პრობლემებს ეხებოდა. კარგად ინფორმირებული წყაროს ცნობით, ჯანჯღავას ქართულ არმიაში დაბრუნებას კატეგორიულად ითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებაც. **"ეს არც არის გასაკვირი, შეერთებულმა შტატებმა უამრავი ფული დახარჯა, რომ ჯანჯღავა ისეთი მაღალი რანგის პროფესიონალ სამხედროდ ქცეულიყო, როგორიც დღეს არის,"** – გვითხრა საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა.

თავად ნიკოლოზ ჯანჯღავა, ჯერჯერობით, კომენტარისგან თავს იკავებს. **"თავდაცვის სამინისტროში აღარ ვიმუშავებ, შეიძლება, ამერიკაში დავბრუნდე. ჯერ მართლა არ ვიცი, რას გავაკეთებ. მარტო ის ვიცი, რომ გამორიცხულია, პოლიტიკაში ჩავება,"** – სახმელეთო ჯარების ყოფილი სარდალი პარასკევს საღამოს ასე ფიქრობდა.

*თვალსაზრისი*

# შეტევათა სერია ჯარზე და დემოკრატიაზე

ბადრი კოპლატაძე

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოში ყველაზე მწვავე დისკუსიას ქვეყნის გეოპოლიტიკური ორიენტაციის საკითხი იწვევდა. თავიდან ბევრს - როგორც პოლიტიკოსებს, ისე უბრალო ადამიანებს – მიაჩნდა, რომ ძალზე გაჭირდებოდა ახალ რეალობებში ჩვენთვის განკუთვნილი სივრცის მოძებნა. ზოგიერთი უფრო შორს მიდიოდა და ამტკიცებდა, რომ ასეთი სივრცე საერთოდ არ არსებობს. სკეპტიკოსების იმედგაცრუება მაშინ დაწყო, როდესაც, მსოფლიოს ენერგეტიკული რესურსების ხელახალი გადანაწილების პროცესში, საქართველოს როლი და ფუნქცია მკაფიოდ გამოიკვეთა. ამის შემდეგ შეუქცევადი ხასიათი მიიღო საქართველოს საერთო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვამ. თავისთავად ცხადია, ასეთ სიტუაცებში ორხმრივი ინტერესი არსებობს. ამიტომაც შემთხევითი არ არის, რომ ვაშინგტონში საქართველოს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, ისე მოიხსენიებენ. თუმცა, ამერიკელებს პარტნიორებთან ურთიერთობების სხვადასხვა ფორმები და მეთოდები აქვთ. ხშირად მათ ორმაგ სტანდარტებშიც ადანაშაულებენ, ანუ დასავლეთს მხოლოდ მაშინ ახსენდება დემოკრატია, ადამიანის უფლებათა დაცვა, როდესაც რომელიმე პარტნიორი ურჩობას იწყებს. რა თქმა უნდა, ამაშიც შეიძლება იყოს სიმართლის მარცვალი, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ დასავლეთი დაინტერესებულია საქართველოს სტაბილურ, განვითარებისკენ მიდრეკილ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში. ამის მიუხედავად, კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას კითხვა: როგორი სტაბილურობა სჭირდება საქართველოს - ავტორიტარულ მმართველობაზე თუ დემოკრატიაზე დამყარებული?

მავანთა სურვილის საწინააღმდეგოდ, საქართველოს, დემოკრატიული განვითარების გარდა, სხვა რესურსი არ გააჩნია, რასაც, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთში გრძნობენ. ამიტომაც ისინი მკაცრად აფასებენ იმ მოვლენებს, რომლებიც ბოლო პერიოდში ხდება და რომლებიც დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობად ვერანაირად ვერ ჩაითვლება. შემაშფოთებელი მარტო ის კი არ არის, რომ "თავისუფლების ინსტიტუტი" ასე უმოწყალოდ დაარბიეს, არამედ ისიც, რომ ადამიაები ნელნელა კარგავენ დიალოგის, ურთიერთმოსმენის უნარს და ცდილობენ, ძალით მოახვიონ სხვას თავისი აზრი. ფაქტობრივად, ახლა საქართველოში მიმდინარეობს ღია და აგრესიული ომი დემოკრატიული ღირებულებების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგი კი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ძლიერნი, ერთიანნი იქნებიან თავად დემოკრატიული ძალები. გასულ კვირას "მეტეხში" გამართულმა შეხვედრამ პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო სექტორს შორის, კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ საზოგადოებისთვის, დღეს შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში, საერთო მიზნებისათვის თანამშრომლობას ალტერნატივა არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სიმწვავე და ურთიერთბრალდებები არც ამ შეხვედრას აკლდა, მაინც გამოიკვეთა ის ცხრა პრინციპი, რომელიც ამ თანამშრომლობის საფუძველი უნდა გახდეს. მხოლოდ ასე შეიძლება დაპირისპირება დღეს უკვე აშკარად გამოხატულ საფრთხესთან.

დასავლეთი იმასაც აცნობიერებს, რომ კონფლიქტებში ჩართული და აგრესიული მეზობლებით გარშემორტმული ქვეყნისთვის მხოლოდ დემოკრატია საკმარისი არ არის. სუსტმა და დაუცველმა დემოკრატიამ, შეიძლება, სათავე დაუდოს სხვა საფრთხეს – ამ ღირებულებებისადმი სრულ იმედგაცრუებას. სწორედ ამ კუთხით უნდა განვიხილოთ ის დახმარება, რასაც დასავლეთის ქვეყნები და, უპირველეს ყოვლისა, შეერთებული შტატები, ქართულ ძალოვან სტრუქტურებს უწევენ. ყველაზე გლობალური და ღია ხასიათი ქართული ჯარის დახმარების პროგრამამ მიიღო.

ყველას ახსოვს, თუ რა ისტერია გამოიწვია ამ პროგრამის პრეზენტაციამ ჩვენს მეზობლებში და ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსში. თუ ობიექტურები ვიქნებით, მათ, ალბათ, არც გაემტყუნებოდათ, რადგან, ვისაც არ სურს საქართველოს ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, მათთვის იდეალურია ის მდგომარეობა, რაც დღეს არის შექმნილი. საქართველოს ხელისუფლებას რამდენჯერმე მოუწია იმის მტკიცებამ, რომ ამერიკელების გაწვრთნილ ჯარს არავის წინააღმდეგ არ გამოიყენებს. ეს თავისთავად ალოგიკური დაპირება კიდევ უფრო მეტ კითხვის ნიშანს ბადებს. რისთვის იხარჯება უზარმაზარი სახსრები, მხოლოდ იმისთვის, რომ საჩვენებელი ნაწილები შეიქმნას?

აქ, ალბათ, კარგი იქნება, ჩვენი მეზობლების, თურქების მაგალითი გავიხსენოთ. ამ ქვეყნაში უსაფრთხოების და დემოკრატიული განვითარების უპირველეს გარანტს სწორედ დასავლეთში განათლებამიღებული სამხედრო ელიტა წარმოადგენს. მაგრამ საქართველოში ყველაფერი ასე მარტივად არ არის. თავდაცვის სამინისტროში ერთდღიანი "მშვდობიანი დაუმორჩილებლობა" სწორედ დასავლეთში განსწავლული სამხედროების მიერ იყო ინსპირირებებული, თანაც საკმაოდ ბუნდოვანი და არადამაჯერებელი მოთხოვნებით. პარასკევს განვითარებული მოვლენების დროს რამდენჯერმე გაიელვა იმ მოსაზრებამაც, რომ ეს ყველაფერი გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს უკავშირდებოდა და რომ, შეიძლება, ეჭვქვეშ დადგეს ამერიკული პროგრამის განხორციელბა. ჩანს, პროცესები არც ისე შემთხვევითი იყო და არც ისე დაუგეგმავი, როგორც ამის წარმოჩენას ზოგიერთი "დაუმორჩილებელი" სამხედრო ცდილობდა. ფაქტობრივად, ეს იყო მცდელობა, ჩაშლილიყო ის სტრატეგიული მიმართულება, რომელმაც, დემოკრატიულ განვითარებასთან ერთად, საქართველოს ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება უნდა უზრუნველყოს.

თუ მოვლენებს უკვე მთლიანობაში შევხედავთ, იკვეთება მკაფიო და არაორაზროვანი სურათი: ხორციელდება კარგად მოფიქრებული, დროში ზუსტად გათვლილი დარტყმების მთელი სერია ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებებით – ჯარი და დემოკრატია. ეს ბრძოლა, როგორც ჩანს, გაგრძელდება და კულმინაციას, ალბათ, 2003 წლის შემოდგომაზე მიაღწევს, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე "კიდევ რაღაც" არ მოხდა.

### ბიზნესის ამბები

## "კოკა-კოლა" რევოლუციის მოხდენას აპირებს

უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ამერიკული კომპანია "კოკა-კოლა" იქცა იმ პირველ კორპორაციულ გიგანტად, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა აშშ-ს მთავრობისა და პრეზიდენტ ბუშის მოწოდებები ბუღალტერიისადმი მიდგომის გადასინჯვის შესახებ.

ოქტომბრიდან კომპანია ბუღალტერიაში გაითვალისწინებს ფირმის თანამშრომელთა და ხელმძღვანელთათვის ხელფასთან ერთად გაცემულ ოპციონებს.

ფირმის თანამშრომლებისთვის ოპციონებით პრემირება ამერიკელთა საყვარელი მეთოდია. ამ ქვეყანაში მიიჩნევენ, რომ რაც უფრო უკეთ იმუშავებენ თანამშრომლები, მით უკეთ წავა კომპანიის საქმე და მით უფრო აიწევს აქციათა ფასი. შესაბამისად, მით მეტი ფული ექნება ჯიბეში მონდომებულ მუშახელს.

ოპციონი – ეს ერთგვარი ფინანსური ინსტრუმენტია, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს, ოპციონის გაცემის დღეს დაფიქსირებულ ფასად იყიდოს ან გაყიდოს ესა თუ ის აქცია მომავალში.

თანამშრომლებისთვის ოპციონების გაცემა – ეს არის კომპანიის აქციების იაფად ყიდვის საშუალება მას შემდეგ, რაც მათი ფასი მოიმატებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპციონის რეალიზაცია, პრაქტიკულად, ყოველგვარ აზრს კარგავს.

დღემდე კომპანიათა უმრავლესობა ხელფასის, დაზღვევისა და თანამშრომელთა წახალისების სხვა საშუალებათაგან განსხვავებით, ოპციონებს ხარჯებში არ ითვალისწინებს. ამის გამო ქაღალდზე კომპანიის მოგება რამდენადმე განსხვავდება რეალური მოგებისგან. გარდა ამისა, ოპციონებთან დაკავშირებული, საბუღალტრო აღრიცხვიანობის ძირითადი დავთრებიდან ამოვარდნილი ოპერაციები, ბოლო დროს სენატის და, ხანდახან, სისხლის სამართლის ძიების საგანი ხდება.

კორპორაციული სკანდალებით დაფეთებული ინვესტორები ახლა განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობენ კომპანიების შემოსავალ-გასავლის დავთრებს და მენეჯერებს საშემოსავლო დავთრების "გაბერვის" პრაქტიკიდან გასავლის დავთრების უფრო მეტად სკრუპულოზურ აღწერაზე გადასვლისკენ მოუწოდებენ. "კოკა-კოლას" ეს ნაბიჯი, შეიძლება, აშშ-ს კორპორაციულ სამყაროში ესოდენ სანატრელი რევოლუციის დასაწყისად იქცეს.

პრეზიდენტმა ბუშმა გასულ კვირას წამოაყენა წინადადება აქციონერთა საბჭოს მიერ ოპციონებთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის დაკანონების შესახებ. როგორც ჩანს, გაზიანი სასმელების მწარმოებლები პირველები დაუგდებენ ყურს პრეზიდენტის რჩევებს.

სხვათა შორის, გასავლების ანგარიშში ოპციონების ჩართვას ყველა როდი უჭერს მხარს. მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ ამ სახით შემოსავალთა დავთარი მნიშვნელოვნად "დაიჩუტება", კომპანიის საქმიანობის საერთო სურათი კი ინვესტორთა თვალში საკმაოდ დაკნინდება.

## „ამერიკა ონ-ლაინ თაიმ უორნერი„ „ენრონისა„ და „უორლდკომის„ გზას გაჰყვება?

ხუთშაბათს კომპანია "ამერიკა ონ-ლაინ თაიმ უორნერის" დირექტორი რობერტ პიტმანი თანამდებობიდან გადადგა. წასვლის შესახებ გადაწყვეტილება მან კომპანიის დირექტორთა საბჭოს ზეწოლით მიიღო. პიტმანი კომპანია "ამერიკა ონლაინის," "ონ-ლაინ"-სამსახურების საშუალებით, კომპანია "თაიმ უორნერის" წამგებიანი ქვეგანყოფილებების წინ წამოწევის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო. მსგავსი განცხადებები 2001 წლის დასაწყისში, "ამერიკან ონ-ლაინისა" და "თაიმ უორნერის" შერწყმის შემდეგ კეთდებოდა. ჯერ კიდევ მაშინ ბევრი ანალიტიკოსი "ონ-ლაინის" სამსახურების მომგებიანობის შემცირებას ვარაუდობდა, მაგრამ პიტმანი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ინტერნეტ-სერვისის ბაზარზე თავად კრიზისის შესაძლებლობასაც კი უარყოფდა.

ორი კომპანიის შერწყმიდან დღემდე ვითარება კარდინალურად შეიცვალა: ახლა AOL TW-ის ბეჭდვით გამოცემებს, ტელეარხებსა და სხვა "კლასიკურ" ქვეგანყოფილებებს მეტი მოგება მოაქვთ, ვიდრე "ონ-ლაინ"-სერვისებს. ამას "ამერიკან ონ-ლაინ თაიმ უორნერის" დირექტორთა საბჭოს ის გადაწყვეტილებაც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც პიტმანის ადგილს "თაიმ უორნერის" ერთ-ერთი "კლასიკური" ქვეგანყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი დაიკავებს.

კომპანიის წარმომადგენლებმა აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე ორი კანდიდატურა წამოაყენეს. ამ პოსტზე ან "AOL TW"-ის "Home Box Office"-ის ამჟამინდელი უფროსი ჯეფრი ბიუკსი დაინიშნება (ის ახლა ფილმების ვიდეოკასეტებითა და "DVD"-ით გაყიდვითაა დაკავებული), ან "Time Inc"-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე დონ ლოგანი.

ანალიტიკოსთა აზრით, "AOL TW"-ის დირექტორთა საბჭოს პიტმანის აღარ სჯერა, რაც მისი გათავისუფლების მიზეზად იქცა. თავის დროზე პიტმანი აცნობიერებდა იმ მოგებას, რაც რეალური საკუთრების მზარდ ფასიან აქციებად ქცევას მოაქვს. "ამერიკან ონ-ლაინისა" და "თაიმ უორნერის" შერწყმისას ეს გამართლებული იყო. მას შემდეგ გაერთიანებული კომპანიის აქციებმა თავდაპირველი ღირებულების 70 პროცენტზე მეტი დაკარგა, რაც არ შეიძლებოდა, პიტმანისადმი ნდობის ხარისხზე არ ასახულიყო.

სხვათა შორის, პიტმანის წასვლის შესახებ სხვა ვერსიაც არსებობს. "ვაშინგტონ პოსტის" ინტერნეტ-გვერდზე 18 ივლისს გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ კომპანია "ამერიკან ონ-ლაინი" 2000 წლიდან დღემდე ფინანსურ ანგარიშებს პიტმანის უშუალო მონაწილეობით აყალბებს. "ვაშინგტონ პოსტი" ამტკიცებს, რომ 2000 წლიდან კომპანია "ამერიკან ონ-ლაინი" (შემდგომ – "ამერიკან ონ-ლაინ თაიმ უორნერი") რეგულარულად აცხადებდა არარსებული მოგების შესახებ. ორი წლის მანძილზე გაბერილმა "ნამატმა" 270 მილიონ დოლარს მიაღწია. როგორც ამერიკის ავტორიტეტული გამოცემა აცხადებს, ამ სახით კომპანია ცდილობდა, ქაღალდზე მაინც შეენარჩუნებინა ინტერნეტ-რეკლამებიდან მიღებული შემოსავლების ზრდის მაჩვენებელი. "ვაშინგტონ პოსტი" იტყობინება, რომ "AOL TV"-სთან რეკლამის განთავსების შესახებ დადებული კონტრაქტის შედეგად, კომპანია "eBay"-ს მიერ მიღებული მოგება მედიაგიგანტის საკუთარ მოგებად გაფორმდა.

ჯერჯერობით უცნობია, პიტმანის თანამდებობიდან გათავისუფლების საბაბი "ვაშინგტონ პოსტის" სტატია გახდა, თუ აღმასრულებელი დირექტორის წასვლას ხელმძღვანელობის შიდა უთანხმოებებმა შეუწყო ხელი. "ამერიკან ონ-ლაინში" აცხადებენ, რომ "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. რობერტ პიტმანის გათავისუფლებას კი სხვა გადაჯგუფებებიც მოყვა, რაც, საბოლოო ჯამში, "ონლაინ"-სერვისების კონტროლის "თაიმ უორნერის" წარმომადგენლებისათვის დაქვემდებარებისკენაა მიმართული.

**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 16–22 ივლისის მდგომარეობით**




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6341 | 0.6417 | 0.0055 |
| US$ | 1.5771 | | 1.011 | 0.0086 |
| €uro | 1.5583 | 0.9891 | | 0.0085 |
| ¥en | 182.86 | 115.95 | 117.32 | |

**2002 წლის 22 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:**

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.2343 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4784 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5256 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2000 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3197 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1897 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0697 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4505 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3890 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1387 ლარი |

# ნოემბრიდან იმპორტირებულ პროდუქციას ქართული წარწერები დაამშვენებს

### ქართულ ბაზარზე კონტრაბანდასთან ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება

სოფო კვინტრაძე



*იმპორტული პროდუქციის ეტიკეტებზე, შესაძლოა, ქართულენოვანი წარწერები გაჩნდეს.* ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი ნოემბრიდან ქართულ ბაზარზე სარეალიზაციო იმპორტირებულ პროდუქციაზე ქართულენოვანი წარწერები იქნება. მომხმარებელი მშობლიურ ენაზე შეძლებს, წაიკითხოს ამა თუ იმ პროდუქციის შესახებ ინფორმაცია მისი დასახელების, დამამზადებელი ფირმის და ქვეყნის, ვარგისიანობის ვადის, წონისა ან მოცულობის, სტანდარტის, მოხმარების წესის, კალორიულობის, ვიტამინიზების, უსაფრთხო გამოყენებისა და შენახვის თაობაზე. სიახლე შეეხება კვების პროდუქტებს, პარფიუმერულ და კოსმეტიკურ ნაწარმს, მედიკამენტებს და საყოფაცხოვრებო ტექნიკას.

**"თითოეულმა მომხმარებელმა, რომელიც იმპორტულ პროდუქციას ყიდულობს, უნდა მიიღოს ამ პროდუქციის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია თავის მშობლიურ ენაზე. ეს მომხმარებლის უფლებაა. ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა ვერ კითხულობს წარწერებს ინგლისურ, თურქულ, ჩინურ ან სხვა უცხო ენაზე. აქედან გამომდინარე, იგი ვერ ფლობს პროდუქციის შესახებ ინფორმაციას, რასაც ხშირად სავალალო შედეგებამდე მივყავართ. გაიხსენეთ, გასულ ზამთარს რამდენი უბედური შემთხვევა დაფიქსირდა ირანულ გამათბობელ "ნიკალასთან" დაკავშირებით. ეს გამოწვეული იყო სწორედ იმით, რომ "ნიკალას" ინგლისურ და ირანულ ენებზე ეწერა უსაფრთხო გამოყენების წესები, რაც ქართველმა მომხმარებელმა ვერ წაიკითხა. გარდა ამისა, არის უამრავი ფაქტი, რომელიც კვების პროდუქტებით მოწამვლას უკავშირდება. ყოველივე ამან დღის წესრიგში ქართულენოვანი წარწერების გაკეთება დააყენა,"** – აცხადებს ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი არმაზ თავაძე.

ამ მიზნით, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ამზადებს ცვლილებებს კანონში "მომხმარებელთა უფლებების შესახებ". პროექტის ავტორთა მოსაზრებით, გარდა იმისა, რომ იმპორტირებულ საქონელზე ქართულენოვანი წარწერების გაკეთება ქართველი მომხმარებლის ინტერესებში შედის, ეს სიახლე კონტრაბანდასთან ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად იქცევა. არმაზ თავაძე აცხადებს, რომ იმპორტიორები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ლეგალურ ბიზნესს ეწევიან, აღნიშნული კანონის თანახმად, შემოტანილ პროდუქციაზე ქართულენოვან წარწერებს გააკეთებენ. ამდენად, შესაძლებელი გახდება ბაზარზე ლეგალური და კონტრაბანდული საქონლის გამიჯნვა.

**"თუ არ დავიწყეთ ბაზარზე ეკონომიკური მექანიზმების დამკვიდრება, ვერც ერთი მაკონტროლებელი სტრუქტურა ვერ შეძლებს არსებული სიტუაციის შეცვლას. დღეს ბაზარზე ეკონომიკური ბერკეტები არ გაგვაჩნია, ამიტომ კონტრაბანდასთან ბრძოლა უშედეგოა. მე არ მაქვს ილუზია, რომ ქართულენოვანი წარწერების შემოღება კონტრაბანდას აღმოფხვრის, მაგრამ თეთრისა და შავის ერთმანეთისგან გარჩევის საშუალებას ნამდვილად მოგვცემს,"** – აცხადებს არმაზ თავაძე.

კონტრაბანდასთან ბრძოლის ეფექტურობა მაკონტროლებელ ორგანოებზეც ბევრად იქნება დამოკიდებული, რადგან არალეგალური ბიზნესის აღკვეთისთვის მარტო კონტრაბანდული საქონლის აღმოჩენა საკმარისი არაა.

ანტიმონოპოლიური სამსახურის ინფორმაციით, იმპორტიორების პირველი რეაქცია აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით, არცთუ ისე დადებითი იყო. **"თუმცა, შემდეგ გააცნობიერეს, რამდენად მომგებიანია ეს სიახლე მათთვის და დღეს, შემიძლია ვთქვა, რომ მათი მხრიდან წინააღმდეგობა არ არის,"** – განაცხადა არმაზ თავაძემ.

იმპორტიორები არ არიან შეზღუდული, თუ სად გააკეთებენ ქართულენოვან წარწერებს: ეტიკეტზე, შეფუთვაზე, იარლიყზე ან ცალკე ფურცლის სახით დაურთავენ პროდუქციას. საინტერესოა, გამოიწვევს თუ არა ეს სიახლე პროდუქციის გაძვირებას, რადგან ქართულენოვანი წარწერების გაკეთება იმპორტიორებისათვის დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. არმაზ თავაძე აცხადებს, რომ ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა, ექსპერტების დახმარებით, ფინანსური გაანგარიშება გააკეთა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ, შესაძლოა, ცალკეული საკვები პროდუქცია სამი-ხუთი პროცენტით გაძვირდეს.

კანონის ამოქმედება, პირველ რიგში, იმპორტიორ კომპანიებს შეეხებათ, თუმცა, ისეთი მსხვილი იმპორტიორები, როგორებიცაა: "ავერსი", "ნესტლე", და "პროქტერ ენდ გემბელი" ჯერჯერობით აღნიშნული სიახლის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ და კომენტარისგან თავს იკავებენ.

# ვის ქონებას იცავს რუსთავის მერი

მაია მოსიაშვილი

ჩვენს ქვეყანაში მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების არჩევითობის პრინციპის დანერგვამ ბევრი პრობლემა წარმოშვა, მათ შორის, ისეთი ეკონომიკური პრობლემა, როგორიცაა სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების გამიჯვნის საკითხი. რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მას შემდეგ დაუპირისპირდა, როცა შეიტყო, რომ მათ საპრივატიზაციო ნუსხაში ქალაქისათვის მნიშვნელოვანი ობიექტები ჰქონდათ შეტანილი.

"ქონების მართვის სამინისტროში არის საერთო ქაოსი და მინისტრმა თვითონ არ იცის, რას აკეთებს. სამინისტროს მიერ საპრივატიზაციო ნუსხაში ქალაქისათვის მნიშვნელოვანი ობიექტები იქნა შეტანილი. მე მათ გაყიდვას არ ვაპირებ, რადგან ჩვენი სამსახურების დიდი ნაწილი უბინაოდ არის დარჩენილი. ქალაქის ხელმძღვანელობის გარეშე ვერც ერთი ობიექტი ვერ გაიყიდება, სანამ არ მოხდება მუნიციპალური ქონების გამიჯვნა," - აცხადებს რუსთავის მერი.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ადასტურებენ, რომ ქონების გამიჯვნა მართლაც არ მომხდარა და, შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი სახელმწიფო ქონება არსებობს. ამასთან ერთად არსებობს მუნიციპალური ქონებაც, რომელიც მუნიციპალიტეტებმა თვითონ შექმნეს თავიანთი არსებობის პერიოდში, მაგრამ მუნიციპალური ქონების განკარგვა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მიერ ხდება და არა ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის მიერ. განსხვავება მხოლოდ შემოსული თანხების განაწილებაშია ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის. ქონების მართვის მინისტრის მოადგილე გენო მალაზონია აცხადებს, რომ მისი უწყება კანონის სრული დაცვით მოქმედებს: "ეს არის ძალიან მკაფიოდ დაწერილი პროცედურა, ვინ, რა და როგორ უნდა გააკეთოს. ვინც ასეთი რამ თქვა, ის ალბათ კანონმდებლობას კარგად, დაკვირვებით, წყნარად, ემოციებისა და პოლიტიკური ფონის გარეშე უნდა გაეცნოს და მერე გააკეთოს განცხადება."

რუსთავის მერი დაწყნარებას არ აპირებს. მისი თქმით, მას უკვე ჰქონდა შეხვედრა პრეზიდენტთან, სახელმწიფო მინისტრთან და რეგიონული პოლიტიკის ხელმძღვანელთან ირაკლი ბოჭორიძესთან, სადაც საკითხი ასე დაისვა - მოხდეს ფედერალური და მუნიციპალური ქონების გამიჯვნა, რადგან რეალური თვითმმართველობა ვერ განხორციელდება, თუ მას ქონება არ გააჩნია. "ამ ქონების განმკარგავი უნდა იყოს ხალხი, არჩეული მერი და საკრებულო. მორჩა ის დრო, როცა ხალხის გარეშე განკარგავდნენ ყველაფერს," - აცხადებს მერაბ ტყეშელაშვილი. მისივე თქმით, სწორედ ქონების მართვის სამინისტროს მხრიდან მიღებული ერთპიროვნული გადაწყვეტილებების შედეგია ის, რომ მერიამ კონტროლი დაკარგა ისეთ სტრატეგიულ საწარმოზე, როგორიც "რუსთავგაზია", ქალაქში უამრავი ობიექტი გასხვისდა და, ფაქტობრივად, განადგურდა. გარდა ამისა, დღეს რუსთავს აღარ აქვს სტადიონი - ის კერძო პირებმა ჩაიგდეს ხელში.

რუსთავის მერი პრეზიდენტის იმ განკარგულების შესრულებას ითხოვს, რომლის მიხედვითაც ქალაქში არსებული კულტურულ-სოციალური ობიექტები, რომლებიც ცალკეულ საწარმოთა საწესდებო კაპიტალში შეტანილი არ არის, მუნიციპალურ საკუთრებაში უდა გადავიდეს. "ეს ობიექტები სამინისტროს დღეს არ აქვს გადმოცემული და ხდება ამ ქონების განიავება. ხვალ შეიძლება რუსთავს არც თეატრი ჰქონდეს, არც კულტურის სახლი და ასე შემდეგ. ჩვენ ვიცავთ ჩვენს უფლებებს და იმ ობიექტებს, რომლებიც ხალხს და ქალაქის განვითარებას სჭირდება, არავის გავასხვისებინებთ, ვინც არ უნდა იყოს ის," - ამბობს ტყეშელაშვილი.

გუშინ ქონების მართვის სამინისტროს ქვემო ქართლის ტერიტორიულმა ორგანომ მინისტრ პავლიაშვილის ბრძანება მიიღო, რომლის თანახმად ქალაქის ტერიტორიაზე არსებული იმ სახელმწიფო საწარმოების ნუსხა უნდა შედგეს, რომლებიც ბოლო ორი წლის მანძილზე ზარალზე აბარებდნენ ბალანსს. იმავე ბრძანებაში ნათქვამია, რომ, არსებული ხარვეზების გამო, უნდა მოხდეს საწარმოების დირექტორების შეცვლა. ჩვენი ინფორმაციით, ჩამონათვალში შევა ქალაქისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი საწარმოები: "რუსთავწყალი", "რუსთავტრანსი", "კეთილმოწყობა" და ასე შემდეგ. ქონების მართვის სამმართველოს უფროსის, ზაზა გველესიანის განცხადებით, მარტო "რუსთავწყალის" შენახვას სამ-ნახევარი მილიონი ლარი სჭირდება და რადგან ქალაქს მისი შენახვის თავი არ აქვს, ის უნდა გაიყიდოს. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ამ შემთხვევაში ქალაქის ხელისუფლება რა პოზიციას დაიკავებს.

# ოპეკი რუსეთს ომს უცხადებს

თორნიკე შარაშენიძე

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (ოპეკი) განაცხადა, რომ იგი მზადაა, უკომპრომისო ფასთა ომში ჩაებას რუსეთთან, თუკი ეს უკანასკნელი კვლავაც გააგრძელებს საწვავის წარმოების ზრდას. ოპეკი, რომელზეც მთელი მსოფლიოს ნავთობმოპოვების, დაახლოებით, ერთი მესამედი მოდის, უკიდურესად შეშფოთებულია საწვავით ვაჭრობის სფეროში ამერიკისა და რუსეთის დაახლოებით და ჩრდილოელი დათვის უკიდურესი გაძლიერებით ნავთობის მსოფლიო ბაზარზე.

**"რუსეთი ბინძურ პოლიტიკურ თამაშს ეწევა ჩვენს წინააღმდეგ და მისი ნდობა უკვე შეუძლებელი ხდება,** - განაცხადა ოპეკის პრეზიდენტმა რილვანუ ლუკმანმა, - **რასაც ისინი აკეთებენ, ფასთა გამოუცხადებელი ომი ჰქვია და უკვე დროა, ჩვენც ადეკვატურად ვუპასუხოთ."**

ოპეკსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დაიძაბა. მაშინ, მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასების უკიდურესი დაცემის გამო, ოპეკმა ნავთობმოპოვების შემცირება გადაწყვიტა, მაგრამ იქვე მოითხოვა, რომ ანალოგიური ნაბიჯები გადაედგათ არაოპეკელებს - ნორვეგიას, მექსიკასა და რუსეთს. ოპეკის არგუმენტები მართლაც რომ დასაბუთებული იყო. ორგანიზაცია იქამდე მარტო ცდილობდა საწვავის ფასების რეგულირებას, რაც, მისი მხრივ, უაზრო თავგანწირვას ჰგავდა: ფასების აწევის მიზნით, ორგანიზაცია ნავთობმოპოვებას შეამცირებდა ხოლმე, მაგრამ არაოპეკელები იმავეს არ აკეთებდნენ, მათი ნავთობმოპოვება ადრინდელ დონეზე რჩებოდა და ოპეკის თაოსნობით გაზრდილი ფასების წყალობით, დიდ მოგებასაც ნახულობდნენ. ეს განსაკუთრებით რუსეთზე ითქმის, რომელიც, ოპეკის მიერ ყოველი ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, კიდევ უფრო ზრდიდა ნავთობმოპოვებას და მსოფლო ბაზარზე ოპეკის მიერ დათმობილ წილს იტაცებდა. ამის წყალობით, ჩრდილოელი დათვი ნელ-ნელა ერთ-ერთ უდიდეს მენავთობედ იქცა მსოფლიოში და ბოლო ხანებამდე, ამ მხრივ, მხოლოდ საუდის არაბეთს ჩამორჩებოდა.

ოპეკის მაშინდელ მოთხოვნას ნორვეგია და მექსიკა გაგებით შეხვდნენ, მაგრამ რუსეთს არაფრის გაგონება არ სურდა. ამის საპასუხოდ ოპეკმა განაცხადა, რომ სანამ რუსეთისგან თანხმობას არ მიიღებდა ნავთობმოპოვების შემცირების თაობაზე, თავად არანაირ ნაბიჯს არ გადადგამდა. ეს კი ნიშნავდა, რომ საწვავის ფასები ისევ დაბალ დონეზე დარჩებოდა, რაც, ცხადია, არც თავად მოსკოვისათვის იყო მომგებიანი.

ასეთ ვითარებაში რუსეთმა დათმო, უფრო სწორად, ტაქტიკური უკანდახევის მანევრი განახორციელა. მან ნავთობმოპოვება შეამცირა, რასაც ოპეკმა, დაპირებისამებრ, იმავეთი უპასუხა და საწვავის ფასებმაც აიწია. მაგრამ ეს მოხდა თუ არა, რუსეთმა ისევ დაიწყო ნავთობმოპოვების ზრდა, რითაც ოპეკთან მიღწეულ შეთანხმებას ხაზი გადაუსვა. როცა ამ უკანასკნელმა უკმაყოფილება გამოთქვა, პრეზიდენტმა პუტინმა პირდაპირ განაცხადა, ვითარება სანავთობო ბაზარზე დასტაბილურდა და ჩვენგან მსხვერპლის გაღება საჭირო აღარ არისო.

დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაცემებით, წელს რუსეთის ნავთობმოპოვება 8,6 პროცენტით გაიზარდა, ექსპორტი კი - 3,4 პროცენტით. რუსეთმა უკვე უკან ჩამოიტოვა საუდის არაბეთი - ოპეკის მთავარი მოთამაშე და აქამდე მსოფლიოს უდიდესი ნავთობმომპოვებელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოპეკს სერიოზულად აშფოთებს რუსეთის დაახლოება ამერიკასთან. "24 საათი" გატყობინებდათ, რომ მოსკოვი უკვე შეუდგა ნავთობის პირდაპირ ტრანსპორტირებას აშშ-ში, რასაც ეს უკანასკნელი დიდი მოწონებით ხვდება. საქმე ისაა, რომ 11 სექტემბრისა და ტერორიზმთან ომის დაწყების შემდეგ, ვაშინგტონს საკმაოდ გაურთულდა ურთიერთობები ოპეკის წამყვან ქვეყნებთან (საუდეთი, ირანი) და მათზე დანდობას აშკარად აღარ აპირებს. ნავთობის ალტერნატიულ მიმწოდებლად კი ამერიკას სწორედ რუსეთი ესახება, რომლის პრეზიდენტიც ყველაფერზე მიდის, ოღონდ დასავლეთის კეთილგანწყობა მოიპოვოს.

მოკლედ, რუსეთმა ოპეკს პირში ჩალა გამოავლო - მან დაიკავა ბაზრის დიდი ნაწილი, აშშ-ს ჩათვლით, და ყველა ქვეყანა მეორეხარისხოვან მოთამაშედ აქცია. თუმცა, ოპეკი უმოქმედოდ ყოფნას არ აპირებს. "ჩვენ გვაქვს საკმარისი რესურსები, რათა საკადრისი დარტყმა მივაყენოთ რუსეთს, მისსავე მიერ გამოცხადებულ ომში," - ირწმუნება ლუკმანი.

"საკადრისი დარტყმა" ოპეკის მიერ ნავთობმოპოვების გაზრდას გულისხმობს, რითაც ორგანიზაცია გააძლიერებს თავის გავლენას ბაზარზე (თუმცა, ამერიკა-რუსეთს შორის საქმიანი ურთიერთობების ჩაშლა უკვე ძალიან ძნელი იქნება). გარდა ამისა, ოპეკის ამგვარი ნაბიჯი უცილობლად გამოიწვევს საწვავზე ფასების დაცემას, რაც მეტად მტკივნეული დარტყმა იქნება მოსკოვისათვის.

ცხადია, ფასების დაცემა არც თავად ოპეკს აწყობს. ამიტომ ორგანიზაცია, ასე ვთქვათ, მოსაფიქრებელ დროს აძლევს მოსკოვს. ოპეკის მორიგი სხდომა სექტემბერშია დანიშნული - ნავთობმოპოვების გაზრდაზე გადაწყვეტილება იქამდე მიღებული არ იქნება. თუკი ოპეკთან კონფრონტაცია და ბაზარზე ყველასათვის წამგებიანი ვითარების შექმნა არ სურს, რუსეთი რაღაც დათმობაზე უნდა წავიდეს. თუმცა, ეს დათმობა შარშანდელზე უფრო სერიოზული ხასიათისა უნდა იყოს, რადგან მაშინდელი ქმედებით რუსეთმა ოპეკის ნდობა, პრაქტიკულად, დაკარგა.

# „მამებისა და შვილების„ ბრძოლა ჩინურად

პირველი გვერდიდან

სიაოპინმა, სიკვდილამდე 8 წლით ადრე, 1989 წელს, ტიანანმენის მოვლენების შემდეგ, თავად გადასცა ხელისუფლება ახლანდელ პრეზიდენტს, ძიან ძემინს. თავის მხრივ, ძიანი, რომელიც უკვე 76 წლისაა და პრეზიდენტის (სიმბოლური პოსტი), კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა (რეალური ხელისუფლება) და ცენტრალური სამხედრო კომისიის ხელმძღვანელის (არმიის მთავარსარდალი) პოსტები უკავია, ყოველთვის აცხადებდა, რომ, როცა დრო მოვიდოდა, ისიც ანალოგიურად გადასცემდა ხელისუფლებას "ლიდერების მეოთხე თაობას". ეს თაობა, რომლის ლიდერადაც სწორედ ვიცე-პრეზიდენტი ჰუ მოიაზრება, შედარებით ახალგაზრდაა (55-60 წლის) და წესით სწორედ მან უნდა შეცვალოს მესამე თაობა (ძემინი და მისი თანამებრძოლნი). სიაოპინის ჩანაფიქრის თანახმად, რაც უფრო უმტკივნეულოდ მოხდებოდა ეს ცვლილება, მით უკეთესი იქნებოდა, როგორც ქვეყნის, მართლაც სასწაული ტემპებით მზარდი ეკონომიკისათვის, ისე კომუნისტური პარტიის მიერ ძალაუფლების შენარჩუნების თვალსაზრისითაც.

მაგრამ, როგორც ჩანს, ხდება ის, რაც ასე ბუნებრივად აღიქმება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ძიან ძემინმა და მისმა თანამებრძოლებმა გადაწყვიტეს, რომ ისინი "ჯერაც ახალგაზრდები არიან" და ქვეყნის მართვა ჯერ კიდევ შეუძლიათ. "მამების თაობის" მხარდამჭერებს ბევრი არგუმენტი აქვთ. ძიანმა და მისმა თაობამ უკვე დაამტკიცეს, რომ ქვეყნის მართვა შეუძლიათ. მათ ურთულეს ამოცანას გაართვეს თავი, შეინარჩუნეს ეკონომიკური ზრდის მსოფლიოში ყველაზე მაღალი ტემპი, შექმნეს კერძო მეწარმეთა დიდი ფენა (ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტი უკვე კერძო სექტორზე მოდის), შედარებით ლიბერალური ეკონომიკური გარემო და ხელუხლებად შეინახეს კომუნისტური პარტიის მონოპოლია ხელისუფლებაზე. ძიანის გარემოცვას პირადი ინტერესებიც ამოძრავებს. უკვე აშკარაა, რომ თუკი ჰუ ხელისუფლებაში მოვა, იგი მთელ პარტიულ და სახელმწიფო აპარატს, მათ შორის, პოლიტბიუროს, რომლის ხელშიცაა ჭეშმარიტი ძალაუფლება, თავისი ახალგაზრდა კადრებით დააკომპლექტებს, მოხუცებს კი პენსიაში გასვლა მოუწევთ. შემდეგ კი, ვინ იცის, შერჩებათ თუ არა მათ სოციალური სტატუსი და უზარმაზარი სიმდიდრე. აქ უკვე ისიც შეიძლება წამოტივტივდეს, რომ "მესამე თაობას" ტიანანმენის მოედანზე დაღვრილ სისხლში აქვს ხელები გასვრილი, ახლები კი ამგვარი ცოდვისაგან თავისუფლები არიან. საინტერესოა ერთი ადგილობრივი ექსპერტის შეფასება, რომელიც ამბობს, რომ არმიაში ყველა გენერალი ძიანს უჭერს მხარს, ყველა პოლკოვნიკი და უფრო დაბალი რანგის ოფიცერი კი – ჰუს.

ჰუს მომხრეთა არგუმენტებიც არანაკლებ ძლიერია: ქვეყანა უნდა მართონ მათ, ვისაც ყველაზე უკეთ (და დიდხანს) შეუძლია ამის კეთება და არა იმათ, ვისაც ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის მის წინაშე. თანაც, ამტკიცებენ ჰუს მომხრეები, თუ ძიანი ხელისუფლებას არ დათმობს, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის ნიშანი იქნება, რომ მას ძალაუფლების წყურვილი ამოძრავებს და არა ქვეყნის ინტერესები. გარდა ამისა, კიდევ რამდენ ხანს შეიძლება, 76 წლის კაცმა ეს უზარმაზარი ქვეყანა მართოს? – კითხულობენ ისინი.

იმისათვის, რომ მოწინააღმდეგეების ამგვარი არგუმენტები გააბათილოს და ქვეყნისათვის საკუთარი აუცილებლობა და სარგებლიანობა დაამტკიცოს, ძიანი ადგა და, არც მეტი, არც ნაკლები, მარქსიზმის ახალი ვერსია შეიმუშავა, რომელიც აქცენტს უკვე არა პროლეტარიატზე, არამედ მეწარმეთა ფენაზე აკეთებს. მის მიერ შემუშავებული "სამმაგი წარმომადგენლობის" თეორიის მიხედვით, კომუნისტურმა პარტიამ უნდა დაიცვას პროგრესული საწარმოო ძალები, პროგრესული კულტურა და ხალხის ფართო მასები. რაც შეეხებათ მუშებს, გლეხებს და ბიუროკრატიას, მათ სხვა მფარველი უნდა ეძებონ.

ამ იდეამ წინააღმდეგობრივი გამოხმაურება ჰპოვა. ზოგმა ამ "ადამიანური სახის კომუნიზმს" მხარი დაუჭირა და, საერთოდ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის სოციალისტურ პარტიად გადაკეთება მოითხოვა, მეორე და უფრო დიდმა ნაწილმა კი ეს ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით განხორციელებულ ტაქტიკურ მანევრად მიიჩნია.

ხელისუფლებისათვის ბრძოლის გამწვავების ფონზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩინეთის ხელისუფლებაში "ნომერი ორისა" და "ნომერი სამის" პოზიციას. "მეორე კაცი" - საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე ლი პენი ძველი გვარდიის ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევა. თანაც, თავის დროზე მისი ოჯახის წევრებმა კარგად იხეირეს პრივატიზაციითა და სახელმწიფო სუბსიდიებით, ამიტომ ის ძიანის გუნდთან უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული, ვიდრე მხოლოდ პოლიტიკური სიმპატიებია. რაც შეეხება "ნომერ სამს" - პრემიერ ჩჟუს, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებაში ყველაზე გახსნილ პიროვნებად მიიჩნევა და სამართლიანად ამაყობს ეკონომიკურ წინსვლაში შეტანილი პირადი წვლილით, მან არაორაზროვნად განაცხადა, რომ მზადაა, თანამდებობა ახალგაზრდებს გადაულოცოს.


ჰუ
REUTERS

პოლიტიკური ბრძოლა მთლიანად კულისებს მიღმა მიმდინარეობს. თავის მხრივ, ჰუს პიროვნებაზეც ბევრი არაფერია ცნობილი. ზოგჯერ მას რეფორმატორად მოიხსენებენ, თუმცა, მის მიერ რადიკალური ცვლილებების გატარებას ნაკლებად მოელიან. იგი სახალხო რესპუბლიკის ისტორიაში პროვინციის ყველზე ახალგაზრდა მმართველი გახდა, როდესაც 42 წლის ასაკში გუანჯის კომპარტიის შეფად დანიშნეს. უფრო ადრე იგი ჩინური "კომკავშირის" პირველი მდივანი იყო. აშშ-ში ამასწინანდელი ვიზიტის დროს მას არც ერთი პრესკონფერენცია არ გაუმართავს და, საერთოდ, სახალხოდ გამოჩენას თავს მაქსიმალურად არიდებდა. თუმცა, ჩინური პოლიტიკისათვის კონფიდენციალიზმი საერთოდ დამახასიათებელია. არც ერთი ლიდერი არ აძლევს თავს უფლებას, ოპონენტზე უარყოფითი აზრი საჯაროდ გამოთქვას და ამით კომუნისტური პარტიის ერთიანობა ეჭვქვეშ დააყენოს. თავის მხრივ, ხალხიც, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს სამოქალაქო ომისა და კულტურული რევოლუციის კოშმარი, ტიანანმენის შემდეგ ხელისუფლების განაწილების საქმეში არცთუ ისე აქტიურად ერევა. მით უმეტეს, რომ პირდაპირი არჩევნები მხოლოდ სასოფლო თვითმმართველობის დონეზეა დაშვებული. ხელისუფლების უფრო მაღალ ეშელონებში "ხალხის რჩეულთ" "პარტიის რჩეულნი" ცვლიან. თუმცა, როგორც ამბობენ, პარტიაში განხეთქილების გაღრმავების შემთხვევაში, საზოგადოებრივმა აზრმა, შესაძლოა, გარკვეული მნიშვნელობა შეიძინოს.

ვინ გახდება თითქმის მილიარდნახევრიანი ქვეყნის ხელმძღვანელი, საბოლოოდ ოქტომბერ-ნოემბერში დაგეგმილ პარტიის XVI ყრილობაზე გაირკვევა. დენ სიაოპინის ანდერძის თანახმად, ძიანი სწორედ ამ ყრილობაზე უნდა გადადგეს პარტიის გენერალური მდივნის პოსტიდან. თუ გაჭირდა, ჰუს ბანაკი მზად არის, კომპრომისზე წავიდეს და მას პრეზიდენტისა და არმიის მთავარსარდლის პოსტები შეუნარჩუნოს. მაგრამ, როგორც ჩანს, ძიანი "ვა ბანკზე" წასვლას აპირებს და, ალბათ, მოიგებს კიდევაც. ასე შეიძლება ჩაიშალოს კომუნისტურ სამყაროში ძალაუფლების უმტკივნეულო გადაცემის ერთ-ერთი პირველი მცდელობა.

## საერთაშორისო ამბები

### აფეთქება უკრაინის მაღაროში

კვირას მეთანის გაზის აფეთქებამ აღმოსავლეთ უკრაინის დნეპროპეტროვსკის რაიონის მაღარო "იუბილეინაიაში," სულ ცოტა, 6 მაღაროელის სიცოცხლე შეიწირა. კიდევ ოთხი მაღაროელი მძიმე მდგომარეობაშია. დაახლოებით 28 ადამიანი ჯერ არ უპოვიათ. ასობით მაღაროელი მიწის სიღრმეშია მომწყვდეული და მათ გამოსაყვანად მაშველები გამოიძახეს.

ამგვარი ტრაგედია მეორეა ბოლო ორი კვირის განმავლობაში. წინა შემთხვევაში დონეცკის მაღაროში მომხდარმა აფეთქებამ 35 ადამიანი იმსხვერპლა. მას შემდეგ კიევში არ შეწყვეტილა ასობით მაღაროელის საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც მაღაროებში უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ.

გასულ წელს უკრაინის მაღაროებში 300 ადამიანი დაიღუპა, წელს კი დაღუპულთა რაოდენობამ უკვე 150-ს მიაღწია. ხელისუფლება მაღაროების დაკეტვას გაურბის, რადგან უკრაინის 193 მაღაროში, დაახლოებით, 450 ათასამდე ადამიანია დასაქმებული. **(Reuters)**

### პერლის მკვლელობაში პაკისტანელი მზვერავი მონაწილეობდა

მას შემდეგ, რაც "ალ ქაიდასა" და თალიბანის ლიდერების უმრავლესობა ავღანეთში ანტიტერორისტული კოალიციის მიერ ჩატარებულ სამხედრო ოპერაციას უვნებლად გადაურჩა, გაჩნდა ეჭვი მოკავშირეთა ბანაკში მოღალატის არსებობის შესახებ. ამ როლს ყველაზე კარგად პაკისტანის უწყებათშორისი სადაზვერვო სამსახური ერგებოდა, ორგანიზაცია, რომელმაც, პრაქტიკულად, შექმნა თალიბანი და რომელიც დღემდე ისლამისტი რადიკალების ერთ-ერთ მთავარ მხარდამჭერად მიიჩნევა (ვარაუდობენ, რომ ქაშმირში შეგზავნილი ისლამისტი ტერორისტების მომზადებას სწორედ ეს სამსახური ახდენს).

ეჭვები კიდევ უფრო გაამძაფრა ამერიკელი ჟურნალისტის, დენიელ პერლის მკვლელთა გასამართლების ანგარიშის გამოქვეყნებამ. ანგარიშის თანახმად, ომარ შეიხთან ერთად, მკვლელობის ერთ-ერთი თანამონაწილე პაკისტანელი ყოფილი პოლიციელი და უწყებათშორისი სადაზვერვო სამასახურის მოქმედი თანამშრომელი იყო. გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ბრალდებულებმა პერლის მოკვლა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ჟურნალისტმა ორჯერ სცადა ტყვეობიდან გაქცევა. ომარ შეიხმა და ყოფილმა პოლიციელმა, რომელის სახელიც საიდუმლოდ რჩება, ორი იემენელი მოიყვანეს, რომლებაც დენიელ პერლს ყელი გამოსჭრეს. სასამართლომ მკვლელობაში ბრალდებულებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

### ესპანეთმა სადავო კუნძული დატოვა

ესპანეთის ჯარმა მიატოვა მაროკოს სანაპიროსთან მდებარე სადავო კუნძული პერეხილი მას შემდეგ, რაც ესპანეთმა და მაროკომ მიაღწიეს შეთანხმებას მისი კუთვნილების შესახებ. ორი ქვეყნის მთავრობებმა დაადასტურეს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადება იმის თაობაზე, რომ ესპანეთი და მაროკო მზად არიან, დაუბრუნდნენ კონფლიქტამდელ ურთიერთობებს. შეერთებულმა შტატებმა შეძლო კუნძულიდან ორივე ქვეყნის ჯარების გაყვანა, რათა ხელი შეუწყოს მათ შორის მოლაპარაკებებს და დავის მშვიდობიანად მოწესრიგებას.

10 დღის წინ კუნძული მაროკოელმა სამხედროებმა დაიკავეს, რასაც ესპანეთის სპეცდანიშნულების ნაწილების მიერ კუნძულის ხელახლა დაკავება და მაროკოელების დატყვევება მოყვა. ამჟამად კუნძულზე არც ერთი ქვეყნის სუვერენიტეტი სიმბოლოები არ არის აღმართული. **(BBC)**

# „პუტინომანია„ - ემუქრება თუ არა რუსეთს პიროვნების ახალი კულტი?

გიორგი ხელაშვილი

*ვლადიმირ პუტინი დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე გამოუცნობი პრეზიდენტია. რუსეთში მისი პიროვნების თაყვანისცემა უკვე კულტის მასშტაბებს იძენს. რამდენად მყარი საფუძველი აქვს პუტინის პოპულარობას და ემუქრება თუ არა "პუტინომანია" რუსეთის ახალგაზრდა დემოკრატიას?*

თავად განსაჯეთ.

პუტინის სახე შემოგცქერით სააღდგომო კვერცხებიდან, კალენდრებიდან, ღია ბარათებიდან, "მატრიოშკებიდან"...

მხატვრები ლამის კონვეიერულად აწარმოებენ პუტინის ზეთსა და აკვარელში შესრულებულ პორტრეტებს.

ჩე გევარას ცნობილი პორტრეტის სტილში დახატული მისი სახე მოჩანს მაისურებზე.

ციხის ტუსაღებმა ცხენზე ამხედრებული პუტინის ქანდაკება ჩამოასხეს.

რუსეთში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობები ხდება ძიუდო და თხილამურები, რითაც თავად პრეზიდენტია გატაცებული.

რუსი ბიუროკრატების კაბინეტების სასურველ ატრიბუტად პრეზიდენტის 40-კილოგრამიანი ბრინჯაოს ბიუსტი იქცა, რომელსაც სერიულად ამზადებს ურალის ერთ-ერთი ქარხანა. მეზობელმა ფაბრიკამ კი ოქროსფერ ოვალში ჩასმული პუტინისსახიანი ხალიჩების წარმოება აითვისა.

ორიოდე დღის წინ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა, ალექსი მეორემ საზეიმოდ აკურთხა ორი უნიკალური საეკლესიო ზარი, რომლებზეც ძველი სლავური დამწერლობით იკითხება "ვლადიმირ პუტინის მმართველობის დროს..." გაიხსენეს, რომ ეს ტრადიცია რუსეთში ძველადაც არსებობდა.

პოპ-ჯგუფმა "ბელი ორიოლმა" თავის პოპულარულ სიმღერაში, რატომღაც, პრეზიდენტი პუტინიც მოიხსენია: "ჯარისკაცებო, ცეცხლი! ჩვენ ვიცავთ პუტინს და სტალინგრადს".

სანკტ-პეტერბურგში სკოლის მოსწავლეები პატარა ვოვა პუტინის ბიოგრაფიის დეტალებს უკვე პირველი კლასის მერხიდან ეცნობიან, უფროსკლასელები კი წერენ თავისუფალ თემებს სათაურით: "პუტინი, როგორც ეროვნული გმირი". საუკეთესო ნაშრომები ცალკე წიგნად გამოდის სათაურით: "დიალოგი პრეზიდენტთან".

რუსულ ინტერნეტში სიტყვა "პუტინი" ყველაზე ხშირად იძებნება.

უკვე დაიწერა და გამოიცა პუტინის ექვსი ბიოგრაფია.

ლატვიელმა მწერალმა ოლბიკმა დაწერა დეტექტივი - "პრეზიდენტი". პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი პირადად მიემართება ჩეჩნეთში შამილ ბასაევთან ანგარიშის გასასწორებლად. ორთაბრძოლაში გამარჯვებულ პუტინს მეუღლე ლუდმილა სასთუმალთან უზის და საყვარელი პოეტის, რაინერ მარია რილკეს პოეზიას უკითხავს.

მეორე მხატვრული წიგნი პუტინის ცხოვრებაზე, პროხანოვის რომანი "ბატონი ჰექსოგენი," რუსეთში უკვე ბესტსელერად იქცა.

ჩელიაბინსკში სტუდენტებმა კაფე-ბარი "პუტინი" გახსნეს, რომელშიც სტუმრებს შეეძლოთ, გაესინჯათ რძის კოქტეილი "როცა ვოვა პატარა იყო", ნამცხვარი "პუტინი" და ქაბაბი "ხელისუფლების ვერტიკალი".

ეს უკვე მეტისმეტი აღმოჩნდა. სტუდენტების გასტრონომიული ნიჭი კრემლის უშუალო მითითებით მოთოკეს, კაფე-ბარს კი სახელი გადაარქვეს. შეიძლება ითქვას, რომ, საყოველთაო "პუტინომანიის" ფონზე, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ხელისუფლებამ პუტინის პოპულარიზაციის მცდელობა აღკვეთა. კრემლში პუტინის "პიროვნების მზარდი კულტით" შეშფოთება ამ ფორმით პირველად გამოხატეს. ყველა სხვა შემთხვევაში კრემლის ადმინისტრაცია და პრეზიდენტის პრესმდივანი იასტრჟემბსკი მორცხვი განცხადებებით კმაყოფილდება: "პრეზიდენტს ეს ძალიან არ მოსწონს", "პრეზიდენტი ამით აღფრთოვანებული არ არის". ამ განცხადებებს კი ხელების ფართოდ გაშლა მოჰყვება ხოლმე - "მაგრამ, ჩვენ რა შეგვიძლია?!"

ვლადიმირ პუტინის ფენომენს 1999 წლის 31 დეკემბრიდან მსოფლიოს ყურადღება აღარ მოჰკლებია. ამ დღეს ბორის ელცინმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა გადადგომის თაობაზე და თავისი "ტახტი" თითქმის ყველასთვის უცნობ ახალგაზრდა მზვერავს გადაულოცა. დასავლეთი მაშინ ელცინსა და პუტინს ჰინდენბურგსა და ჰიტლერს ადარებდა, რუსეთს კი - 1930-იანი წლების დასაწყისის გერმანიას. ორ წელიწადში პუტინზე წარმოდგენა შეიცვალა, 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ კი რუსეთის პრეზიდენტი ჰიტლერის ორეულიდან დასავლეთის ერთგულ მოკავშირედ იქცა.

საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ექსპერტები რუსეთის ბოლოდროინდელი წინსვლით აღტაცებას ვერ მალავენ. მართლაც, რუსეთის მაკროეკონომიკურმა მაჩვენებლებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა – ეკონომიკის შესამჩნევი ზრდა, საგარეო ვაჭრობის დადებითი სალდო, ბიუჯეტის პროფიციტი, სესხების დროული დაბრუნება. რუსეთი დასავლეთმა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად




აღიარა, რამაც მოსკოვს გზა გაუხსნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისაკენ და დიდი რვიანის სრულუფლებიანი წევრობისაკენ.

ყველა ამ წარმატების უკან პრეზიდენტი პუტინი დგას, რომელიც რუსეთის ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გარანტად განიხილება. ამ საშინაო და საგარეო წარმატებების ფონზე, სულაც არ არის ძნელი პუტინის პოპულარიზაცია და მისგან "ერის მამის" ხატის შექმნა.

იტალიური გაზეთი "ლა სტამპა" რუსეთში მომხდარ ცვლილებებს აშკარად ზედაპირულად მიიჩნევს. გაზეთის აზრით, რუსეთისათვის ტრადიციული ბიზანტიური პოლიტიკა სპექტაკლად გადაიქცა, მეფე – პოპვარსკვლავად, ხოლო პროპაგანდა მარკეტინგმა შეცვალა. ამ ცვლილებებმა პრეზიდენტი პუტინი თავისებურ სავაჭრო მარკად აქცია, რომლის გაყიდვითაც ერთნი ხელს ითბობენ, მეორენი კი პოზიციებს იმყარებენ. მაგრამ რუსული პოლიტიკის ტოტალიტარული არსი ამით არ იცვლება.

რუსეთის ეკონომიკის ახლანდელი აღმავლობა ორმა ფაქტორმა განაპირობა – მსოფლიოში ნავთობზე გაზრდილმა ფასებმა და 1998 წლის აგვისტოში რუბლის დევალვაციამ, რომელმაც სამამულო წარმოება წაახალისა. რუსეთის ეკონომიკა თითქმის დაუცველია საერთაშორისო ბაზარზე ფასების რყევისაგან. ბარელ ნავთობზე ფასის ერთი დოლარით დაცემა რუსეთს წლიურად 1 მილიარდ დოლარს აკარგვინებს.

რუსეთის ექსპორტის 70 პროცენტს ნედლეულის რესურსები შეადგენს, რაც მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. ეკონომისტების გამოთვლით, პუტინი თავის მიერ დასახულ მიზანს – ევროკავშირის ყველაზე სუსტად განვითარებული სახელმწიფოს, პორტუგალიის, დონესთან რუსეთის ეკონომიკის გათანაბრებას – არამცთუ დაგეგმილ 20 წელიწადში, არამედ სიცოცხლეშიც ვერ მოესწრება.

რუსეთში თითქმის არ ალმოფხვრილა კორუფცია, ბოლო წლებში ნავთობიდან მიღებული ვალუტის დიდი ნაწილი კი ჩეჩნეთის ომს მოხმარდა, რომელიც ბოლომდე ჯერ არ დასრულებულა. რეფორმების დაგვიანებას რუსი პოლიტოლოგები ისევ პუტინის სასარგებლოდ ხსნიან. ფონდ "პოლიტიკის" პრეზიდენტის ნიკონოვის აზრით, პუტინს რეფორმების დაწყებამდე რამდენიმე ამოცანის გადაჭრა სჭირდებოდა. პირველ რიგში, მას უნდა მოეთვინიერებინა სახელმწიფო სათათბირო და ფედერაციის საბჭო, მოეწესრიგებინა ბიუროკრატიული აპარატი, დაექვემდებარებინა რუსეთის ფედერაციის უკონტროლო სუბიექტები, მოეპოვებინა საზოგადოებრივი მხარდაჭერა და აელაგმა კრიტიკულად განწყობილი ოლიგარქები, თავიანთი მედია-იმპერიებით. ყველა ეს ამოცანა პუტინმა წარმატებით გადაჭრა და ქვეყანა რეფორმების დასაწყებად მოამზადა.

პუტინის მიერ ჩაფიქრებული რეფორმები კი გაცილებით უფრო ამბიციურია, ვიდრე თავის დროზე გაიდარის მიერ წამოწყებული გარდაქმნები, რომლებიც უდღეური აღმოჩნდა და 1992 წელს, თითქმის დაწყებისთანავე, კომუნისტების წინააღმდეგობის გამო, შეწყდა. პუტინის პოლიტიკა ფასების შემდგომ ლიბერალიზაციას ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, ენერგეტიკის სფეროში, რაც მოსახლეობისათვის უმტკივნეულოდ არ ჩაივლის და, ალბათ, პუტინის რეიტინგზეც აისახება. მოსახლეობის რისხვა კი, ნებისმიერ ფასად, პრეზიდენტს უნდა აცდეს, რათა მის მიერ დაწყებული რეფორმები ჩიხში არ შევიდეს, როგორც ეს ელცინის დროს მოხდა.

ხომ არ არის პუტინის პიროვნების პოპულარიზაცია მიზანმიმართული კამპანიის შედეგი? რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის დირექტორი, სოციოლოგი იური ლევადა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მიუთითებდა, რომ პუტინის სახით საქმე გვაქვს ხელოვნურ მცენარესთან, რომლის "ღეროს ფორმა, ფოთლების მოყვანილობა და ყვავილის ფერი – ყველაფერი კონსტრუირებული და შეფერადებულია გარკვეული გუნდის მიერ". ლევადას აზრით, რუსეთის პრეზიდენტის იმიჯი არის პორტრეტი, რომელიც კედელზე ნახვრეტს ფარავს. მის მიღმა კი, ნახვრეტის მეტი, არაფერია – არც ორგანიზაცია, არც იდეოლოგია და არც პროგრამა.

სტალინის მიერ შექმნილ ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მანქანაზე დამყარებული პოპულარობისაგან განსხვავებით, პუტინის იაფი პოპულარობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ხალხმა ახალი, გამძლე კერპი შექმნას. ლევადა პუტინის პოპულარობას გორბაჩოვისა და ელცინის ადრეულ წლებს ადარებს, როდესაც ეს ლიდერებიც პოპულარულნი იყვნენ, მაგრამ მალე დაკარგეს ხალხის ნდობა. არ არსებობს გარანტია, რომ პუტინსაც იგივე არ დაემართება.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იური რიჟკოვი მიიჩნევს, რომ თანამედროვე პირობებში პიროვნების ნამდვილი კულტის შექმნა შეუძლებელია, რადგან ეს უკანასკნელი აუცილებლად ჩაკეტილ სივრცეს მოითხოვს. ხალხისათვის ინფორმაციის სრული გადაკეტვა დღეს შეუძლებელია. ეს კი იმის თავისებური გარანტიაა, რომ, ხელისუფლების ნებისმიერი მცდელობის მიუხედავად, პუტინისაგან კულტის შექმნის მცდელობა წინდაწინვე განწირულია.

22 ივლისი, ორშაბათი, 2002 წელი. №50 | 24 საათი

# სახელმძღვანელოების "შავი" მბეჭდავები ცხელი სეზონისთვის მოემზადნენ

მანანა მანჯგალაძე

*ცხრათვიანი არდადეგების შემდეგ გამომცემლობები სასკოლო წიგნების ბეჭდვას იწყებენ. ადრე - კომუნისტების დროს რომ ეძახდნენ, სახელმძღვანელოების ბეჭდვა აპრილის თვიდან იწყებოდა და ზაფხულში სადღეღამისო რეჟიმზე გადადიოდა. მაშინ სკოლის სახელმძღვანელოებს ერთადერთი გამომცემლობა, "განათლება" ბეჭდავდა. დღეს "განათლებას" უამრავი გამომცემლობა ეცილება. მაგრამ, მათ, საბოლოოდ, ერთი საერთო კონკურენტი ჰყავთ – "შავი ბაზარი" ანუ არალეგალური საამქროები. ერთ-ერთ ასეთ სტამბას ჩვენც მივაგენით.*

დიდი დაწესებულების ნახევრსარდაფის ხის კარს დიდი ბოქლომი ადევს. სარდაფიდან კი ხმა არ ისმის. თუმცა, "გიდი" გვეუბნება, რომ ოთახში ახლა სამი-ოთხი კაცი მაინც უნდა იყოს. კარზე ფრთხილად აკაკუნებს... რამდენიმე წუთის შემდეგ სარდაფში შევდივართ.

იატაკზე დახარისხებული ფურცლები - მომავალი წიგნები აწყვია. ცალკეა უკვე აკინძული სახელმძღვანელოები და დაწყებითი კლასის რვეულები. აქ "ნახევარფაბრიკატი" ერთი პატარა სტამბიდან, გვიან ღამით, მოაქვთ. მაგიდაზე და იატაკზე, ძირითადად, 1-ლი და მე-2 კლასის რვეულები, მათემატიკისა და ბუნების წიგნები აწყვია. ხარისხი, ერთი შეხედვით, ცუდი არ ჩანს. როგორც "გიდმა" გვითხრა, ბეჭდვა ახალი დაწყებულია და ასლები ჯერჯერობით კარგი შემოდის: "ხომ ხედავთ, რა ჩუმად ვმუშაობთ. ჩურჩულითაც არ საუბრობენ. ისე, ეს ქალბატონები ამ დაწესებულების თანამშრომლები არიან, მაგრამ სამუშაო არ აქვთ და იმ პატარა ხელფასსაც თვეობით ვერ იღებენ."

მე-4 წელია, ამ სარდაფში ყოველ ზაფხულს სასკოლო წიგნებს და რვეულებს კინძავენ. გამონაკლისი შარშან იყო, როცა პოლიცია და ლეგალური გამომცემლობები ყველაფერს ერთობლივად ამოწმებდნენ. მაშინ იძულებულები გახდნენ, სარდაფი დროებით დაეხურათ. შარშანწინ კი, პირდაპირ სამუშაო ოთახებში იკინძებოდა წიგნები.

**- შინაგან საქმეთა სამინისტროში მე-6 სამმართველო ყოფილა და ისინი დასდევენ სტამბებს. ცოტა იმათი გვეშინია. რამდენიმე დღეა, რაც რვეულები შემოვიტანეთ. გუშინ ღამით წიგნები მოვიტანეთ. ახლა გვითხრეს, ისტორიის წიგნებსაც შემოვიტანთო... ცოტა იმედი მომეცა. სამუშაო თუ იქნა, ზაფხულისთვის ორ კაპიკს გავაკეთებ. შარშან არაფერი გაგვიკეთებია. წელს რა ვქნათ? გაგვიჭირდა. შიშს კიდევ მოვერევი და შიმშილს - ვერა.**

*- მერე ეს რისკი რა ღირს?*

**- რომ გითხრა, ბევრს გვაძლევენო, არა. მაგრამ, ერთ კვირაში 25 ლარს გადაგიხდითო. არაფერს ესეც სჯობია.**

ჩემი პირველი რესპონდენტი იმ დაწესებულების თანამშრომელია, სადაც სარდაფი მდებარეობს. ყოველდღე, დილის 10 საათიდან ღამის 9 საათამდე, განუწყვეტლივ მუშაობს. მხოლოდ ნახევარ საათს თუ შეისვენებს, ერთი ფენოვანით სულის მოსათქმელად. მისი შვილიც აქ მუშაობს. ის ღამე – 9 საათიდან გათენებამდე - ცვლის დედას. დაწყებითი კლასის რვეულები და მათემატიკის სახელმძღვანელო კი, შვილიშვილს გამოადგება.

*- ასლებით გინდათ თქვენმა შვილიშვილმა რომ ისწავლოს?*

**- ზოგიერთი ძალიან კარგი დაბეჭდილია. ისე, რა უჭირს? წელს უფრო კარგი შემოდის. შარშანწინ საშინელ წიგნებზე ვიმუშავეთ: გადღაბნილი ასოები; უკუღმა ნაბეჭდი; ისეთი სურათები იყო, ვერ გაარჩევდი - დავით აღმაშენებელი იყო თუ შაჰ-აბასი... სულ შავი მქონდა ხელები და ბავშვი ხელში რომ დაიჭერდა, წარმომიდგენია, რა დაემართებოდა.**

არალეგალური წიგნების წლევანდელი ხარისხი შესამჩნევად უკეთესია. "შავი" საამქროების მფლობელები ველურ ბიზნესში კარგად ერკვევიან და იციან, რომ წელს გაცილებით მძიმე ზაფხული ექნებათ. მხოლოდ თბილისში 100-ზე მეტი ასეთი საამქროა. თითოეული მათგანი სეზონზე 8-12 ათას წიგნს ბაჭდავს, რომლებიც ლეგალურად გამოცემულ სახელმძღვანელოზე 2-3 ლარით ნაკლები ღირს.

**- ვიცი, დიდი გამომცემლობები ახალ წიგნებს უკეთესად დაბეჭდავენ და ჩვენც შესაბამისად უნდა გავუტოლდეთ. ძალიან თვალშისაცემი არ უნდა იყოს "თეთრ" და "შავ" ტირაჟს შორის განსხვავება. წელს მყიდველსაც უფრო გათვითცნობიერებულს ველოდებით.**

*- თქვენი სტამბა გაქვთ, თუ რომელიმე დიდი გამომცემლობიდან მოგაქვთ?*

**- მაგას აქვს მნიშვნელობა? რაც საჭიროა, ყველაფერი მაქვს.**

*- სტამბა?*

**- თუ ასე გაინტერესებთ, სტამბაც გვაქვს. ისე, ყველაზე მეტად რომ ყვირიან, ის გამომცემლებიც აკეთებენ შავ ტირაჟს.**

საქართველოში თითო დასახელების სახელმძღვანელოზე ყოველწლიური მოთხოვნა 30 ათასამდე ეგზემპლარია. ასეთი ტირაჟი სჭირდება 40-45 დასახელებას. აქედან, დაახლოებით მეოთხედი კმაყოფილდებოდა ლეგალური გამოცემებით. დანარჩენი "შავი ბაზრისაა". მომხმარებელთა უზრუნველყოფა ლეგალური ნაწარმით ნიშნავს თითქმის 5,5 მილიონი ლარის დასაბეგრად "გაწირვას". ვინმეს სჯერა, რომ სახელმძღვანელოს გამოცემაზე ექსკლუზიური უფლების მქონე ლეგალური გამომცემლობის ხელმძღვანელობა ოცნებობს დიდი ბეგარის გადახდაზე? თუ ასეა, მაშინ უსაფრთხოების ყველა ზომას მიმართავდა, რომ "მავანს" ასლები არ გაეტანა. მაგრამ ეს ამბავი პოლიცია-უშიშროების თანამშრომლებისა და "ავტორიტეტების" ქართულ შეხმატკბილებას წააგავს.

*- შარშან რატომ არ იმუშავეთ?*

**- გამომცემლებმა და პოლიციამ ერთი ამბავი ატეხეს. მგონი, კანცელარიაც იყო მაგ ამბებში ჩართული. მე-6 სამმართველოს ხალხი დარბოდა. შარი არ მინდოდა და გავჩერდი. წიგნებს არ ვბეჭდავდი, თორემ რვეულები კი მქონდა. შარშანწინ კიდევ ერთი სტამბიდან მოგვქონდა წიგნები ასაკინძად. მთელი თვე დილიდან საღამომდე ვმუშაობდით. წაიღეს წიგნები და გვითხრეს, ორ საათში მოვალთ და ფულს მოვიტანთო. რას ვიფიქრებდით, რომ არ მოვიდოდნენ... წელს ისევ შინაურებთან დავიჭირეთ საქმე.**

როდესაც სარდაფიდან გამოვედით, ხის კარს ისევ ბოქლომი დაადეს, დარაჯიც გააფრთხილეს, უცხოებს დაკვირვებოდა. ისიც წიგნების ბიზნესშია ჩართული, სახელმძღვანელოებს იცავს.



*დახლზე "შავი" წიგნებიც შეიძლება იყოს*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი

ჯორჯიან რისარჩი

ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

# განუხორციელებელი იდეა მრავალშვილიანების დასახმარებლად

თამარ მაისურაძე

საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. სავარაუდოდ, 360 მრავალშვილიანი ოჯახია. თუ ადრე მრავალშვილიანებად 5 და მეტშვილიანი ოჯახები იწოდებოდნენ, 1995 წლიდან ამ კატეგორიას სამშვილიანი ოჯახებიც შეუერთდნენ. ამ სიახლეს 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტის № 265 განკარგულება დაედო საფუძვლად. განკარგულების თანახმად, უნდა მოწესრიგებულიყო მრავალშვილიანი ოჯახების აღრიცხვა. მრავალშვილიანებად კი უკვე ის ოჯახები იწოდებოდნენ, რომელთაც 3 და მეტი ბავშვი ჰყავდათ. პრეზიდენტის ეს განკარგულება, სხვა ბრძანებებისა და განკარგულებების მსგავსად, ქაღალდზე დარჩა.

წლების მანძილზე მრავალშვილიანებს სხვადასხვა სახელმწიფო და უცხოური ორგანიზაციები ეხმარებოდნენ. პრეზიდენტის №95 ბრძანებულების თანახმად, იმ ოჯახებს, ვისაც 7 და მეტი არასრულწლოვანი შვილი ჰყავდათ, დაენიშნათ 35-ლარიანი ყოველთვიური დახმარება. USAID-ის პროექტით 5 ათასამდე მრავალშვილიან ოჯახს ელექტროენერგიის საფასური ამავე ორგანიზაციამ გადაუხადა. პრეზიდენტის ბრძანება ელექტროენერგიისა და გაზის სუფსიდირების შესახებ თბილისის საკრებულომ განახორციელა. ასე თუ ისე, თბილისში მცხოვრებ მრავალშვილიანებს, როგორც სახელმწიფო მოხელეები აღნიშნავენ, შეძლებისდაგვარად, ყურადღებას აქცევენ. სამაგიეროდ, ღვთის ანაბარა არიან მიტოვებულნი რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანები. მუნიციპალური ბიუჯეტი ვერ ახერხებს მათი დასახმარებლი თანხების მოძიებას, არადა, ეს მათ კანონით ევალებათ.

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა შექმნა "კანონპროექტი მრავალშვილიანი ოჯახების შესახებ". რომელიც, ერთი შეხედვით, მოსაწონი და მისაღებია. კანონპროექტი ითვალისწინებს ოჯახების ხელშეწყობას ისეთ სფეროში, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, სასურსათო უზრუნველყოფა, განათლება, ოჯახის არასრულწლოვანი წევრების კეთილდღეობაზე ზრუნვა, სრულწლოვანი წევრების უპირატესი დახმარება და სოციალური უზრუნველყოფა.

კანონპროექტის ხერხემალია მეორე თავი, რომელიც მრავალშვილიანი ოჯახისა და მისი წევრების სოციალურ დაცვას ითვალისწინებს. მეშვიდე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, დაეხმაროს მრავალშვილიან ოჯახს ფულადი შემწეობის სახით. მაგალითად, "ყოველწლიურად, თუ ოჯახში არის ხუთიდან რვამდე არასრულწლოვანი წევრი, ან ყოველკვარტლურად რვა ან მეტი არასრულწლოვანი წევრი, ან 23 წლამდე სტუდენტი, დაენიშნოთ დახმარება მინიმალური ხელფასის ხუთმაგი ოდენობით. სამ ან ოთხ არასრულწლოვან წევრზე მინიმალური ხელფასის ორმაგი ოდენობით. ამასთანავე, სოციალურ (ოჯახურ) დახმარებას იღებს მრავალშვილიანი ოჯახი ყოველ ახალდაბადებულ ბავშვზე, ერთჯერადად - მინიმალური ხელფასის ოდენობით", – ვკითხულობთ კანონპროექტში. მერვე მუხლი მრავალშვილიანებისთვის საყოფაცხოვრებო და კომუნალურ გადასახადებზე შეღავათებს ითვალისწინებს. მეცხრე მუხლი საქალაქო ტრანსპორტსა და საგარეუბნო ავტობუსებზე უფასოდ მგზავრობას გულისხმობს. აქვეა ჩაწერილი მათთვის განათლებისა და კულტურის ხელმისაწვდომობა და შრომითი მოწყობის, სწავლების, გადამზადების და შრომის პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფის შესახებ. "ამ კანონპროექტის შესრულების მიზნით სახელმწიფომ რეალურად უნდა გაატაროს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენ, უნდა გადაიდგას ეფექტური ნაბიჯები არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად", – ვკითხულობთ კანონპროექტში, რომლით გათვალისწინებული სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება 50 059 100 ლარს შეადგენს.

მრავალშვილიანი ოჯახებისთვის კანონპროექტი იდეალურია. თუმცა, საკითხავია, ჩვენი მწირი და ქრონიკულად სეკვესტრირებული ბიუჯეტის გადამკიდე, რამდენად რეალურია ამ კანონის ამოქმედება. ამასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრება აქვთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს წარმომადგენლებს. მინისტრის მოადგილის მანონ ხაჩიძის აზრით, ამ კანონმა უნდა დაარეგულიროს სახელმწიფოს ვალდებულებები მრავალშვილიანი ოჯახების მიმართ. "თუ იქნება ფულადი დახმარების სისტემა, ეს უნდა გაკეთდეს ჩვენი ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მოსახლეობას სიმართლე უნდა ვუთხრათ იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას შეძლებს მათთვის სახელმწიფო. პრაქტიკაში გვაქვს ისეთი პოპულისტური კანონები, რომლის შესრულებას, ალბათ, ვერც კომუნისტები შეძლებდნენ. ასეთი კანონის აღსრულება ძნელია ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ფასიანია", - გვითხრა ქალბატონმა მანონმა და დასძინა. - ადამიანის გაჭირვება საკითხის ერთი მხარეა, მეორე მხრივ კი, სახელმწიფომ, რომელსაც ყველას დახმარება არ შეუძლია, უნდა ამოარჩიოს ყველაზე გაჭირვებული."

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის თქმით, 50 მილიონი ლარის მოძიება ფანტასტიკის სფეროა. "ფინანსთა სამინისტრომ საიდან უნდა გამონახოს ამხელა თანხა? აქ უნდა გაიყოს ფუნქციები. 3-შვილიანი ოჯახი მრავალშვილიანია. ზოგი ოჯახის მარჩენალი ბანკირია, სხვა - უმუშევარი. ვიღაცას სჭირდება დახმარება, იმიტომ რომ მათხოვრობს, მეორე კი მაღაზიის მფლობელია. ყველას ერთნაირად უნდა დავეხმაროთ?" – კითხვას სვამს ვასილ გიგოლაშვილი.

რა ბედი ეწევა კანონპროექტს "მრავალშვილიან ოჯახთა შესახებ", ძნელი სათქმელია. ერთია მოსახლეობის დახმარების სურვილი, რომელიც კანონპროექტში ნათლად ჩანს, ხოლო მეორე – ის, თუ რეალურად რა შეუძლია სახელმწიფოს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

# მრავალშვილიანის ბედი საქართველოში

ეთერ მამულაშვილი

წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით, მრავალშვილიან ოჯახებს ყოველთვიურად 35 ლარის ოდენობის თანხა დაენიშნათ, თუმცა ესეც მორიგი ტყუილი აღმოჩნდა. ხელისუფლება, უსახსრობის გამო, ამ ბრძანებულების შესრულებას ვერ ახერხებს. არადა, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ეს მცირე შეღავათი მაინც იქნებოდა. თუმცა, ბევრი ოჯახი სხვა შეღავათებითაც ვერ სარგებლობს.

რვა შვილის დედა, ელმირა მზარეულაშვილი, ერთი კვირის წინათ 40 წლის გახდა. უფროსი შვილის ვასიკოს ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ქალბატონი ელმირა იძულებული გახდა, საკუთარი ოროთახიანი ბინა გაეყიდა. უკვე მესამე წელია, ის თავის ბავშვებთან ერთად ნათესავის ბინაში ცხოვრობს, რომლის დატოვება რამდენიმე დღეში მოუწევს. ამ სახლის მესაკუთრე თბილისში ოჯახთან ერთად ჩამოდის. ბირჟაზე ის უშედეგოდ ცდილობს დასაქირავებელი ბინის მოძებნას. "როგორც კი გაიგებენ რომ, რვა შვილი მყავს, მაშინვე უარს მეუბნებიან სახლის გაქირავებაზე", - თქვა ქალბატონმა ელმირამ.

ის და მისი მეუღლე, ბოლო შვიდი წელია, უმუშევრები არიან. ელმირა საკუთარი ოჯახური საქმეების შემდეგ მეზობლებს ეხმარება, რაშიც მას არცთუ ისე ბევრს უხდიან. "თუ ვინმეს სარეცხი გამოუჩნდება, ვრეცხავ, ზოგჯერ სახლსაც ვულაგებ, არაფერს არ ვერიდები, ოღონდ ჩემს შვილებს არ მოშივდეთ."

მზარეულაშვილების ოჯახს შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია. ხშირად ქალბატონი ელმირა ვერც იმ ფულად დახმარებებსა და სხვადასხვა სოციალურ შეღავათებს ღებულობს, რაც მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სახელმწიფო პროგრამით არის გათვალისწინებული. ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე შეღავათებით იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ სარგებლობს, რომ მას საკუთარი საცხოვრებელი სახლი არ გააჩნია. სასკოლო სახელმძღვანელოებს, რომელიც ელმირას ხუთ შვილს უფასოდ ეკუთვნის, ჯერ მის ბავშვებამდე არ მიუღწევია. ასევე მიუღწეველი აღმოჩნდა მათთვის უფასო სამედიცინო მომსახურებაც, რამდენჯერაც ექიმის დახმარება დასჭირდათ, იმდენჯერ საფასურის გადახდა მოსთხოვეს.

"ნუთუ, მართლა არავის ესმის ჩვენი მდგომარეობა? მაშინ მრავალშვილიანი დედის სტატუსი ჩამომართვან, არაფერში მჭირდება. პირიქით, შეურაცხყოფისა და დამცირების გარდა არაფერს ვღებულობ. დღეს ქუჩის ქალი და მრავალშვილიანი დედა ერთნაირად დააყენეს ქუჩაში. ჩემი შვილების კუთვნილ თანხას როცა ვითხოვ, თურმე შვილებით ვსპეკულირებ?! ზუსტად ასე მითხრეს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში", – შემოგვჩივლა ქალბატონმა ელმირამ.

ამ სამსახურში განაცხადეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის განკუთვნილი თანხა, ყველასთვის არ არის საკმარისი. "მარტო თბილისში 6000 მრავალშვილიანი ოჯახია, რომელსაც 17.000 არასრულწლოვანი ბავშვი ჰყავს. როცა ამ კატეგორიისთვის სახელმწიფო 20.000 ლარს გამოგიყოფს, წარმოუდგენელია მისი ისე განაწილება, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს", - თქვა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ციცო გუგავამ.



*მზარეულიშვილები*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# „ქვიშის კარიერის გენერლები" თბილისში

ხათუნა ჯანგირაშვილი

*თბილისში შექმნილი უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაციის გამო, ქალაქის პროკურატურაში თათბირი თათბირზე იმართება. ოპერატიული შეკრებები და ექსპრომტად მოწყობილი პრესკონფერენციები, ძირითადად, ბოლო დროს გახშირებულ დანაშაულს – ადამიანის გატაცებას, ხულიგნობასა და ყაჩაღურ თავდასხმებს ეთმობა. ქალაქის პროკურორი თენგიზ მახარაძე, დაძაბული კრიმინოგენური სიტუაციის გამო, განგაშს ტეხს და კონკრეტულ საქმეებზე ჩატარებული გამოძიების გადამოწმებას ითხოვს.*

თბილისის პროკურატურაში გამართული ერთ-ერთი ოპერატიული თათბირი არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევების ფაქტებზე ჩატარებული წინასწარი გამოძიების განხილვას დაეთმო. თათბირის შეჯამების შემდეგ გაკეთებული დასკვნა ასეთია - თბილისში არასრულწლოვანი დამნაშავენი მომრავლდნენ. პროკურატურის მიერ გაკეთებულმა შემაჯამებელმა სტატისტიკამ აჩვენა, რომ თბილისში "ქვიშის კარიერის გენერლების" გამრავლების მიზეზი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებია.

არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილებამ შეისწავლა და გადაამოწმა ბოლო ხუთი თვის განმავლობაში არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საპროცესო კანონმდებლობის გამოყენების მდგომარეობა. სტატისტიკური მონაცემებით, ხუთი თვის განმავლობაში რეგისტრირებულია არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის 97 დანაშაული, აქედან – 20 ჯგუფური, სრულწლოვნებთან ერთად ჩადენილი. 115 არასრულწლოვანი მიეცა პასუხისგებაში. პროკურატურის საგამოძიებო ორგანოებში სულ აღძრულია 90 სისხლის სამართლის საქმე, სასამართლო გამოძიებას უკვე გადაეცა 64 საბრალდებო დასკვნა. თენგიზ მახარაძის აზრით, არასაკმარისად მიმდინარეობს მუშაობა არასრულწლოვანთა მიერ ნარკოტიკების გამოყენების ფაქტებზე. თბილისის პროკურატურას დაუჯერებლად მიაჩნია, რომ იმ ფონზე, როცა ნარკომანია არასრულწლოვანთა შორის მასიურადაა გავრცელებული, ამ დანაშაულზე არც ერთი საქმე არ აღძრულა. ასევე არასრულფასოვანია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ხულიგნობის გამოვლენის სტატისტიკაც. გასულ წელსა და წლევანდელ ხუთ თვეში კანონდამცველებმა ხულიგნობის მხოლოდ 2 შემთხვევა აღრიცხეს.

"ამ კატეგორიის დანაშაულებების მიმართ არ წარმოებს რეალური ბრძოლა და სტატისტიკურ მონაცემებში მათი ხელოვნურად დარეგულირება ხდება," – აცხადებენ ქალაქის პროკურატურაში. თბილისის პროკურატურაში იმასაც არ მალავენ, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამოძიებისას, ხშირ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობა ირღვევა, რაც ხელს უშლის წინასწარი გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას და საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას.

თბილისის პროკურატურის მონაცემებით, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტები და ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების ტარების შემთხვევები.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულით ლიდერობენ ისანი-სამგორის, გლდანი-ნაძალადევის, მთაწმინდა-კრწანისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონები. დამნაშავე არასრულწლოვანთა სიმცირით გამორჩეულია ვაკე-საბურთალოს რაიონი. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლისას ქალაქის პროკურატურაში აღმოაჩინეს, რომ ხშირად უმიზეზოდ ხდება წინასწარი გამოძიების გაჭიანურება, საგამოძიებო ვადების დარღვევა და, საერთოდ, საქმის არასწორად და არაკომპეტენტურად გამოძიება.

"რაიონულმა პროკურორებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ და საქმის აღძვრის პირველივე დღეებიდან აკონტროლონ გამოძიების ინტენსიური მუშაობა," – აცხადებს თენგიზ მახარაძე, რომელიც სამართალდამცავი ორგანოებისა და მართლმსაჯულების საქმიანობასაც იწუნებს, რადგან, მისი განმარტებით, სწორედ მათი მხრიდან არ ხორციელდება არასრულწლოვანთა შესაბამისი დასჯადი პოლიტიკა, რაც დაუსჯელობის სინდრომის გავრცელებასა და დანაშაულის ზრდას იწვევს. არასრულწლოვან კრიმინალთა საქმეების "გაფუჭებისთვის" თბილისის პროკურორმა რამდენიმე გამომძიებელი მკაცრი საყვედურით დასაჯა.

"ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიება არასრულყოფილად, არაობიექტურად და გაჭიანურებულ ვადებში მიმდინარეობს, და თანაც, ზოგჯერ საქმეზე გამოტანილია ნაადრევი, დაუსაბუთებელი დადგენილება, უარყოფითად მოქმედებს არა მარტო ჩვენი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე, არამედ იწვევს დაზარალებულთა ჩივილს სხვადასხვა ინსტანციაში, რაც საქმეს უფრო ართულებს და ამძიმებს", - ასეთი კრიტიკული და შემეცნებით-საგანმანათლებლო თათბირებით ებრძვის ქალაქის პროკურატურა დანაშაულს.

არასრულწლოვანთა კრიმინალური საქმიანობის სტატისტიკა ასეთია:

გლდანი-ნაძალადევის სასამართლომ 4 არასრულწლოვანი გაასამართლა;

დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლომ 10; ისანი-სამგორის სასამართლომ 49 საქმე განიხილა და 50 არასრულწლოვანს გამოუტანა განაჩენი;

ვაკე-საბურთალოს სასამართლოში 10 არასრულწლოვანი გაასამართლეს; მთაწმინდა-კრწანისში – 17.

პატარა თბილისელ დამნაშავეთა შორის ყველაზე გავრცელებული კრიმინალია: ქურდობა, ძარცვა, ხულიგნობა, ფულის გამოძალვა. თუმცა, ისინი არც იარაღის ტარებასა და ნარკოტიკების მიღებაზე ამბობენ უარს.



არასრულწლოვან დამნაშავეთა რიცხვი იზრდება...

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## უცხოეთი

### არაყი „მატრიოშკით"

ლატვიის პოლიციამ კონფისკაცია გაუკეთა 25 ათას რუსულ "მატრიოშკას", რომელშიც 25 ათასი ბოთლი კონტრაბანდული არაყი აღმოაჩინეს.

რიგის პორტში რუსეთიდან ყალბი დოკუმენტებით შესული კონტრაბანდული ტვირთი ადგილობრივი საბაჟოს თანამშრომლებმა აღმოაჩინეს. მათ ორი კონტეინერი, რომელიც პორტში ორი კვირის მანძილზე იმყოფებოდა, მას შემდეგ გახსნეს, რაც ტვირთს პატრონი არ გამოუჩნდა. საბაჟოს თანამშრომელთა მიერ გამოძახებულმა პოლიციამ კონტეინერში რუსული "მატრიოშკები" აღმოაჩინა. "მატრიოშკებში" ჩაწყობილი იყო ნახევარლიტრიანი "სლავური არაყი". მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ლატვიელმა სამართალდამცველებმა საქმის გამოძიება დაიწყეს. "კონტრაბანდული არყის ტრანსპორტირების არაერთი საქმე გამოგვიძიებია, კონტრაბანდისტები ტრანსპორტირების ათასნაირ მეთოდს მიმართავენ, მაგრამ მსგავს შემთხვევას ჩვენს პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია," – აცხადებენ "მატრიოშკებში" გადამალული არყის აღმოჩენით განცვიფრებული ლატვიელი სამართალდამცველები.

25 ათას "მატრიოშკას" და, შესაბამისად, 25 ათას ბოთლ არაყს პატრონი ჯერ არ გამოსჩენია.

### თაღლითთა გულუბრყვილო მსხვერპლი

36 წლის გერმანელი გულუბრყვილო ქალბატონი ცრურწმენისთვის დაისაჯა – იგი გაქურდეს.

კლარა შმიდტმა ქუჩაში გაცნობილი ქალი, რომელმაც ქირომანტიის სეანსის ჩატარება შესთავაზა, სახლში მიიწვია. მაგიის მიმდევარი ქალი და მისი პატარა ქალიშვილი კლარა შმიდტმა საცხოვრებელ სახლში ჯადოს მოსახსნელი რიტუალის ჩასატარებლად წაიყვანა. შავი მაგიის საწინააღმდეგო ლოცვებს მეტი ეფექტი რომ მოჰყოლოდა, შმიდტს შემლოცველმა ქალმა ბალიშის ქვეშ 25 ათასი ევროს დადება მოსთხოვა.

იმის გამო, რომ ქალბატონ შმიდტი უმუშევარი იყო, რიტუალისთვის მოთხოვნილი თანხა მან ბანკიდან კრედიტით გამოიტანა.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ "ჯადოქარმა" და მისმა გოგონამ ერთ-ერთი სეანსის ჩატარებისას შმიდტი გაქურდეს. ახლა ლიპშტადტის პოლიცია, თაღლით დედა-შვილთან ერთად, მოპარულ 25 ათას ევროსაც ეძებს.

### ნოვოსიბირსკელ ექიმებს „ფრანკენშტეინთან" ურთიერთობა ბრალდებათ

ნობოსიბირსკელი მედიკოსები, რომლებსაც პროკურატურამ მძიმე ბრალდებები წაუყენა, მალე სასამართლოს წინაშე წარსდგებიან. სამართალდამცველები მათ დამკრძალავი კანონის დარღვევაში ადანაშაულებენ.

ნოვოსიბირსკის პროკურორის თანაშემწის განცხადებით, საბაჟოზე დააკავეს ტვირთი, რომელშიც 56 ადამიანის გვამი და ადამიანის თავის ტვინის 400 პრეპარატი აღმოჩნდა. ტვირთის გამგზავნი იყო ნოვოსიბირსკის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, მიმღები კი - გეიდელბერგის პლასტინაციის ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელიცაა დოქტორი გიუნტერ ფონ ჰაგენი.

ჰაგენი ევროპაში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა, მას თანამედროვე ფრანკენშტეინსა და გვამების მხატვარს უწოდებენ. მან სახელი ერთ-ერთი გამოფენით გაითქვა, სადაც ადამიანთა დაკონსერვებული გვამების ჩვენება მოაწყო.

ნოვოსიბირსკში აღძრულ საქმეში ფიგურირებს ნოვოსიბირსკის მედაკადემიის რექტორის, ანატოლი ეფრემოვის გვარი. იგი ამტკიცებს, რომ აღმოჩენილი ადამიანთა გვამები ჰაგენის ინსტიტუტში მიჰქონდათ, მედაკადემიის სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის დასამზადებლად.

### გერმანიის პოლიციამ უკრაინელი კრიმინალი დააკავა

გერმანიის პოლიციამ დააკავა უკრაინის მოქალაქე, რომელმაც გერმანიაში არალეგარულად გადაიყვანა 2 ათასი უკრაინელი მიგრანტი.

36 წლის უკრაინელმა საქმოსანმა, რომელსაც პატრნიორობას უწევდნენ გერმანიის ორი სასტუმროს მფლობელები და ქალაქ ოფენბურგის ტურისტული ბიუროს თანამშრომლები, ერთი წლის მანძილზე უკრაინიდან გერმანიაში, ტურისტის სტატუსით, 2000 ათასი ადამიანი გადაიყვანეს. არალეგალური გზით გერმანიაში შესული უკრაინელების დიდი ნაწილი ევროპის სხვა ქალაქებში გადავიდა.

დაკავებულ დამნაშავეთა ჯგუფს გერმანიის პოლიცია, დიდი რაოდენობით გირაოს თანხის გადახდის შემდეგ, პატიმრობიდან პირადი თავდებით გაათავისუფლებს.

### ФСБ ადამ დეკუშევის ჩვენებებს ავრცელებს

ადამ დეკუშევის დაპატიმრებამ რუსეთის სამართალდამცველებს იმედი გაუჩინა, რომ ძებნილი საშიში კრიმინალები მალე მათ ხელში აღმოჩნდებიან.

რუსეთის სპეცსამსახურები ირწმუნებიან, რომ ძალიან მალე მოსკოვის საგამოძიებო იზოლატორში მიუჩენენ ადგილს 1999 წლის ტერაქტების მთავარ ორგანიზატორებსა და უშუალო შემსრულებლებს, ფედერალურ ძებნას გადაცემულ ტერორისტებს, რომლებმაც დაგეგმეს ვოლგოდონსკსა და მოსკოვში აფეთქებათა სერიალი.

**"ამ ტერაქტების დამგეგმავთა და უშუალო შემსრულებელთა ძირითადი წრე ჩვენს მიერ გაშიფრულია, ახლა საუბარია მათ დაკავებაზე,"** – განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ოპერატიულ-სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ევგენი კოლესნიკოვმა.

გენერალმა კოლესნიკოვმა თავისი განცხადების დამადასტურებელ მტკიცე არგუმენტად ტერაქტების საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურის აღიარებითი ჩვენებები მოიყვანა. **"რამდენიმე დღის წინ საქართველოს უშიშროების სამინისტროს მიერ საქართველოში დაკავებულმა ფედერალურმა ძებნილმა, ადამ დეკუშევმა, რომელიც დაკავების დღესვე გადმოგვცეს, მომხდარ ტერაქტებთან დაკავშირებით დეტალური ჩვენება ჩაგვაბარა. მისი აღიარებითი ჩვენებები ზედმიწევნით ადასტურებს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მიერ მოკვლეულ მასალებს. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ უახლოეს მომავალში ტერაქტის მომწყობი სხვა მთავარი ფიგურებიც დაპატიმრებულნი იქნებიან,"** – განაცხადა ევგენი კოლესნიკოვმა.

რუსეთის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჟურნალისტებს ადამ დეკუშევის აღიარებითი ჩვენების ფრაგმენტებიც გააცნო.

დეკუშევის ჩვენებით, ტერორისტები მითითებებს პირადად ხატაბისა და შეიხ აბუ-უმარისგან იღებდნენ.

**"ჩვენ გვქონდა სერიოზული ინფორმაციები ამის თაობაზე და ადამ დეკუშევმაც დაგვიდასტურა, რომ, შეიხის ინიციატივითა და ხატაბის ბრძანების საფუძველზე, ურუს-მარტანსა და სერჟენ-იურტეში შეიქმნა ტერორისტთა მოსამზადებელი ბანაკები. სწორედ ამ ბანაკებში გაიარეს სამხედრო წვრთნა 1999 წელს რუსეთში განხორციელებული ტერაქტების მონაწილეებმა. დეკუშევმა განაცხადა, რომ მან აფეთქებების მოწყობის თაობაზე ბრძანება პირადად შეიხ აბუ-უმარისგან მიიღო. ტერაქტების გეგმა კი უშუალოდ ხატაბის მეთაურობით შედგა,"** – ასეთია გენერალ კოლესნიკოვის ინფორმაცია, რომელიც ადამ დეკუშევის ჩვენებითაა გამაგრებული.

კოლესნიკოვის განცხადებით, ხატაბის ამფეთქებელ-ბოევიკებმა მოსკოვში შეიტანეს 19 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება და მოაწყვეს 13 ტერორისტული აქტი.

მოსკოვი ქართველ სამართალდამცველებს მნიშვნელოვანი ფიგურის, ტერორისტის, ადამ დეკუშევის დაკავებისა და გადაცემის გამო დიდად ემადლიერება და გამოთქვამს იმედს, რომ რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურებს შორის დაწყებული თანამშრომლობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, კვლავაც გაგრძელდება.

ამასობაში კი რუსეთის კანონდამცველებმა კიდევ ორი ფედერალური ძებნილი ჩაიბარეს - ამჯერად, აზერბაიჯანელი სამართალდამცველებისგან. რამაზან იშგილდინზე და ალექსანდრ მალიგინზე 1999 წლიდან საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. იშგილდინი ბრალდებულია ნიჟნი-ნოვგოროდში მომხდარ აფეთქებაში.

**"ინტერფაქსი"**

## კვირის ამბები

სოფიკო ჩხაიძე

*ივლისი იწურება და შემაშფოთებლად სწრაფად ახლოვდება შემოდგომა, ნაწინასწარმეტყველები არეულობებითა და სახალხო გამოსვლებით -- ყოველ შემთხვევაში სწორედ ამას გვიქადიან პოლიტიკოსები. ამ არცთუ სასიამოვნო მოლოდინში კი ჩვენი ყოფა ერთგვარად დაემსგავსა ტროტილის იმ ბრიკეტს, გასულ კვირას არაერთი რომ აღმოაჩინეს და თავისთავად, ცალკე აღებული, არავითარ საფრთხეს რომ არ წარმოადგენს. მთავარია, ვინმე არ გამოჩნდეს, ვინც ტროტილს დეტონატორით "გაამდიდრებს" და მერე...*

*თუ დაკვირვებიხართ, ამ ბოლო დროს ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენას, ხშირად დესტაბილიზაციის პერსპექტივას რომ უწინასწარმეტყველებენ ხოლმე, მხოლოდ "დეტონატორი" აკლია. ერთიც იქნება, გამოჩნდება ვინმე, ვინც... და მერე...*

### არ გავარდეს

ამჯერად მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით – არაფეთქებულ ასაფეთქებელზე მოგახსენებთ. გასული კვირის ანგარიშით უკვე ორჯერ არ "ბუთქა". თუმცა, უშიშროების სამინისტროს მთელი მაღალი შემადგენლობა, თავისი ანტიტერორისტებითა და გამომძიებლებით, სრული სერიოზულობით დასდევდა ვიღაც ხუმარების მიერ აქა-იქ გაფანტულ ასაფეთქებელ ნივთიერებებს, რომლებიც, როგორც საბოლოოდ გაირკვა, ვერც აფეთქდებოდა.

ჯერ იყო და, სასტუმრო "თბილისთან", სადაც აფეთქების ხმას ბოლო ხანებში მიეჩვივნენ კიდეც, საეჭვო პაკეტის გამოჩენამ შეაშფოთა უშიშროება და რამდენიმესაათიანი დაკვირვების შემდეგ, რუსთაველზე შეკრებილი ცნისმოყვარეების წინაშე, პაკეტში შენახული ასაფეთქებელი ნივთიერება ოქსიგენი "გამოასვენეს". ორიოდ დღის მერე კი უკვე ფაბრიკული წესით შეფუთული ტროტილი გამოიტანეს თვით უშიშროების მინისტრის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განლაგებული საზოგადოებრივი ტუალეტიდან. ამ ორ შემთხვევას საერთო იმდენად ჰქონდა, რომ ასაფეთქებელ ნივთიერებას – არც ოქსიგენსა და არც ტროტილს - არ ახლდა მოქმედებაში მოსაყვანად აუცილებელი მოწყობილობა — დეტონატორი. შესაბამისად, ისინი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ. რაც შეეხება ვერსიებს, პირველ შემთხვევაში წარმოშობილ ვერსიას - აფეთქებით ბიზნეს-კონკურენტებთან გასწორების თაობაზე, თავად სასტუმროს ხელმძღვანელობა უარყოფს, მეორე ჯერზე, აფეთქების ობიექტად ვალერი ხაბურძანიას განხილვაზე, უარს უშიშროების სამინისტრო აცხადებს. მართალია, სულაც არ არის გამორიცხული, ისინი რაღაცას მალავდნენ – რას იზამ, ასეთი პროფესია აქვთ, მაგრამ ისიც ხდება, რომ მათი საიდუმლო ქვეყანას ედება.

### დუმილით გათქმული საიდუმლო

ხშირ შემთხვევაში, მგონი, უბრალოდ, ტრადიციაში გადაზრდილი ჩვევაა – გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კომენტარზე უარის თქმა. რატომ გაასაიდუმლოვა უშიშროების სამინისტრომ საკმაოდ წარმატებული ოპერაცია, რომლის შედეგადაც ისეთი ცნობილი ტერორისტი ჩაიგდეს ხელში, როგორიც ადამ დეკუშევი, იგივე ადამ ხალილოვი, იგივე ადამ რადიშევია, დღემდე გაურკვევლად რჩება. ვერსიები ამის თაობაზე კი მრავლად გამოითქმის.

ფაქტია, დეკუშევის დაპატიმრება რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, ვლადიმირ რუშაილოს საქართველოში ვიზიტს მოჰყვა. მიუხედავად რწმუნებისა, რუშაილო ჩვენთან პანკისში გამაგრებულ ჩეჩნებზე სალაპარაკოდ არ ჩამოდისო, ისიც ფაქტია, რომ რუსი სტუმარი ამ საკითხებზე საუბარს გვერდს არ აუვლიდა. დეკუშევის დაპატიმრების შემდეგ რუსეთმა კიდევ ერთი ფაქტი აღიარა – რომ ქართველებს, რა თქმა უნდა, თუ მოინდომებენ, ერთობლივი ღონისძიების გარეშეც შეძლებიათ ტერორიზმთან ბრძოლა. აქვე ჩვენი მხრიდან კიდევ ერთ ფაქტს დავამატებთ – ქართველი სამართალდამცველები აშკარად ერიდებიან თვით პანკისის ხეობაში ამგვარი ოპერაციების ჩატარებას. პანკისში, მიუხედავად არაერთი განცხადებისა იქ სტაბილური მდგომარეობის დამყარების თაობაზე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დევს ნაღმი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აფეთქდეს. ალბათ, სწორედ ამიტომ გამოიტყუეს დეკუშევი ხეობიდან და მისი დაკავების ოპერაციის ჩატარება ურეკში ამჯობინეს. ალბათ, სწორედ ამიტომ ამჯობინებენ უშიშროების სამინისტროში ამ თემაზე ლაპარაკს - დუმილს. ალბათ, ამიტომ არ საუბრობენ სამომავლო ანტიტერორისტულ გეგმებზე. თორემ, სხვა მხრივ, დაკავების შემდეგ დეკუშევის ადგილსამყოფელი რა დასამალი იყო, როცა ლეფერტოვოს იზოლატორში დეკუშევის დაკითხვის კადრები მთელი რუსეთის ტელევიზიების ტოპ-თემად ქცეულიყო. ისე კი, რუს სამართალდამცველებს ქართველი კოლეგების მიმართ უნდობლობის სრული საფუძველი აქვთ: ესენი არ იყვნენ, რუსეთის გენპროკურატურის მოთხოვნაზე – გადმოგვეცით პანკისში მყოფი ტერორისტი ხალილოვიო, კატეგორიულად რომ პასუხობდნენ, თქვენი დამნაშავეები თქვენში მოიკითხეთო? თემას მოჰყვა და, ბოლო ხანებში ამა თუ იმ დამნაშავის დაპატიმრებას მოყოლილი ამბები ბანქოს ერთ ძველ თამაშს ჰგავს ხოლმე. თამაშს, რომელიც ბავშვობაში, ალბათ, ყველას უთამაშია და დღეს საზოგადოებასა და სამართალდამცველ ორგანოებს შორის მიმდინარეობს, ასე ჰქვია:

### მჯერა-არმჯერა

ამ ორი დღის წინათ პოლიციამ "თავისუფლების ინსტიტუტზე" თავდასხმაში ეჭვმიტანილი გიორგი დოიჯაშვილი დააპატიმრა. და დაიწყო...

თავად პოლიციელებს გარდა, არავის დაუჯერებია დოიჯაშვილის ბრალეულობა. არადა, ერთი შეხედვით, ყველაფერი დამაჯერებლად გამოიყურება. დაკავებული გახლავთ ფიზიკურად ძლიერი სპორტსმენი — სწორედ ასე ახასიათებდნენ "თავისუფლების ინსტიტუტელები" დამრბევებს, იელოველებზე მონადირე რელიგიური ორგანიზაცია "ჯვრის" წევრი – ასეთს რელიგიური უმცირესობების უფლებების დამცველ "თავისუფლების ინსტიტუტზე" ხელის აღმართვა არ უნდა გაჭირვებოდა. იმავე შს მინისტრის თქმით, ოპერატიული ინფორმაცია, რომ დარბევაში ორგანიზაცია "ჯვრის" ხელი ერია, თვით დაზარალებული ინსტიტუტელებისგან წამოვიდა. და ბოლოს, დაკავებულმა კიდეც აღიარა დანაშაული. ამის მიუხედავად, სამართალდამცველთა სიმართლეში ეჭვის შეტანის საფუძველი გაჩნდა და არა მარტო იმიტომ, რომ "თავისუფლების ინსტიტუტელებმა" დაკავებულში დამრბევი ვერ ამოიცნეს - სხვა ყველაფერი წესრიგში რომ ყოფილიყო, არავის გაუკვირდებოდა, თხუთმეტკაციანი ბანდის თავდასხმისას ერთი კაცის გარეგნობა ზუსტად რომ არ დაგამახსოვრდეს - სამართალდამცველთა მიმართ ურწმუნოებას გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს და ეს ფესვები წარსულიდან მოდის. ვიშინსკისა და რუდენკოსეული მეთოდების ძირეულად არუარყოფა, წინასწარი დაკავების საკნებში დაკავებულთაგან აღიარებების მოპოვების ყველასათვის ნაცნობ საშუალებებზე უარის ართქმა – ეს ის ძირითადი მიზეზებია, რომლებიც უნდობლობას უდევს საფუძვლად. დოიჯაშვილის შემთხვევაშიც ბევრი რამ ძველებურად განმეორდა. და როდესაც რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ მასთან ოჯახის მიერ დაქირავებული ადვოკატი შეუშვეს, დაკავებულმა აღიარება მაშინვე უარყო.

მჯერა-არმჯერას თამაში კი მანამდე გაგრძელდება, სანამ ბრალდების საფუძვლად აღიარება კი არა, მტკიცებულება იქცევა. დღევანდელი პრაქტიკის მიხედვით კი, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გახსნილ დანაშაულს აღიარება ერთვის და საქმეც იკვრება. ოპერატიული ინფორმაცია ის გახლავთ, რასაც ჩვენ ვერ გავიგებთ, ნივთმტკიცებები და სხვა მტკიცებულებები კი -- რაზეც პოლიციას ვერ მიუწვდება ხელი. შესაბამისად, იკვრება წრე და ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ სამართალდამცველები მომხდარ, მით უმეტეს, გახმაურებულ დანაშაულს მხოლოდ შემსრულებლების დონეზე გამოიძიებენ და ჩრდილში დარჩება მთავარი – დანაშაულის შემკვეთი; სანამ პოლიციაში არ იქნებიან კადრები, რომელთა მიზანი ნებისმიერი საშუალებით დანაშაულის გახსნა კი არა, კანონის დაცვა იქნება. ამას გვპირდებოდა ახალდანიშნული შს მინისტრი, თუმცა კადრების ცვალებადობის მისეული ტემპი ნამდვილად გაუმჯობესებას საჭიროებს.

### ძალის მოკრების მოლოდინში

გასულ კვირას, რამდენიმე რაიონის პოლიციის უფროსის გათავისუფლებით, კობა ნარჩემაშვილმა უფრო დიდი ცვლილებების მომლოდინეთა იმედები გააცრუა. გორის, ხაშურის, კასპის, ახალგორის, მესტიისა და ოზურგეთის პოლიციის უფროსები ის ჩინოსნები არიან, რომლებიც ნარჩემაშვილისეული ეტაპობრივი საკადრო ცვლილებების მოცემულ მომენტს ემსხვერპლნენ. დაატყდებათ თუ არა მინისტრის რისხვა უფრო "მსხვილ" პოლიციელებს, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, თუ პოლიციის კულუარულ ხმებს ვენდობით, ნარჩემაშვილი ჯერ მხოლოდ ძალებს იკრებს. საინტერესოც კი არის, რას მოიმოქმედებს უკვე "ძალებში შესული" მინისტრი, თუ, რა თქმა უნდა, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობა მას მოთელვას აცლის.

გასულ კვირას მომხდარ გადაადგილებათაგან კი ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ექსცესების გარეშე მოხერხდა პატიმრების ავჭალიდან ხონის კოლონიაში ეტაპირება.

### "აღებული" ციხე

ციხეში "ბუნტის" მოლოდინი მშვიდობიანად დასრულდა. ეგრეთ წოდებული "წითელი ზონის" პატიმრები მშვიდად გაამგზავრეს ხონის კოლონიაში. თუმცა, მანამდე მათი გადაყვანის საკითხი გაბუქდა და ლამის ციხის დესტაბილიზაციაშიც გადაიზარდა. მშვიდობიანი დასასრულის მიზეზები, ალბათ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრინციპულ გადაწყვეტილებაში უნდა ვეძიოთ: მათ ერთი წუთითაც კი არ დაუშვეს კომპრომისი. რაც შეეხება პატიმრებს, მათი პროტესტის მიზეზებს შორის ნარკოტიკებით ვაჭრობის თემამ გაიჟღერა. საკმაოდ საფუძვლიანი მოარული ხმების მიხედვით, სწორედ "წითელი ზონიდან" ხდება საპატიმრო ადგილებში ნარკოტიკების გავრცელება – ზოგიერთ ძველ პოლიციელს ძველი კავშირები ციხის კედლებშიც შერჩა და ნარკოტიკების გავრცელების მათეული ბიზნესი, როგორც ამბობენ, საკმაოდ წარმატებულად მიდის. ცხადია, ამ საქმიანობისთვის თბილისი გაცილებით ხელსაყრელი ადგილია, ვიდრე ხონი. რამდენად არის ეს ვერსია ჭეშმარიტებასთან ახლოს, ამის გარკვევა მხოლოდ მიუკერძოებელი გამოძიებით შეიძლება, რაც ქართველი სამართალდამცველების მოღვაწეობის მოცემულ ეტაპზე, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ციხეებში ნარკოტიკების ბრუნვა იმ საქმეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მფარველობასაც მაღალჩინოსნებს უკავშირებენ. ასეთებს კი დღეს ჩვენი სამართალდამცველები "ვერ წვდებიან".

# ჩვენი თავისუფლება და თავისუფლების ინსტიტუტი

პირველი გვერდიდან

■ ■ ■

თავისუფლების ინსტიტუტის საზოგადოებრივი ოპონენტები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ.

პირველი და ყველაზე მრავალრიცხოვანია ის ჯგუფი, რომელიც ლევან რამიშვილს, გიგა ბოკერიას და დანარჩენებს ხან იეღოველობას, ხან კი სატანისტობას მიაწერს. ეს საზოგადოების ის ფენაა, რომელიც ყველაზე პრიმიტიულ ვერსიებს ქმნის და იზიარებს: რაკი რამიშვილი, ბოკერია და ინსტიტუტის სხვა თანამშრომლები მუდმივად იცავენ ბასილი მკალავიშვილის მიერ შეწუხებულ იეღოველებს, გამოდის, რომ თავადაც იეღოველები არიან, ანუ - ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის მტრები, ანუ - სამშობლოს მოღალატეები. ამიტომაც, მათ უცხოეთიდან მსუყედ აფინანსებენ. ფაქტობრივად, თავისუფლების ინსტიტუტს იეღოველებით უდგას სული: რაც უფრო ხშირად დაარბევენ უცხო სარწმუნოების მიმდევრებს ბასილი მკალავიშვილის თანამებრძოლები, მით უფრო მეტ დაფინანსებას მიიღებენ იეღოველების დამცველი ბიჭები მათი უცხოელი პატრონებისგან – ასეთია ოპონენტთა პირველი ჯგუფის ლოგიკა.

მეორე ჯგუფი რიცხობრივად მცირეა, მაგრამ აგრესიულობით პირველს არ ჩამოუვარდება. ესენი არიან ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები, რომლებიც თავისუფლების ინსტიტუტს პრივილეგირებულ არასამთავრობო ორგანიზაციად მიიჩნევენ. მათი ბრალდება ისაა, რომ თავისუფლების ინსტიტუტი ადამიანის უფლებების დაცვის პრივატიზებას ცდილობს – აქაოდა, ჭეშმარიტი უფლებადამცველები მხოლოდ ჩვენ ვართ, დანარჩენები კი ადამიანის უფლებების თემას მხოლოდ "შირმად" იყენებენო. ოპონენტთა მეორე ჯგუფი თავისუფლების ინსტიტუტის უკან პოლიტიკურ პატრონებს ხედავს ჟვანიასა და სააკაშვილის სახით, თავად ინსტიტუტს კი პოლიტიკური შეკვეთების შესრულებაში სდებს ბრალს. ამავდროულად, მეორე ჯგუფის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ორმაგ სტანდარტს მისდევენ, როდესაც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ თავისუფლების ინსტიტუტის დარბევის ფაქტის მიმართ, დანარჩენი არასამთავრობო ორგანიზაციების ბედი კი მათ საერთოდ არ აწუხებთ.

არსებობს ოპონენტთა მესამე ჯგუფი, რომელსაც არავითარი ინტერესი ან აგრესია თავისუფლების ინსტიტუტის მიმართ არ გააჩნია. ეს არის ინტელიგენტი ქართველებისგან შემდგარი ჯგუფი, რომლებსაც, მათივე განმარტებით, აღიზიანებთ ლევან რამიშვილის, გიგა ბოკერიას, ზურაბ ჭიაბერაშვილისა თუ დავით ზურაბიშვილის სატელევიზიო გამოსვლები. ამ ჯგუფის მთავარი პრეტენზია თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელთა მიმართ, მათი ზედმეტი სითამამე, უფროსი თაობის უპატივცემულობა, მოუზომავი ტონი, ზრდილობის დეფიციტი და აშკარად გამოხატული ცინიზმია.

■ ■ ■

არ იქნება სწორი, თუ ვიტყვით, რომ საზოგადოებრივი აზრი თავისუფლების ინსტიტუტის წინააღმდეგ გაერთიანდა. რადგან ზემოთ ჩამოთვლილი სამი ჯგუფის წარმომადგენლებს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. მართალია, მათი დამოკიდებულება თავისუფლების ინსტიტუტის მიმართ მეტნაკლებად ერთგვაროვანია, მაგრამ სამივე ჯგუფის არგუმენტები მისაღებია მხოლოდ ამა თუ იმ ჯგუფის ფარგლებში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავდაცვის ინსტიტუტის ოპონენტების სამივე ჯგუფს, ბოლოს და ბოლოს, აღიზიანებთ ის აგრესია, რომელსაც თავისუფლების ინსტიტუტი იჩენს ადამიანის უფლებების დაცვისას.

უცნაურია, მაგრამ ქვეყანაში, რომელშიც, ჯერჯერობით, ყველაზე მეტი მიმდევარი აგრესიულ ლიდერებს ჰყავთ; ქვეყანაში, სადაც საზოგადოებას ნაკლებად აღიზიანებს ბასილი მკალავიშვილის, გურამ შარაძის, ბადრი ზარანდიას, შალვა ნათელაშვილის ან მიხეილ სააკაშვილის აგრესია, მაინცდამაინც ლევან რამიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის აგრესია აღმოჩნდა მიუღებელი.

■ ■ ■

თავის დროზე, დედამიწის მოზრდილ ნაწილში, ჰარმონიული საზოგადოების იდეალად კომუნიზმი იყო გამოცხადებული და მას მილიონობით ადამიანი ენთუზიაზმით აშენებდა. უცნაურია, მაგრამ კომუნიზმის (როგორც ჰარმონიული საზოგადოების) მითი სტალინის სისხლიანმა რეპრესიებმა კი არ დაამხო, არამედ – ბრეჟნევისდროინდელმა კორუფციამ და უძრაობამ.

კომუნიზმის ილუზიის მსხვრევის შემდეგ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ჰარმონიული საზოგადოების იდეალად სამოქალაქო საზოგადოება იქცა.

ჩვენც მისკენ მივისწრაფვით. ხშირად გვესმის ტერმინები – სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო ცნობიერება. ეს პოლიტიკური ტერმინებია, რომელთა მიღმა ნაგულისხმევი შინაარსი თანამედროვე ქართული პოლიტიკის ორიენტირებად ცხადდება. მაგრამ, რა არის სამოქალაქო საზოგადოება? ზოგადი განმარტების თანახმად,



10 ივლისი. გურამ შარაძის მომხრეთა მიტინგი თავისუფლების ინსტიტუტის ოფისთან

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სამოქალაქო საზოგადოება არასამთავრობო ინსტიტუტების ერთობლიობაა, რომელიც, ერთი მხრივ, ზღუდავს სახელმწიფო მონოპოლიას და, მეორე მხრივ, ხელს უშლის დანარჩენი საზოგადოების დაქუცმაცებას.

მთავარი იდეა, რომლის ირგვლივაც ერთი კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაცია - თავისუფლების ინსტიტუტი - საზოგადოების შემოკრებას ცდილობს, ადამიანის უფლებების დაცვაა. ადამიანის უფლებების დამცველები კი მთელ მსოფლიოში მკაცრად იცავენ განსაზღვრულ პრინციპებს. საქართველოში კი, ისე მოხდა, რომ ამ პრინციპების დაცვამ თითქმის მთლიანად შეიწირა თავისუფლების ინსტიტუტის ავტორიტეტი. როდესაც ბასილი მკალავიშვილმა იეღოველების დარბევა დაიწყო, დაზარალებულ და უფლებაშელახულ ადამიანებს თავისუფლების ინსტიტუტი გამოესარჩლა. შემდეგ, მკალავიშვილის დამსჯელი რაზმი იეღოველებს რამდენჯერაც მიუვარდებოდა, იმდენჯერ დაზარალებულები თავისუფლების ინსტიტუტში გარბოდნენ და შველას ითხოვდნენ. გზადაგზა აშკარად იკვეთებოდა ის რეალობა, რომ იეღოველების ინტერესების დაცვა ინსტიტუტს ავტორიტეტს ულახავდა საზოგადოების მოზრდილი ჯგუფის თვალში. მკალავიშვილის ავტორიტეტი იზრდებოდა იეღოველების დარბევის ხარჯზე, ამიტომ, მას არ შეეძლო, პერიოდულად დამრბევი აქციები არ ჩაეტარებინა (იგი მხოლოდ ამისთვის და ამის ხარჯზე არსებობს); თავისუფლების ინსტიტუტს კი, შესაბამისად, არ შეეძლო, უფლებადაცვითი პრინციპისთვის ეღალატა და ყოველი დარბევის შემდეგ არ გამოეცხადებინა პროტესტი მკალავიშვილის და მისი აქციების წინააღმდეგ. ასე აღმოჩნდა ერთმანეთზე გადაჯაჭვული მკალავიშვილის ავტორიტეტის ზრდა და თავისუფლების ინსტიტუტის ავტორიტეტის დაცემა. საზოგადოება ყველაზე ადვილად ქმნიდა და ყველაზე უკეთ "ინელებდა" პრიმიტიულ ვერსიებს. ამიტომაც დაიჯერა პირველი ჯგუფის წევრთა დიდმა არმიამ, რომ მკალავიშვილი შეიძლება ცუდია ან კარგია, მაგრამ ეროვნულ საქმეს აკეთებს, თავისუფლების ინსტიტუტი კი საქართველოს გადასაშენებლად ჩამოყვანილ იეღოველებს იცავს. რატომ? ამ კითხვაზე პირველი ჯგუფის ფარგლებში სულ ორი პასუხი არსებობს: ან იმიტომ, რომ თავად რამიშვილი, ბოკერია და სხვები იეღოველები არიან; ან კიდევ იმის გამო, რომ იეღოველების დაცვაში თავისუფლების ინსტიტუტი დიდ გრანტს ანუ ბევრ ფულს იღებს.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ასეთი მსჯელობის პასუხი აგრეთვე პრიმიტიული და მკაფიო უნდა იყოს: თავისუფლების ინსტიტუტის წევრები არც იეღოვას მოწმეების და არც სხვა რომელიმე სექტის მიმდევრები არიან და, უფრო მეტიც, მათ არასოდეს მიუღიათ არც ერთი დოლარი ან ლარი იმისათვის, რომ რელიგიური უმცირესობების უფლებებს იცავენ, - ამ ინფორმაციის წყარო თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორი ლევან რამიშვილია.

■ ■ ■

ოპონენტთა მეორე ჯგუფთან დაკავშირებით სასაუბროც არაფერია. სახელისუფლო წრეს სძულს თავისუფლების ინსტიტუტი, რომელიც მწვავედ უპირისპირდება შევარდნაძეს და, უფრო მწვავედ - კოლექტიურ შევარდნაძეს. შესაბამისად, მეორე ჯგუფი, პირველისგან განსხვავებით, არაგულწრფელია და დაინტერესებულია თავისუფლების ინსტიტუტის, როგორც ქმედითი ოპონენტის, დისკრედიტაციით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბასილი მკალავიშვილი წლების განმავლობაში დაუსჯელად და თვითნებურად მოქმედებს, ადვილი მისახვედრია, რომ მას ფარულად (არცთუ ძალიან ფარულად) სახელმწიფო აძლიერებს. მკალავიშვილის აგრესია შესანიშნავი იარაღია სახელმწიფოს ხელში და, მათ შორის, იარაღია თავისუფლების ინსტიტუტის წინააღმდეგ. "იეღოველებად" და "სატანისტებად" შერაცხული უფლებადამცველები გაცილებით ადვილი მოსაგერიებლები არიან კოლექტიური შევარდნაძისათვის, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდნენ, თუკი ხელისუფლება მათი ავტორიტეტის შელახვაზე სერიოზულად არ იზრუნებდა.

■ ■ ■

ყველაზე საინტერესოა ოპონენტთა მესამე ჯგუფი. ეს ჯგუფი განათლებული, განსწავლული და ანგარებას მოკლებული ადამიანებისგან შედგება. წესით და რიგით, სწორედ ეს ჯგუფი უნდა იყოს თავისუფლების ინსტიტუტის მოკავშირე და თანამოაზრე, სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ბურჯი. მაგრამ არა, ინტელიგენცია პასიურია და სხვისი აქტიურობა, განსაკუთრებით აგრესიისკენ მიდრეკილი, აღიზიანებს. აღიზიანებს ასაკობრივი ბარიერის დარღვევაც და ახალგაზრდების ზედმეტი სითამამეც. ეს ჯგუფი უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ფორმას, ვიდრე შინაარსს. მათთვის, პრინციპში, უფრო მისაღებია გურამ შარაძის "ზრდილობა", ვიდრე ლევან რამიშვილის "უზრდელობა", მათთვის მიუღებელია ჯანსულ ჩარკვიანის ბილწსიტყვა ენამწარობა, მაგრამ კიდევ მეტად მიუღებელია ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ გარკვეული კატეგორიის ადამიანების მიმართ საჯაროდ გამოთქმული შეფასება - "ნაძირალები". პრინციპში, ეს ჯგუფი არ უარყოფს შარაძის საზოგადოებრივი ბიოგრაფიის საეჭვო დეტალებს, ეს ჯგუფი არც ჯანსულ ჩარკვიანის საზოგადოებრივი ეთიკის ადვოკატია, მაგრამ ახალგაზრდების შეტევა უფროს თაობაზე, მით უმეტეს, აგრესიული ფორმით, ქართული ინტელიგენციისთვის ცალსახად მიუღებელია.

■ ■ ■

თავისუფლების ინსტიტუტის საზოგადოებრივ ოპონენტთა სამივე ჯგუფი - რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა მტრები, ხელისუფლებასთან დაახლოებული წრე და ინტელიგენციის ნაწილი – ქართული ტრადიციული საზოგადოების პირმშოა. ტრადიციული საზოგადოება კი სწორედ ისაა, რისი რეფორმაციის, გარდაქმნის შედეგადაც მიიღება სამოქალაქო საზოგადოება. ტერმინით "ტრადიციული საზოგადოება" მეცნიერები აღნიშნავენ საზოგადოების იმგვარ მოწყობას (მითოლოგიურიდან საბჭოთა ეპოქის ჩათვლით), როდესაც თაობები იცვლება, ცხოვრების წესი და ქცევის სტერეოტიპი კი იგივე რჩება. იერარქიულობა ტრადიციული საზოგადოების მთავარი ღერძია: ქვედა საფეხური ემორჩილება ზედას, ქვემდგომი ემორჩილება ზემდგომს; შესაბამისად, საქართველოში არაქართველი უნდა დაემორჩილოს ქართველს, არამართლმადიდებელი უნდა დაემორჩილოს მართლმადიდებელს (პირველი ჯგუფი); ხელისუფლების ქვემოთ მდგომი ყოველი მოქალაქე უნდა დაემორჩილოს ხელისუფლებას (მეორე ჯგუფი); ასაკით და ცენზით უმცროსმა პატივი უნდა სცეს ასაკით და ცენზით უფროსს (მესამე ჯგუფი).

სამოქალაქო საზოგადოება სწორედ ამ იერარქიას ანგრევს. სამოქალაქო საზოგადოებაში ყველა თანაბარია კანონის წინაშე და ნებისმიერი ადამიანის უფლებას კანონი იცავს. უფლებადაცვითი ორგანიზაციები (ისეთები, როგორიცაა თავისუფლების ინსტიტუტი), სამოქალაქო საზოგადოების პირობებში, უბრალოდ, თვალყურს ადევნებენ, რომ ვინმემ არ მოინდომოს კანონის დარღვევა და მეორე ადამიანის სამოქალაქო უფლების შელახვა.

გამოდის, რომ ჩვენი საზოგადოება უფრო მეტად ტრადიციულია, ვიდრე სამოქალაქო. თავისუფლების ინსტიტუტი კი უგულებელყოფს ტრადიციული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ წესრიგს და ახალი, სამოქალაქო წესების დამყარებას ცდილობს. ამიტომაც ხდება, რომ საზოგადოება ალთასაა, თავისუფლების ინსტიტუტი კი – ბალთას.

■ ■ ■

რა არის ამგვარი "აცდენის" შედეგი? საზოგადოება სულ უფრო მეტად და მეტად ემიჯნება თავისუფლების ინსტიტუტს, როგორც მისთვის უცხო ელემენტს და ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, ეთანხმება და აკანონებს ბასილი მკალავიშვილის და გურამ შარაძის აგრესიას. მათი აგრესიით კი ოსტატურად სარგებლობს ხელისუფლება. იმ სქემის მიხედვით, რომლითაც საზოგადოება მკალავიშვილის და შარაძის ქმედებებს აკანონებს (ქვემდგომი უნდა დაემორჩილოს ზემდგომს, ანუ სექტანტი უნდა დაემორჩილოს მართლმადიდებელს, არაქართველი – ქართველს), თითოეული მოქალაქე უნდა დაემორჩილოს ხელისუფლებას, თუნდაც კორუმპირებულს და ყოვლად უუნაროს. ამიტომაც არის, რომ მკალავიშვილიც და შარაძეც კოლექტიური შევარდნაძის აქტიური ნაწილია, აძლიერებს მას და თავადაც მისგან ძლიერდება. თუმცა, კოლექტიურ შევარდნაძესთან დაპირისპირებულ თავისუფლების ინსტიტუტს მოჭრილი აქვს იმ საზოგადოებასთან მისასვლელი გზები, რომელიც შინაგანად აგრეთვე უპირისპირდება კოლექტიურ შევარდნაძეს. ფაქტობრივად, საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება თავისუფლების ინსტიტუტის გაძლიერება და არა შარაძის თუ მკალავიშვილის აგრესიის დაკანონება. მაგრამ, ჯერჯერობით, ყველაფერი პირიქით ხდება.

ეს საკმაოდ ცნობილი საზოგადოებრივი მოვლენაა და მის გააზრებაში დაგვეხმარება "დათა თუთაშხიას" ის ეპიზოდი, რომელშიც არქიფო სეთურის სამგლობელოა აღწერილი. დათა თუთაშხია და მისი თანმხლები მოსე ზამთარაძე არქიფო სეთურის ქვეშევრდომებმა კეტებით იმდენი ცემეს, სანამ სიკვდილის პირას არ მიიყვანეს. ციტატა: "ცოფიანი ქოფაკებივით გვეტაკა ყველა. გვირტყეს, მარა რა გვირტყეს!.. სანამდე მობეზრდათ – იქამდე. კაი ხანს ვეყარეთ მიწაზე. არავინ მოგვკარებია. მოვითქვით სული, გავიხსენით, რავარც იქნა, ხელ-ფეხი, მარა სიარული არ შეგვეძლო და რაფრად ავფორთხდით ცხენებზე, ახლაც ვერ გამიგია". რისთვის დაისაჯა "ორი სახელიანი აბრაგი"? სწორედ იმისათვის, რომ არქიფო სეთურისგან უფლებაშელახულ ადამიანებს დათა თუთაშხიამ მათივე უფლებების დაცვისკენ მოუწოდა. მაგრამ ტრადიციული საზოგადოების წევრები არ აღმოჩნდნენ მზად რეფორმაციისთვის და სამოქალაქო საზოგადოების პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად. ამ "აცდენის" შედეგად, "რეფორმატორი" თუთაშხია უმოწყალოდ გაილახა, ტრადიციული საზოგადოება კი დარჩა უფლებაშელახული და არარეფორმირებული, მაგრამ - კმაყოფილი. მოგებულნი, ცხადია, არქიფო სეთური და მისი მოურავი თაბაგარი დარჩნენ.

■ ■ ■

თავისუფლების ინსტიტუტის დარბევას პოლიტიკური სპექტრი ერთობ ნელ-თბილად გამოეხმაურა - და ესეც სიმპტომატურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. პოლიტიკური ლიდერების უმრავლესობამ არ ისურვა "დინების აღმა ცურვა". მათ დაგმეს აგრესია, მაგრამ ეს საკმაოდ დუნედ და არაენერგიულად მოიმოქმედეს. თავისუფლების ინსტიტუტის ოპონენტთა სამივე ჯგუფი ერთად ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს; პოლიტიკოსებმაც - განმანათლებლობასა და რეფორმატორობას - საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევა ამჯობინეს. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ პოლიტიკურმა სპექტრმაც ფარულად მისცა დასტური მკალავიშვილისა და შარაძის აგრესიის ლეგიტიმაციას (დაკანონებას), ხოლო თავისუფლების ინსტიტუტის - მარგინალიზაციას (განდევნას ცენტრიდან პერიფერიისკენ).

თავად თავისუფლების ინსტიტუტის თანამშრომლები საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობას სრულად აცნობიერებენ და მათ ირგვლივ განვითარებულ პროცესს საკმაოდ მშვიდად ხვდებიან. ლევან რამიშვილი ამბობს, რომ მათი საქმე არ არის საზოგადოების წინაშე თავის მოწონება; მათი საქმეა უფლებაშელახული ადამიანების აღმოჩენა, მათი დახმარება, საზოგადოებისთვის სხვების პრობლემების და საკუთარი უფლებების გაცნობა.

როდესაც საქართველოში ტრადიციული საზოგადოება მაინც გარდაიქმნება სამოქალაქო საზოგადოებად, მაშინ აღარავის გაუკვირდება, რომ არაიეღოველი დაიცავს იეღოველის უფლებებს, ჩვეულებრივი მოქალაქე დაუპირისპირდება ხელისუფლებას და არასაჯარო პირი საჯარო პირს ბევრისთვის მიუღებელი ეპითეტებით შეაფასებს. მანამდე კი თითოეული გულწრფელი მოწოდება, რომ ჩვენს ქვეყანაში, კონსტიტუციის თანახმად, ყველა თანასწორია - მიუხედავად ეროვნებისა, მრწამსისა, თანამდებობისა, ცენზისა და ასაკისა – ყოველთვის შეიცავს საფრთხეს; საფრთხეს, რომელიც შთამბეჭდავად აღგვიწერა ჭაბუა ამირეჯიბმა ქართველებისთვის უაღრესად საამაყო წიგნში და რომელიც არანაკლებ შთამბეჭდავად განხორციელდა 10 ივლისს თავისუფლების ინსტიტუტში. **"ხოლო მომძღვნელმან ჩვენის პურისა და სარჩოსი, მამამან ჩვენმან უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელ არს არქიფო, - იცოცხლოს მარადჟამს!"**

*თუ ჩვენი ძვირფასი მკითხველი დაინტერესდა თავისუფლების ინსტიტუტით, მივაწვდით რამდენიმე ცნობას მისი წევრების საქმიანობის შესახებ:*

*თავისუფლების ინსტიტუტის შექმნამდე, სტუდენტობის პერიოდში, გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე "ქრისტიან-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაციის" ვიცეპრეზიდენტები იყვნენ (ეს ინფორმაცია იმათთვის იქნება საინტერესო, ვისაც გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე მართლმადიდებლობის მტრები ჰგონია).*

*თავისუფლების ინსტიტუტი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია 1996 წელს შეიქმნა სიტყვის თავისუფლების დასაცავად (მაშინ "რუსთავი 2"-ს მეორედ შეუწყვიტეს მაუწყებლობა). პირველი სამი წლის განმავლობაში ამ არასამთავრობო ორგანიზაციას ერთი გრანტიც კი არ მიუღია, რასაც ლევან რამიშვილი მათი გამოუცდელობით ხსნის. დღემდე, თავისი არსებობის მანძილზე, თავისუფლების ინსტიტუტს გრანტის სახით მიღებული აქვს 253 216 დოლარი (ზოგიერთი ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია წელიწადში ათჯერ და ორცჯერ მეტი თანხის გრანტს იღებს, ვიდრე თავისუფლების ინსტიტუტი).*

*სამართალდაცვით სფეროში თავისუფლების ინსტუტუტი მონიტორინგს აწარმოებს უკანონო დაკავების, უკანონო ჩხრეკის და საპროცესო ვადების დარღვევის ფაქტებზე. ინსტიტუტი მოიძიებს დამოუკიდებელი ექსპერტების და ადვოკატის უფლებების შეზღუდვის ფაქტებს. ამ საკითხებზე მუშაობისას თავისუფლების ინსტიტუტს სერიოზულად დაუპირისპირდნენ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კახა თარგამაძე და თბილისის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი სოსო ალავიძე.*

*ინსტიტუტს ჩატარებული აქვს სერიოზული საკანონმდებლო მუშაობა. მათი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა კანონები: "ინფორმაციის თავისუფლების შესახებ" (ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი), "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" და კანონპროექტი "სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ" (მიღებულია მხოლოდ პირველი მოსმენით); აგრეთვე, კანონები "პაციენტის უფლებების შესახებ", "ადვოკატურის შესახებ" და "პატიმრობის შესახებ". ამჟამად ინსტიტუტი მუშაობს სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსზე, რომელიც მთლიანად დაემყარება დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებას. ეს კანონები ქმნიან პირობებს, რომ გარანტირებულად იქნას დაცული ადამიანის უფლებები სხვადასხვა სფეროში.*

*თავისუფლების ინსტიტუტს ჩატარებული აქვს ჟურნალისტური გამოძიება და გამოქვეყნებული აქვს დოკუმენტური მასალა შემდეგ საკითხებზე: კავშირგაბმულობა (ფრიდონ ინჯიას "აბლაბუდა"), სოფლის მეურნეობა (ბაკურ გულუას საქმიანობა), ბუნებრივი აირი და რუსთავის საწარმოები (დავით ბეჟუაშვილი და ლევან მამალაძე), სიგარეტის, ბენზინის, სპირტის კონტრაბანდა (შს და უშიშროების სამინისტროების მონაწილეობა). ამავე ინსტიტუტმა გამოაქვეყნა მასალები და ერთიანი სქემა "შევარდნაძის ოჯახის" შესახებ; იმ ფარული კავშირების შესახებ, რაც არსებობს "ოჯახის" წევრებსა და მათ საქმიანობას შორის.*

*ამჟამად თავისუფლების ინსტიტუტი მუშაობს აქტიური მოქალაქეების სკოლის შექმნაზე. საქართველოს ოთხ რეგიონში – მესხეთში, იმერეთში, შიდა ქართლსა და კახეთში – ინსტიტუტი ქმნის აქტიურ მოქალაქეთა ქსელს, რომელშიც უკვე გაერთიანებულია 2000 ადამიანი. რეგიონული ომბუდსმენები და კოორდინატორები მუშაობენ უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოსაჩენად და უფლებაშელახული ადამიანების დასახმარებლად.*

*ბოლო პერიოდში ინსტიტუტი ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას და გამოსცემს წიგნებსა თუ ბროშურებს, სადაც თავმოყრილია ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება ადამიანის უფლებების შესახებ.*

*დაბოლოს, თავისუფლების ინსტიტუტი აქტიურად მუშაობს სტუდენტებთან – შიდასაუნივერსიტეტო რეფორმის საკითხებზე.*

www.24hours.ge 24 B







# ოლიგარქებო, ყურადღება!

# სტარტზეა "მაიბახი"

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

ფეშენებელური საოკეანო ლაინერით "დედოფალი ელისაბედ II" გერმანიიდან ნიუ-იორკში ჩამოვიდა ყველაზე, ყველაზე... მნიშვნელოვანი პერსონა(VIP-ების VIP). მას შამპანურით საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს და სპეციალური შვეულმფრენით პირდაპირ უოლ-სტრიტზე გადააბრძანეს. ამ "ძალიან მნიშვნელოვანმა პერსონამ" მსოფლიოს ფინანსური დედაქალაქის ქუჩებში, პირდაპირ უნდა ითქვას, ტრიუმფალური სვლა განახორციელა. ტროტუარები სეირის მაყურებელ ხალხს აევსო. აქ იყვნენ ბანკირები, დილერები, დაზღვევის აგენტები, მაკლერები - ყველანი პირდაღებულნი შესცქეროდნენ დიდებულ პერსონას. იგი თავისი სილამაზით გაცილებით უფრო ხიბლავდა ამ პუბლიკას, ვიდრე ნიკოლ კიდმანი, რომელიც ამას წინათ ჟურნალმა "People" მსოფლიოში წლის ყველაზე ლამაზ ქალად აღიარა. ბანკირების, დილერების, მაკლერების ანთებულ თვალებში აშკარად იკითხებოდა მოულოდნელად აღძრული ვნება, ვნება ამ "ძალიან მნიშვნელოვანი პერსონის" დაუფლებისა. პერსონა იყო მთლიანად შავებში, მკაცრად ელეგანტური, არც ერთი ხარვეზი და, ამავე დროს, არანაირი გაფორმება. ასეთ არსებას Make-up არ სჭირდებოდა.

უოლ-სტრიტის დამპყრობ პერსონას ბრწყინვალე წინაპრები ჰყავდა. მისი მომხიბლავი წინამორბედნი იპყრობდნენ გვირგვინოსანთა გულებს; მათ შორის იყვნენ ეთიოპიის იმპერატორი ხაილე სელასიე, საბერძნეთის მეფე პავლე, ნიდერლანდის კრონ-პრინცი ბერნარდი და მრავალი ინდოელი მაჰარაჯა თუ არაბი შეიხი. უბრალო მოკვდავთაგან მისი ფლობის ბედნიერება ერგოთ არცთუ ისე უბრალოებს, მაგალითად, უდიდეს ტენორს ენრიკო კარუზოს და მსოფლიო ჩემპიონს კრივში - მაქს შმელინგს. ასეთი ფაქტები, ცხადია, პატივმოყვარეობას ულიზიანებდა უოლ-სტრიტის ფინანსურ არისტოკრატიას, რომელსაც, თავისი მილიონებისა და მილიარდების მიუხედავად, მუდმივად დაუკმაყოფილებლობის განცდა აწუხებს. ამიტომაც იყო ასეთი მძაფრი "ოკეანესგაღმელი ტურფას" დაუფლების სურვილი. მასთან ერთად ხალხში გამოჩენა ხომ დიდი წარმატების და დიდი ძლიერების ნიშანია.

"ძალიან მნიშვნელოვან პერსონას", რომლის დეფილეც იმ დღეს უოლ-სტრიტზე გაიმართა, "მაიბახი" ჰქვია. შემთხვევით, ხომ არ გეცნობათ? ალბათ, არა. ის ხომ, გრეტა გარბოსი არ იყოს, დიდი ხნის წინ გაქრა ჰორიზონტიდან და აი, უკვე 60 წელია, არავის უნახავს. მისი წინაპრები წინა საუკუნის 30-იან წლებში ბრწყინავდნენ, სახელად ერქვათ "გროსერი" და "მაიბახ ცეპელინი". პირველი იყო 8-ცილინდრიანი "მერსედეს-770", მეორე კი - 12-ცილინდრიანი "მერსედესი", რომელსაც "ცეპელინს" უწოდებდნენ, ვინაიდან მისი ძრავა ცნობილ დირიჟაბლსაც ემსახურებოდა. "მაიბახის" 1800 ეგზემპლარიდან უკანასკნელი 1941 წელს ჩამოვიდა კონვეიერიდან.

ომმა ეს "ჰარამხანის ნებიერა" მილიტარისტულ "სალდაფონად" აქცია.

და ახლა "მერსედეს-ბენცმა" გადაწყვიტა ააღორძინოს "მაიბახი" - ელიტარული ლიმუზინი. გამოუშვებენ ორ სახეობას - "მაიბახ-57", სიგრძით 18,8 ფუტი, რომლის მართვა შეუძლია თვითონ მის ბედნიერ მფლობელს; და "მაიბახ-62", სიგრძით 20 ფუტზე მეტი, რომლისთვისაც რეკომენდებულია მძღოლის ყოლა. პირველის ფასია 300 ათასი დოლარი, მეორისა - 350 ათასი და ზევით.

მაშინ, როდესაც გიგანტურ მინის ზარდახშაში გამომწყვდეული "მაიბახი" ლაინერ "დედოფალ ელისაბედ II"-ით ატლანტის ოკეანეს სერავდა, ამერიკის საავტომობილო წრეებში თითქმის ჰამლეტისებური პრობლემა წყდებოდა - ნიუ-იორკში "მაიბახის" ყოფნა-არყოფნის საკითხი. საქმე ის არის, რომ ნიუ-იორკი ისედაც გადატენილია უზარმაზარი, წაგრძელებული ლიმუზინებით - ასიათასდოლარიანი "კადილაკებით" და "ლინკოლნებით", რომლებიც აღჭურვილნი არიან გასაშლელი სავარძლებით, ბარით, ტელევიზიით, ფაქსით, ციფრული ვიდეო-ფლეიერით (DVD) და შხაპითაც კი (ამ "stretch-ლიმუზინებით" ნიუ-იორკს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს). თვითონ კომპანიისათვის ამ საკითხში საყოყმანო არაფერი იყო, მით უმეტეს, ჰამლეტისებურად. როგორც "მაიბახის" ბრენდ-მენეჯერმა უეინ ქილენმა განაცხადა, "ეს ლიმუზინი მთლიანად შეცვლის ინტელექტუალურ წარმოდგენას ზემდიდრულ ავტომობილებზე".

"ინტელექტუალური წარმოდგენები" პოტენციურ მყიდველზე ემოციურ ზემოქმედებას ემყარება. "მაიბახი" არ არის გადაადგილების საშუალება. პირიქით, ნიუ-იორკის გადატვირთულ სატრანსპორტო არტერიებში ამ მანქანით გასვლა მახეში გაბმის ტოლფასია, მიუხედავად იმისა, რომ აქაური ოლიგარქები (ჩვენებისგან განსხვავებით) "პინკერტონებით" სავსე "პიკაპების" თანხლებით სულაც არ დადიან. "მაიბახი" - ეს ბორბლებიანი სტატუსია, ფუფუნება და არა ოსტაპ ბენდერის "ანტილოპა გნუ". "მაიბახის" პოტენციურ მყიდველებს ექნებათ ფართო არჩევანის საშუალება - ფერი, ხის და ტყავის ხარისხი, საფარი (თვით გრანიტის ჩათვლით), ეს ხომ "მაიბახია" - ძეგლი და არა მანქანა. სავარძლები უკანა სალონში ავიალაინერების პირველი კლასის სალონის სავარძლების მსგავსადაა შექმნილი. დამონტაჟდება ბრტყელი მონიტორი DVD-თვის, მაცივარი, სპიდომეტრი - უკან მჯდომი მგზავრი თვალყურს ადევნებს, რა სიჩქარით მართავს მძღოლი მანქანას; სხვადასხვა ელექტრონული და ლუქსუსური ზიზილ-პიპილები მყიდველის სურვილის მიხედვით.

ზემდიდრული მანქანების ბაზარს გერმანელები სულ უფრო და უფრო იპყრობენ. მაგალითად, "BMW" აპირებს, დაიწყოს "როლს-როისის" ახალი მოდელების გამოშვება, ხოლო "ფოლკსვაგენი" - "ბენტლი"-სას. მსოფლიოს ოლიგარქების ვიწრო წრეებში "მაიბახის" დამკვიდრებას მოემსახურება ლიდერთა სპეციალურად შექმნილი 75 კანტორა, რომლებიც სექტემბერში გაიხსნება. ამ დროისათვის ნავარაუდევია პირველი შეკვეთები ამერიკელი კლიენტურისგან. თვით "მაიბახებს" კი მფლობელები მომავალი წლის გაზაფხულზე მიიღებენ. "მერსედეს-ბენცის" ამერიკული ფილიალის მეთაური პაულ ჰალათი თვლის, რომ მხოლოდ აშშ-ში წელიწადში 400 "მაიბახი" გაიყიდება. მისი გათვლებით, მთელ მსოფლიოში 8500 "ინდივიდუუმია", რომელიც ყოველწლიურად მეოთხედ მილიონ დოლარს ხარჯავს ავტომობილებზე. ამ საზოგადოების ნახევარს ამერიკელები შეადგენენ. უნდა დავუჯეროთ ჰერ-მისტერ ჰალათს, მის თანამდებობაზე ყოფნისას სტატისტიკის უგულებელყოფა სიკვდილის ტოლფასია.


ლაინერ "დედოფალი ელისაბედ II"-ს გემბანიდან "მაიბახი" უოლ-სტრიტზე გადაჰყავთ







რამდენიმე სიტყვით "მაიბახის" გარეგნობის შესახებ. ის ტრადიციული და მასიურია ისევე, როგორც მისი წინამორბედი "ცეპელინები". მის მკერდში ძგერს "ცეცხლოვანი ძრავა" - 12-ცილინდრიანი. კონსერვატორული სტილი მაღალ სახურავს მოითხოვს. ძრავის სიმძლავრეა 543 ცხენისძალა - ბუდიონის თითქმის მთელი კავალერია. "მაიბახი" ზინდელფინგენში, შტუტგარტთან ახლოს "დაიმლერ-კრაისლერის" ზეავტომატურ ხაზებზე აიწყობა. მაგრამ კონვეიერიდან ჩამოსულ "მაიბახებზე" ჩატარდება კიდევ უზარმაზარი, ხელით სამუშაო, შესრულდება მფლობელთა სპეციალური შეკვეთები. თანამედროვე "ცეპელინების" მომავალ ბედნიერ მფლობელებს სთავაზობენ განსაკუთრებულ პრივილეგიას - შეუძლიათ თვალყური ადევნონ მათ შექმნას. ამისათვის ავტოქარხანაში სპეციალური ტურებია ორგანიზებული. გარდა ამისა, მფლობელებს შესაძლებლობა აქვთ, დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ ე.წ. "მაიბახთან ურთიერთობის მენეჯერს". ამისათვის საკმარისია ავტომობილში ტელეფონის კნოპზე თითის დაჭერა.

მიუხედავად იმისა, რომ უოლ-სტრიტზე მუდმივად დაძაბული სიტუაციაა, განსაკუთრებით 11 სექტემბრის შემდეგ, ამერიკული ბაზარი მზადაა, მხურვალედ ჩაიკრას გულში "მაიბახი". "ლიმუზინების ნაციონალური ასოციაციის" აღმასრულებელი დირექტორი და წიგნის "Stretching it" ავტორი ტომ მეცი ამბობს: "მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს 300 ათას დოლარად ღირებული ლიმუზინები ჩვენში კარგად გასაღდება, არა პესიმისტური განწყობის მიუხედავად, არამედ სწორედ მისი წყალობით. მათ, სხვა ყველაფრის გარდა, თერაპიული ეფექტის მოხდენაც შეუძლიათ უოლ-სტრიტზე". ამ აზრს სავსებით ეთანხმება მილიარდერი დონალდ ტრემპი: "მე, როგორც ელიტარულმა მყიდველმა, შემიძლია დავადასტურო - სექტემბრისშემდგომ ამერიკაში ნამდვილად არსებობს დიდი მოთხოვნილება "მაიბახზე". მე საშუალოდ 75 ლიმუზინს ვყიდულობ ჩემი ოტელებისათვის და მოუთმენლად ველი ახალი "მაიბახის" ნახვას. კაცმა რომ თქვას, მასში მე მიზიდავს არა იმდენად ტექნოლოგიური სიახლეები ან, თუნდაც გრანიტის საფარი, არამედ გაცილებით უბრალო, მაგრამ საფუძვლიანი რამ - მისი ზომები. ხალხს უყვარს კომფორტულად გაჭიმვა"...

"კუმ ფეხი გამოყო - მეც ნახირნახირო"... საინტერესოა, მიბაძავენ თუ არა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ოლიგარქები ამერიკელებს "მაიბახებით" სეირნობაში? ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ტყუილად ხომ არ გაამგზავრეს ახალი "ცეპელინი" ნიუ-იორკში და არა მოსკოვში. იმიტომ კი არა, რომ მოსკოვური სიტი ჯერ კიდევ მხოლოდ იმ ნახაზებში არსებობს, კედელზე რომ ჰკიდია ჩემი მეგობრის და თანამემამულის, მაფიის მიერ დევნილი იოსებ ორჯონიკიძის ოფისში. თუნდაც უკვე აგებული იყოს მოსკოვის სიტი, ის მაინც დიდხანს ვერ დაეწევა უოლ-სტრიტს ისევე, როგორც "ზაპოროჟეცი" იმავე "მაიბახს". თანაც, ლაინერი "დედოფალი ელისაბედ II"-ც ვერ ჩაუშვებდა ღუზას ხიმკაში, წყალმარჩხი ადგილია!

თუ ჩემი პირადი შთაბეჭდილებებით ვიმსჯელებ, ჯერჯერობით რუსი ოლიგარქებისათვის პრესტიჟულობის მწვერვალია შავი ჯავშნიანი "მერსედეს-600", დაბურული მინებით (საშინლად შორს არიან ისინი უბრალო ხალხისაგან, საშინლად... თუმცა, სულაც არ არიან დეკაბრისტები, უფრო - პირიქით).

მაგრამ, როგორც დაუვიწყარი იოსებ ბესარიონოვიჩი გვასწავლიდა, არ შეიძლება მიღწეულზე შეჩერება. ასევე ფიქრობენ "მაიბახის" ამალის წევრები, რომლებიც მასთან ერთად ჩამოვიდნენ ნიუ-იორკში. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა: "ვფიქრობ, "მაიბახის" დილერული ოფისი გაიხსნება მოსკოვშიც. ეს უბრალოდ დროის და პრესტიჟის საკითხია. იქაური ბატონი ხოდორკოვსკი 3-ჯერ უფრო მდიდარია მისტერ ტრემპთან შედარებით" (ჟურნალ "ფორბს"-ის ტაბელის მიხედვით, "ყველაზე მდიდარი რუსი" მიხაილ ხოდორკოვსკი შეფასებულია 6,5 მილიარდ დოლარად, დონალდ ტრემპი კი - "სულ რაღაც" 2 მილიარდად).

ამბობენ, რომ მოსკოვში მეტი "მერსედესია", ვიდრე ბერლინში (აბა, ერთი შეამოწმე). დავუშვათ, რომ ასეა. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, მოსკოვში და, მით უმეტეს, თბილისში მეტი "მაიბახი" გაჩნდეს, ვიდრე ნიუ-იორკში. მაგრამ ამის გამო ცხვირის ჩამოშვება არ ღირს. მთავარია, ვისწავლოთ დროის მანქანის მართვა და მაშინ "მაიბახიც" გაჩნდება, თუ დაგვჭირდება. მთავარია, ნარჩენი სოციალიზმის და მაფიოზური კაპიტალიზმის ჯაგლაგიდან საბოლოოდ და მყარად გადავსხდეთ ცივილიზებული თავისუფალი ბაზრის ლიმუზინში. მაშინ კი, სავსებით შესაძლებელია, იოლად გავძლოთ გრანიტის გარეშეც, განსაკუთრებით იმ გრანიტის, ჩვენში კომუნისტური მავზოლეუმები რომ არის აგებული...

*ნიუ-იორკი*
*ივლისი, 2002*

## გუსტავ კლიმტი. კოცნა

### მსოფლიო მხატვრის დაბადების 140-ე წლისთავს აღნიშნავს

ანა კორძაია-სამადაშვილი

„ლაპარაკი და წერა არ მეხერხება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემსა და ჩემს ნამუშევრებზეა საუბარი. ამიტომ, თუ ვინმეს სურს რამე გაიგოს ჩემს შესახებ, ყურადღებით უნდა შეხედოს ჩემს ნახატებს და მათი მეშვეობით გაიგოს, ვინა ვარ და რას ვფიქრობ."

ამ ნახატს ლამის ყოველდღე ვხედავთ – წიგნების გარეკანზე, განურჩევლად იმისა, შიგ რა წერია, პოეტური კრებულია თუ ჯანმრთელი ცხოვრების წესის თემაზე დაწერილი საეჭვო ხარისხის ნაშრომი; კოსმეტიკური საშუალებების სარეკლამო პლაკატებზე, ათასგვარ სუვენირებზე თუ სანთებელებზე... კლიმტი ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ეს სურათი კომერციული წარმატების საწინდარი იქნებოდა.

ყველაფერი სულ სხვაგვარად დაიწყო. ვინმე გრაფმა მხატვარს ნახატი შეუკვეთა და მედალიონი მისცა, რომელშიც მისი შეყვარებული ქალის პორტრეტი იდო. დამკვეთის სურვილის თანახმად, ტილოზე მისი და მისი სატრფოს ვნებიანი კოცნა უნდა ყოფილიყო გამოსახული. კლიმტმა შეკვეთა შეასრულა. გრაფი კმაყოფილი დარჩა, ოღონდ ვერ გაიგო – რატომ არ კოცნის მას მისი სატრფო. კლიმტმა უპასუხა, რომ სურვილის გამოხატვა სცადა, რადგან თავად კოცნა იმდენად დიდი ნეტარებაა, რომ მისი გადმოცემა უხეშ ფუნჯს არ შეუძლია. გრაფს პასუხი მოეწონა. ნახატის დანახვისთანავე აღტაცებულმა გოგონამ ქორწინებაზე თანხმობა განაცხადა, მოკლედ, ყველა კმაყოფილი იყო.

მხოლოდ მოგვიანებით გაამხილა კლიმტმა „კოცნის" საიდუმლო: ხატვისას თავად შეყვარებია მედალიონიდან მომზირალი ქალიშვილი და ამიტომ დახატა არა კოცნა, არამედ კოცნის მოლოდინი – რამით მაინც ხომ უნდა ეყარა გრაფზე ჯავრი...

## ალო, ვუპი გოლდბერგი გისმენთ!

ნიუ იორკელები კვლავაც ცდილობენ თავიანთი ქალაქი როგორმე ტურისტებს მოაწონონ. ამ პროგრამაში აქტიურად არიან ჩართულნი შოუბიზნესის ვარსკვლავებიც. ამ დღეებში ვინც ნიუ იორკის მერიაში დარეკავს, ვანესა ვილიამსი, ვუპი გოლდბერგი ან ნიუ იორკის ყოფილი მერი ედ კოხი უპასუხებს. ეს ცნობილი ხმები სატელეფონო ზარების ავტორებს ნიუ იორკის ტურიზმის ოფისიდან ახალ ამბებს გააცნობენ, სასტუმროების, ბილეთების და ღირშესანიშნაობების შესახებ განცხადებებს წაუკითხავენ. გარდა ამისა, იგივე განცხადებები მთელი ქვეყნის მასშტაბით, რადიო-ეთერის საშუალებითაც გადაიცემა. „დრო და დრო, ნიუ იორკში მცხოვრები და მოღვაწე ვარსკვლავები ცდილობენ თავიანთ საყვარელ ქალაქს როგორმე დაეხმარონ. ახლა პოტენციური ტურისტები პირდაპირ ვარსკვლავებისგან მოისმენენ, თუ რატომ ღირს ნიუ იორკში ჩამოსვლა", - აცხადებს ქალაქის მერი, მაიკლ ბლუმბერგი. ახლახან მოგზაურობისა და გართობის ჟურნალმა ნიუ იორკი მსოფლიოს საუკეთესო ჩრდილოამერიკულ ქალაქად დაასახელა. ამ სტატუსის მიუხედავად, ქალაქის ბიუჯეტში მაინც გარღვევაა. 11 სექტემბრის უარყოფითი გავლენისგან თავის დაღწევას ნიუ იორკელი ვარსკვლავები საკუთარ პასუხისმგებლობადაც მიიჩნევენ.

## ძვირფასი პაპა მანდელა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა 84 წლის გახდა. საყვარელი ბელადის დაბადების დღე სტადიონზე აღინიშნა. ზეიმს ასობით სულით ავადმყოფი ბავშვი დაესწრო, მათ იუბილარს უზარმაზარი ნამცხვარი აჩუქეს და ეროვნული ჰიმნი შეასრულეს. ექსპრეზიდენტმა თავის ხალხს მოუწოდა, განსაკუთრებული გულისყურით მოკიდებოდნენ გონებაჩამორჩენილ ბავშვებს – თავად ის დიდი ხანია მათი საუკეთესო მეგობარია და ყოველწლიურად პატიჟებს საშობაო წვეულებაზე.

## მორწმუნეთა მიერ დაჩაგრული ცხენი

რელიგიური მსვლელობის გამო, სიცილიის ქალაქ კატანიაში მოედანზე აღმართული ცხენის გენიტალიები ლითონის კონსტრუქციით დაფარეს – ღვთისმშობლის სადიდებლად ქუჩაში გამოსული მართლმორწმუნე კათოლიკების მზერა რაშის „უწმინდურ" ნაწილებზე არ უნდა შეჩერდესო. ფრანჩესკო მესინას ქანდაკების მიმართ ასეთი უდიერი დამოკიდებულება მოქალაქეების ნაწილმა ლამის პირად შეურაცხყოფად მიიღო: „დაუჯერებელია, რომ მესამე ათასწლეულში ასეთი რამე ხდება!"

## გაუფრთხილდით ქათმებს!

ესენის მუზეუმ ფოლკვანგში ჩატარებულ აქციას მრავალი ქათმის სიცოცხლე შეეწირა. მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ ქათმებს ავტობუსში არაფერი ესაქმებათ, აქციის ორგანიზატორებმა არ დაიშალეს, და ორდღიანი ტუსაღობის შემდეგ, ქათმები სიცხისგან დაიხოცნენ. ხელოვანები იმით იმართლებენ თავს, რომ ამ აქციას „ადამიანსა და ცხოველებს შორის დაკარგული კავშირის აღდგენა" ჰქონდათ მიზნად, მუზეუმმა კი ცხოველთა დაცვის საზოგადოებას დიდი ჯარიმა უნდა გადაუხადოს.

## ამერიკელებს მოლაპარაკე მაიმუნი მოუკვდათ

ვაშინგტონის ცენტრალურ უნივერსიტეტში გარდაიცვალა 29 წლის მოლაპარაკე შიმპანზე, სახელად მოჯა. Associatied Press-ის ცნობით, ჟესტების ენას სრულფასოვნად დაუფლებული ჭკვიანი მაიმუნი მუცლის თიაქარმა გადაიყოლა.

მართალია, მოჯა 6 ივნისს მომკვდარა, მაგრამ ინფორმაცია მხოლოდ გუშინ გავრცელდა. ის ამერიკელი ზოოლოგების იმ საამაყო შიმპანზეების ხუთეულიდან გახლდათ, რომლებსაც ჟესტებით საუბარი ასწავლეს. მოჯა - სუაჰილის ენაზე პირველს ნიშნავს.

## ვირთხებს მობილურის არ ეშინიათ

ფიჭური კავშირისა და მობილური ტელეფონების სარგებლობით კიბოს გაჩენის საშიშროება კინაღამ გაქარწყლდა. სენტ-ლუისის ვაშინგტონის სახელობის საუნივერსიტეტო სამედიცინო სკოლის მეცნიერებმა 2 წლის განმავლობაში ატარეს ექსპერიმენტები ვირთხებზე.

კვლევისას, მღრღნელები კვირაში 5 დღის განმავლობაში 4 საათიანი დასხივების ისეთივე დოზას იღებდნენ, რასაც ადამიანი მობილურით საუბრისას. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვირთხების ტვინსა თუ ორგანიზმის სხვა ნაწილებში მნიშვნელოვანი ცვლილებები ვერ გამოავლინეს.

მათი გამოკვლევების შედეგები გამოქვეყნდა ფინელი მეცნიერების საპირისპირო დასკვნიდან მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ. სკანდინაველები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ მობილური ტელეფონის მოხმარება თავის ტვინში ცვლილებებს იწვევს.

გულახდილად კი უნდა ითქვას, რომ სენტ-ლუისელების კვლევებს ტელეფონების მწარმოებელი კომპანიები აფინანსებდნენ.

## ეგზოტიკა ბათუმიდან

### ავეჯის ფირმის წარმატებული პრეზენტაცია TMS-ში



TMS-ის საგამოფენო დარბაზი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ვერა ნეფარიძე

მეხუთე დღეა ქალაქის ცენტრალური გალერეა დამთვალიერებლებს ეგზოტიკური ექსპოზიციით იზიდავს. არც ისე შორეული ეგზოტიკა – TMS-ში წარმოდგენილი ავეჯი ბათუმური ფირმა „პარკის" პროდუქციაა. ბათუმელებმა საკუთარი საპრეზენტაციო ნამუშევარი ორ დღეში გაყიდეს.

„პარკი" ექვსი თვეა რაც ავეჯს ამზადებს. ამ ხნის განმავლობაში ფირმამ რამდენიმე კომპლექტის დამზადება მოასწრო. აქედან ერთს ბათუმის ერთ-ერთ საზაფხულო კაფეში ნახავთ; მეორე კომპლექტი ბათუმშივე გაიყიდა ერთი კვირის წინათ; ორ-სამ დღეში გაიყიდა თბილისში საგამოფენოდ ჩამოტანილი ექსპოზიციაც.

„პარკის" განსაკუთრებულობა მასალაშია. ბათუმელები ავეჯის დასამზადებლად იყენებენ მხოლოდ ბამბუკს, რომელსაც აჭარა-გურიაში მოიპოვებენ. ფირმამ პროდუქციის საპრეზენტაციოდ თბილისი აირჩია და გალერეა TMS-ში პრეზენტაცია-გაყიდვაზე ბამბუკის სამეულები, სავარძლები, ტორშერები და ღამის ნათურები წარმოადგინა. წარმატებულმა პრეზენტაციამ აჩვენა, რომ ფასი მისაღები აღმოჩნდა თბილისელებისთვის: ყველაზე ძვირი, წითელი სამეული 500 დოლარი ღირდა; ყველაზე იაფად კი, ოც დოლარად შანდლებს შეიძენდით.

ვერ გეტყვით რომელმა ცნობილმა პიროვნებებმა შეიძინეს საზაფხულო ავეჯი ბათუმიდან. ისე კი, ხუთი დღის განმავლობაში, გამოფენის დათვალიერება ბევრმა მოასწრო. გალერეაში ხალხმრავლობა იყო „დაგვიანებულ პრეზენტაციაზეც", რომელიც გამოფენის დახურვის წინა დღეს გაიმართა. ავეჯით აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ პოპულარული სცენის წარმომადგენლები: ლიზი ბაგრატიონი და „კახუჩელა"; ბამბუკის ავეჯი ვილას ახსოვდა, როდესაც მის დასათვალიერებლად მოსული სილამაზის სალონის, „საბას" ქსელის მეპატრონე, თავისი ორიგინალური ჩაცმულობით, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. სტუმრები კარგა ხანს დაყოვნდნენ გალერეაში, ღვინით შეზარხოშდნენ და ბათუმური ეგზოტიკა შეიფერეს. ბამბუკის ავეჯის დასათვალიერებლად თბილისელებს ერთი დღეღა დარჩათ.

## მოდაშია ბრაზილიური ფერები









როზა ჩას ბრაზილიელი მოდელები

REUTERS

ევროპას არც ბრაზილია ჩამორჩა. პარიზი-რომის მოდის კვირეულების პარალელურად სან პაულუც მასპინძლობდა მსგავს ღონისძიებას. ეს ბრაზილიურ სტილში გადაწყვეტილი შოუ მთელ სამხრეთ ნახევარსფეროზე მოდის უდიდესი მოვლენის სტატუსს ფლობს. წელს წარმოდგენილი იყო 2002 წლის პლაჟის კოლექციები. როგორც იქნა, ბრაზილიელმა დიზაინერებმა ევროპულ გავლენას დააღწიეს თავი და მშობლიურ ძირებს დაუბრუნდნენ. როზა ჩამ – 2002 წლის საუკეთესო ბრაზილიელმა დიზაინერმა – თავისი კოლექცია მთლიანად ბრაზილიელ გოგონებს უძღვნა. „დღეს მსოფლიოში ისეთი ტენდენციაა, რომ ყველა კონცენტრაციას საკუთარ ქვეყანაზე აკეთებს. ამიტომ, ამ კოლექციაში დომინანტი სწორედ ბრაზილიური ფერები და სტილია; გაფორმებისათვის გამოყენებულია ზღვის საკვებისა და თუთიყუშების სურათები, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ საცურაო კოსტუმებს სხვაგანაც ჩაიცვამენ", - აცხადებს როზა ჩა. თუმცა, ეს დიზაინერი შარშან ასე არ ფიქრობდა; 2001 წლის კვირეულზე მან წარმოადგინა კლასიკური, შავი ფერის ბიკინები, რომლებიც ფრანგული სუნამოების ნახატებით იყო გაწყობილი. წელს კი, როგორც ჩანს, ბრაზილიელები ფრანგებს აღარ მიბაძავენ და სანაპიროებს ეროვნული, მყვირალა ფერების საცურაო კოსტუმებით შეესევიან. წელს, რიოს კარნავალების შთაგონებით შეიქმნა სლამას კოლექციაც. მწვანე და ვარდისფერი, ბოდი არტი და სარონგები, ყვავილებიანი ორნამენტები და სცენები პლაჟის ცხოვრებიდან – ასეთია ბრაზილიური საცურაო კოსტუმების გაფორმების წამყვანი ტენდენციები. როზა ჩა თავისი 300 ათასი საცურაო კოსტუმის ათ პროცენტს აშშ-ში, ევროპასა და იაპონიაში გაიტანს. პირველი მაღაზია საზღვარგარეთ კი, ოქტომბერში, მაიამიში გაიხსნება.


სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

## ზიკო იაპონელებთან კონტრაქტს აფორმებს

ტოკიო (sid) ბრაზილიური ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი ზიკო აგვისტოში შეუდგება იაპონიის ნაკრების მწვრთნელის მოვალეობის შესრულებას.

იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა საბურო კავაბუჩიმ განაცხადა, რომ ზიკო დღეს ან ხვალ მოაწერს ხელს კონტრაქტს.

თავად ზიკო თავის დებიუტს ოქტომბერში გეგმავდა, თუმცა, ვითარება შეიცვალა და მას მოუწევს, 22 აგვისტოს შეუდგეს საქმეს.

49 წლის ზიკოს აქამდე არასოდეს უმუშავია მთავარი მწვრთნელის პოსტზე. იაპონიაში ის წლების მანძილზე კლუბ "კაშიმა ანტლერსის" გენერალური მენეჯერის მოვალეობას ასრულებდა. რვა წლის წინათ ზიკომ, როგორც ფეხბურთელმა, სწორედ ამ კლუბში დაამთავრა თავისი კარიერა.

## ხერარდი კმაყოფილია მენდიეტას შეძენით

"ბარსელონაში" წლეულს დიდი ცვლილებები მიმდინარეობს. ლუის ვან გაალმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი გუნდის შექმნა დაიწყო. ამ გუნდში ჰოლანდიელი რივალდოს ადგილს ვერ ხედავს, ამიტომ პრესა უკვე ალაპარაკდა ბრაზილიელის მადრიდის "რეალში" შესაძლო ტრანსფერის შესახებ.

მანამდე კი ვან გაალის ემისრები მოვლენების ამგვარი განვითარებისთვის ემზადებიან. შედეგად, "ბარსამ" რომის "ლაციოსგან" იჯარით გაისკა მენდიეტა შეიძინა. "ვალენსიას" ყოფილი პლეიმეიკერი კატალონიაში ერთი წელიწადს დარჩება და, როგორც ვან გაალი იმედოვნებს, კლუბს დიდი მიზნების მიღწევაში დაეხმარება.

"ბარსას" ნახევარმცველმა ხერარდმა, რომელიც, თავის დროზე, "ვალენსიაში" მენდიეტას თანაგუნდელი იყო, განაცხადა, რომ კლუბმა სწორი ნაბიჯი გადადგა, როცა "ლაციოდან" იჯარით გაისკა მენდიეტა გადმოიყვანა. "გაისკას პატივს ვცემ, როგორც ფეხბურთელსა და პიროვნებას. მენდიეტა ის ფეხბურთელია, რომელიც სირბილით არ იღლება. წლეულს "ბარსელონამ" მხოლოდ რამდენიმე შენაძენი გააკეთა, მაგრამ ისინი გუნდს აშკარად გააძლიერებს. ეს ეხება როგორც მენდიეტას, ისე რიკელმეს", – განაცხადა ხერარდმა.

## ტერი ვენეიბლზი: „მე შევაჩერებ „მანჩესტერს„

დევიდ ო`ლირის "ლიდსიდან" წასვლის შემდეგ იორკშირელებს ამბიციური ტერი ვენეიბლზი ჩაუდგა სათავეში. ინგლისისა და ავსტრალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი პრინციპული კაცია და ფუჭი ლაპარაკი არ უყვარს. მან თქვა, რომ წლეულს მისი გუნდი დიდ წინააღმდეგობას გაუწევს "მანჩესტერ იუნაიტედს" და ყოველმხრივ ეცდება, მანკუნიანელთა გაჩემპიონება არ დაუშვას.

"ისინი ფიქრობენ, რომ ყველა ტურნირის მოგება შეუძლიათ, – ამბობს ტერი ვენეიბლზი, – მათ სურთ, ჩვენი რიო ფერდინანდი იყიდონ. რიო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. "მანჩესტერმა" მასში ღირსეული თანხა უნდა გადაიხადოს. თუ რიო მაინც "მანჩესტერში" გადავა, მე შევეცდები, შევაჩერო ფერგიუსონის გუნდი. ეს პრინციპის საქმეა".

## დენილსონი არ იყიდება

სევილიის "ბეტისის" პრეზიდენტმა მანუელ ლუის დე ლოპერამ განაცხადა, რომ ბრაზილიელი დენილსონის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს სთავაზობდნენ. "ძალიან ცნობილმა ინგლისურმა გუნდმა უაღრესად სერიოზული წინადადებით მოგვმართა, – აცხადებს დე ლოპერა, – მაგრამ კლუბმა ინგლისელთა წინადადება არ მიიღო".

## ძვირფასი ავსტრალიელი

"ემპოლიდან" "პარმაში" გადაბარგებული 22 წლის ნახევარმცველი მარკო ბრეშიანო ყველაზე ძვირფასი ავსტრალიელი გახდა მწვანე კონტინენტის ფეხბურთის ისტორიაში. მისი ტრანსფერი "პარმას" 13 მილიონი ევრო დაუჯდა. შეგახსენებთ, რომ წინა რეკორდი ეკუთვნოდა მარკ ვიდუკას, რომელიც "ლიდს იუნაიტედმა" "გლაზგო რეინჯერსისგან" 9,3 მილიონ დოლარად შეიძინა.

## „მეცი„ ჩივილს აპირებს

საფრანგეთის "მეცი" ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. კლუბი უკმაყოფილოა იმ მოქმედებით, რაც ფეხბურთის ფედერაციამ მის მიმართ ჩაიდინა.

საქმე ის არის, რომ "მეცი", შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით, პირველ დივიზიონში დაქვეითდა, მაგრამ, ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, კლუბი უმაღლეს დივიზიონში დააბრუნეს, რადგან "ნიცა", რომელსაც "მეცის" ადგილი უნდა დაეკავებინა, სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდის. საბოლოოდ კი "მეცი" მაინც ქვედა დივიზიონში დააქვეითეს.

"იმის გამო, რომ შეუძლებელი გახდა სეზონის აბონემენტთა გაყიდვის ორგანიზაცია, კომპენსაციის სახით გვსურს, ორი მილიონი ევრო მივიღოთ, – აცხადებს კლუბის გენერალური დირექტორი პატრიკ რაზიურელი, – ვფიქრობ, ფედერაციამ და ლიგამ ეს საკითხი უნდა მოაგვარონ. ეს პირადად მათი დანაშაულია. ჩვენ პრეტენზია არ გვქონია, ამიტომ უდანაშაულოდ ტანჯვა არ გვსურს".

## ინტერტოტოს თასი.

მესამე წრე. პირველი მატჩები.

| | |
|---|---|
| გლორია (რუმინეთი) – ლილი (საფრანგეთი) | 0:2 |
| მარეკი (ბულგარეთი) – სლავენი (ხორვატია) | 0:3 |
| ფულემი (ინგლისი) – ეგალეო (საბერძნეთი) | 1:0 |
| ბრადა (ჰოლანდია) – ტრუა (საფრანგეთი) | 1:1 |
| შტუტგარტი (გერმანია) – პერუჯა (იტალია) | 3:1 |
| ბოლონია (იტალია) – ბატე (ბელარუსი) | 2:0 |
| მალაგა (ესპანეთი) – გენტი (ბელგია) | 3:0 |
| კაიზერსლაუტერნი (გერმანია) – ტეპლიცე (ჩეხეთი) | 2:1 |
| კრილია სოვეტოვი (რუსეთი) – ვილემ II (ჰოლანდია) | 3:1 |
| სინოტი (ჩეხეთი) – სოშო (საფრანგეთი) | 0:3 |
| ტორინო (იტალია) – ვილიარეალი (ესპანეთი) | 2:0 |
| ციურიხი (შვეიცარია) – ასტონ ვილა (ინგლისი) | 2:0 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ალიანსი - ინტერი | 2:0 |
| ლაჰტი - მიუპა | 2:1 |
| კუოპიო - ჯაზი | 7:1 |
| ტამპერე - იარო | 1:1 |
| ვაასა - ჰაკა | 0:1 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| ბრინი - ბოდო გლიმტი | 4:3 |
| ლილესტრიომი - ლინი | 0:1 |
| ვალერენგა - სტაბეკი | 0:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ლანდსკრონა - კალმარი | 1:3 |
| სუნდსვალი - იორგრიტი | 1:1 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ვილი - იანგ ბოიზი | 3:2 |

| უკრაინა | |
|---|---|
| მეტალურგი (დ) - მეტალურგი (მ) | 2:0 |
| ობოლონი (კ) - დნიპრო | 1:3 |

## „ტორპედო„ ფარერებზე მიემგზავრება

თეიმურაზ ფირცხალავა
ქუთაისიდან სპეციალურად "24 საათისთვის"

დღეს, დილის 4 საათსა 30 წუთზე, ქუთაისის "ტორპედოს" დელეგაციამ გეზი აიღო ბათუმისკენ, საიდანაც ის ფარერებზე გაფრინდება ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი საკვალიფიკაციო მატჩის გასამართავად "ბ 36"-თან. თუ რა განწყობით წავიდა გუნდი და რა სიახლეებია მასში, ამის შესახებ გვესაუბრება მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე შტელინი.

**- როგორი მარშრუტით მიემგზავრებით ფარერებზე?**

- წინ საკმაოდ გრძელი და დამღლელი გზა გვაქვს. ჯერ ავტობუსით ჩავალთ ბათუმში, იქიდან ჩარტერული რეისით ბათუმი-სტამბოლი-კოპენჰაგენი გავფრინდებით დანიაში. იქ კიდევ ერთ თვითმფრინავს გამოვიცვლით, რადგან ფარერების აეროპორტი დიდ თვითმფრინავებს ვერ იღებს. როდესაც ჩავალთ იმ კუნძულზე, სადაც აეროპორტია, კიდევ 2 საათის სავალია პორომითა და შემდეგ ავტობუსით - ტორსჰაგენამდე.

**- როდის იქნებით ადგილზე და სად ივარჯიშებთ?**

- დანიშულების ადგილზე, ალბათ, სამშაბათს ჩავალთ. მანამდე კი დანიაში შევჩერდებით და კოპენჰაგენის საწვრთნელ ბაზაზე ვივარჯიშებთ, რათა ნელ-ნელა შევეჩვიოთ იქაურ ჰავას.

**- რამდენი კაცია დელეგაციაში და მათ შორის რამდენია ფეხბურთელი?**

- სულ 24 კაცი მივდივართ, აქედან 18 ფეხბურთელია. შემიძლია გითხრათ, თუ ვინ წამოვა ჩვენთან ერთად. ესენი არიან: ჭანტურია, სტურუა, მახვილაძე, ჭელიძე, აკოფიანი, გამეზარდაშვილი, ქემოკლიძე, ჯანაშია, იონანიძე, ახალკაცი, ქუთათელაძე, პოროშინი, ასათიანი, ჩხეტიანი, დიდავა, კვეტენაძე, გუჩუა, ბაბუნაშვილი.

**- დიდავას ამ სიაში ყოფნა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარდა?**

- ამ საკითხზე ჩვენი პრეზიდენტი მუშაობს და მოლაპარაკება დასრულების პროცესშია. მჯერა, რომ დიდავას ჩვენთან თამაშის ნებას დართავენ.

**- როგორც ვარაუდობდნენ, ის მხოლოდ ერთი თვით იქნება "ტორპედოსი"?**

- არავითარ შემთხვევაში. ჩვენ მას გამოვისყიდით და, სულ ცოტა, ერთი წლით "ტორპედოში" ითამაშებს.

**- დასახელებულთა სიაში რამდენიმე ფეხბურთელი არ ჩანს. რა მიზეზით?**

- ხვადაგიანის საკითხი ყველასთვის ცნობილია და მასზე აღარ ვისაუბრებ. თოდუამ საყოფაცხოვრებო ტრავმა მიიღო - ფეხი გადაიჭრა, რის გამოც სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს, თორთლაძე და სულაბერიძე სათადარიგონი არიან და მათ წაყვანას საჭიროება არ მოითხოვს, ზირაქიშვილი კი ჯერ განაცხადში არ გვყავს შეყვანილი.

**- რომელს საათზე დაიწყება მატჩი?**

- მათი დროით 20 საათზე, ვინაიდან სხვაობა 4 საათია. ბიჭებს საათამაშოდ გასვლა ჩვენი დროით 24 საათზე მოუწევთ.

**- რა მიზნით მიემგზავრებით ფარერებზე?**

- შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედით და ჩეხეთის "სპარტაზე" ფიქრით.

**- ასე რომ, ფარერებზე მატჩი შეიძლება გენერალურ რეპეტიციად ჩავთვალოთ...**

- ჩეხი დამკვირვებლები რომ არ ჩამოსულიყვნენ, ასეთი გეგმა მქონდა საშინაო მატჩშიც. იძულებული გავხდი, კარტი ბოლომდე არ გამეხსნა და რაღაც საიდუმლოებანი ჩემთვისაც შემენახა. თითქმის იგივე სიტუაციაში აღმოვჩნდები ფარერებზე, რადგან, როგორც გავიგე, ჩეხები იქაც აპირებენ ჩვენს დაზვერვას.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ძალიან რისკავთ?**

- მე ვფიქრობ, "ბ 36" არ არის ის გუნდი, რომელსაც ჩვენი დამარცხება შეუძლია. ასე რომ, რისკზე საუბარი უადგილოდ მეჩვენება.

**- თქვენც ხომ გზავნით მეტოქის დასაზვერად თქვენს თანაშემწეს, ბატონ სოსო ფრუიძეს?**

- სამწუხაროდ, ეს ვიზიტი გამოირიცხა, რადგან ჩვენი პასპორტები დანიის ვიზებისთვის მოსკოვშია გაგზავნილი. მას ჩვენ მხოლოდ ხვალ ბათუმში მივიღებთ. თუმცა, როგორც "სპარტას" ხელმძღვანელობამ გვაცნობა, მატჩის ჩანაწერს აუცილებლად მოგვაწვდიან.

**- "სპარტაზე" რას იტყვით?**

- ფარერებიდან რომ დავბრუნდებით, ამ საკითხზე მაშინ ვისაუბროთ.

## ემე ჟაკე სანტინის აკრიტიკებს

პარიზი (sid) საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ემე ჟაკემ აზრი გამოთქვა, ეროვნული გუნდის სათავეში ჟაკ სანტინის მოსვლასთან დაკავშირებით. "პირველი, რა გრძნობაც დამეუფლა, დიდი იმედგაცრუება იყო, რადგან ჩვენ ორი მაღალკვალიფიციური კანდიდატურა გვყავდა საკუთარი სამწვრთნელო შტაბიდან," – განაცხადა ჟაკემ, რომელიც თავის სიტყვებში 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელს რაიმონ დემონეს და როჟე ლემერის ყოფილ ასისტენტს რენე ჟირარდს გულისხმობდა.

ახლად დანიშნული ჟაკ სანტინი კი მიშელ პლატინის ფავორიტი იყო. ემე ჟაკე იმანაც გაანაწყენა, რომ სანტინის დანიშვნით საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაარღვია ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ნაკრების სათავეში, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, ყოველთვის ფედერაციის მწვრთნელთა აკადემიის კურსდამთავრებული მოჰყავდათ. სანტინი კი ამ აკადემიის წარმომადგენელი არ არის.

ახალი მწვრთნელის მოსვლას სიხარულით შეხვდა ნაკრების ვეტერანი მცველი მარსელ დესაი, რომელმაც განაცხადა: "საინტერესო იქნება მასთან მუშაობა, მისი ტაქტიკური კონცეფციის გაგება. ჩვენ, ფეხბურთელები, მზად ვართ მოსმენისთვის. კარგია, რომ სანტინი დიდ გადატრიალებებს არ აპირებს."



ჟაკ სანტინი REUTERS

## კაპიტნის დაბრუნება

ვარსკვლავები მრავლად არიან ქვეყანაზე, მაგრამ მათი რიცხვი, ვინც ვარსკვლავობასთან ერთად, კაციცაა – მცირეა. ასეთები ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობენ. ამ სიყვარულის მოპოვება კი ნამდვილად არ არის ადვილი. ვარსკვლავები სხვათაგან გამორჩეულნი არიან და ამ გამორჩეულობას ხანდახან სხვებისთვის გამაღიზიანებლად იყენებენ, თუმცა, როგორც წესი, ასეთებს ყველაფერი ეპატიებათ ხოლმე - ვარსკვლავები არიან და იმიტომ. კაცები, ადამიანები, არასდროს ჩაიდენენ იმას, რასაც შემდეგ მხოლოდ იმიტომ მიუტევებს ხალხი, რომ ვარსკვლავია. ხალხის სიყვარულს გაფრთხილება უნდა, რადგან უამისოდ ადამიანის ყველა ღისებას ფასი ეკარგება. ასეთ ფასდაკარგულ მდგომარეობაში აღმოჩნდა როი კინი მუნდიალის წინ ნაკრების მიტოვების შემდეგ. ირლანდიელთათვის ის მარტო ვარსკვლავი არ იყო - ის კაცი, ნამდვილი ირლანდიელი კაცი იყო. ასეთისგან კი მნიშვნელოვან მომენტში ნაკრების მიტოვებას არავინ ელოდა. კინი მოღალატედ შერაცხეს. შემდეგ იყო დისკუსიები და მტყუანმართლის გარჩევა. შესაძლოა, ვინმესთვის კინი დღესაც მოღალატეა, მაგრამ საბოლოოდ ხალხმა ის გაამართლა. არა იმიტომ, რომ ვარსკვლავია, არამედ იმიტომ, რომ კაცია, აქვს თავისი პრინციპები, რომელსაც ვერაფრით ულალატა, თავისი კაცობის წინააღმდეგ არ წავიდა.

მაკარტისთან იმ ავადსახსენებლი კონფლიქტის შემდეგ რვა კვირა გავიდა. ამ ხნის განმავლობაში არ წყდებოდა იმაზე საუბარი, გააგრძელებდა თუ არა ფეხბურთელი სანაკრებო კარიერას. ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ კინის სიჯიუტეს და იმას, რომ თავის ნათქვამს არასდროს გადათქვამს, საეჭვოა, აზრი შეიცვალოს. გუშინ, რვაკვირიანი შესვენების შემდეგ, კინი მოედანს დაუბრუნდა. მაგრამ დაუბრუნდა არა როგორც ნაკრების, არამედ როგორც "მანჩესტერის" მოთამაშე. ინგლისელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს ირლანდიურ "შელბურნთან" და კინმაც იმ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მისმა ნამოქმედარმა წერტილი დაუსვა მითქმა-მოთქმას, რომლის მიხედვითაც კინს აქტიური სპორტისთვის თავი უნდა დაენებებინა.

"ის ძალიან უყვარს ხალხს. დამერწმუნეთ, დღეს მაყურებელი უფრო მის სანახავად მოვიდა მოედანზე", - ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარის ალან ჰანტერის ეს სიტყვებიც ადასტურებს ფეხბურთელისადმი ხალხის და იქაური ფეხბურთის ხელმძღვანელთა დამოკიდებულებას. 70 წუთის განმავლობაში სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი ოვაციით ხვდებოდა კინის ბურთთან ყოველ შეხებას. შეხვედრის შემდეგ კი ის ხელში აყვანილი გაიყვანეს სტადიონიდან. მოკლედ, კინი ფეხბურთს დაუბრუნდა და ხალხს იმედი გაუჩნდა, რომ მათი გმირი ეროვნულ ნაკრებსაც დაუბრუნდება.

ის მატჩი კი "მანჩესტერმა" 5:0 მოიგო.

## „რეალს„ რივალდოს შეძენა სურს

კატალონიური "ბარსელონას" არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამო, ბრაზილიელი რივალდოს მომავალი სულ უფრო მეტი სპეკულაციის საბაბი ხდება.

შაბათიდან მოყოლებული, ესპანური პრესა იუწყება, რომ მადრიდის "რეალს" ძალიან უნდა, რივალდო შეიძინოს.

### რივალდო "რეალს" უფასოდ სურს

სპორტულ გაზეთ "მარკასთან" საუბარში "რეალის" ერთ-ერთმა ფუნქციონერმა განაცხადა, რომ რივალდო მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა მადრიდში, თუ "ბარსელონა" მას უფასოდ დაუთმობს "სამეფო კლუბს". ბრაზილიელის კონტრაქტი 2003 წლამდე გრძელდება. მიუხედავად ამისა, "რეალს" იმედი აქვს, რომ კატალონიელები რივალდოს უფასოდ გაუშვებენ, რადგან ფეხბურთელის 7,5-მილიონიანი წლიური ხელფასი "ბარსელონას" დიდ ტვირთად აწევს.

### რივალდომ "ლაციოს" წარმომადგენლები სახლიდან გაყარა

გუნდის გამოცვლის თემა რივალდოსთვის დღემდე ტაბუდადებული იყო. ფეხბურთელი "ბარსელონადან" წასვლის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავდა.

უკანასკნელად მას რომის "ლაციოს" ორი წარმომადგენელი ესტუმრა. სან-პაულოში, რივალდოს სახლში, სტუმრებს ფეხბურთელის "ლაციოში" გადასვლის შესახებ სურდათ საუბარი. რივალდომ ისინი სახლიდან გაყარა.

ახლა საქმე სხვაგვარადაა. "რეალში" გადასვლა სავსებით რეალურია, ყოველ შემთხვევაში, ესპანური პრესა სწორედ ამას ამტკიცებს.

"ბარსელონას" არგენტინელი თავდამსხმელი ხავიერ სავიოლა ამბობს: "რივალდო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. თუ ჩვენი გუნდი მას გაყიდის, სრულფასოვან შემცვლელზეც უნდა იზრუნოს." ახლად შეძენილ ხუან რამონ რიკელმეს და გაიცკა მენდიეტას, რომელიც "ბარსელონამ" "ლაციოდან" ერთი სეზონით ინათხოვრა, რივალდოს წასვლით გამოწვეული დანაკლისის კომპენსაცია შეუძლიათ.

### ერთი რივალდო შვიდი ფეხბურთელის ნაცვლად

რივალდოს "შესანახი" თანხების მოზიდვას "რეალი" შვიდი ფეხბურთელის გაყიდვით აპირებს. ერთ-ერთი მათგანი, კამერუნელი ჯერემი, უკვე "ათხოვეს" ინგლისურ "მიდლსბროს". გუნდიდან გაუშვებენ კიდევ 6 ფეხბურთელს ("24 საათი" იუწყებოდა).



რივალდო REUTERS

Formula 1

# მიხაელ შუმახერი მსოფლიო ჩემპიონია

ფორმულა 1-ის ლეგენდარული გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონია. საფრანგეთის გრან-პრი გერმანელისთვის ამჯერადაც იღბლიანი გამოდგა. მანი-კიურის ტრასაზე შუმახერმა მეექვსედ გაიმარჯვა და ფორმულა 1-ის ახალი რეკორდი დაამყარა – მსოფლიო ჩემპიონი ტურნირის დამთავრებამდე ექვსი ტურით ადრე გახდა.

რბოლა 19-მა პილოტმა დაიწყო. სპეციალისტების აღიარებით, "შუმისთვის" წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო მხოლოდ ორ მრბოლს – ბარიკელოს და მონტოიას. ბარიკელოს არ გაუმართლა. მას სტარტზევე წაუხდა ნირი და მეორე წრეზე დატოვა თავისი ბოლიდის კოკპიტი.

რაც შეეხება ხუან პაბლო მონტოიას, მან ჩემპიონს ტრაექტორია პირველივე წრიდან გადაუკეტა და აგრესიული მანევრით ჩამოიტოვა. ასეთი მძლავრი დასაწყისი შემთხვევითი არ ყოფილა, მაგრამ ორმა პიტ-სტოპმა საბოლოოდ პილოტი მეოთხე ადგილზე ჩამოაქვეითა.

შუმახერი სწრაფი მანევრით შეეცადა ლიდერის პოზიციის დაბრუნებას, მაგრამ აქ საქმეში ფინელი კიმი რაიკონენი ჩაერთო და გერმანელს საყვარელი პოზიციის დაკავების საშუალება არ მისცა.

პიტ-სტოპი რაიკონენისთვისაც უიღბლო აღმოჩნდა. რბოლას სათავეში დევიდ კულტჰარდი ჩაუდგა. 53-ე წრეზე კულტჰარდი რაიკონენს 16 წამს უგებდა, კოლუმბიელმა ხუან პაბლო მონტოიამ კი მეორე პიტ-სტოპის შემდეგ პრაქტიკულად დაკარგა გამარჯვების შანსი.

ამასობაში შოტლანდიელმა რბოლის საუკეთესო წრე აჩვენა – 1:15.159 და მანი-კიურის ტრასის რეკორდი გააუმჯობესა. იგი არ ჩქარობს პიტ-სტოპში შესვლას, მაგრამ 57-ე წრეზე საბედისწერო შეცდომა მოუვიდა. გამყოფი ხაზის გადაკვეთისთვის დაისაჯა, რაც ფორმულა 1-ისთვის საკმაოდ იშვიათია, მაგრამ ამ რბოლაში პრაქტიკულად ნორმალურ მოვლენად გადაიქცა.


მიხაელ შუმახერი და "ფერარის" მენეჯერი ჟან ტოდტი
REUTERS

მოვლენების ეპიცენტრში კვლავ ფინელი კიმი რაიკონენი გამოჩნდა. 64-ე წრეზე "შუმი" რაიკონენთან წამნახევარს აგებს. 65-ეზე - 1,2. ფინელი ახლოს არის, პირველად მოიგოს გრან-პრი. 67-ე წრე – ჩამორჩენა ერთი წამი... 68-ე წრე, შუმახერმა გამოიყენა რაიკონენის პატარა შეცდომა და ლიდერის პოზიცია დაიკავა.

ფინიში – მიხაელ შუმახერი მსოფლიო ჩემპიონია! წლეულს გერმანელმა 11-დან რვა რბოლა მოიგო და პირველობა ჩემპიონატის დამთავრებამდე ექვსი რბოლით ადრე გაინაღდა. წარმოუდგენელია! აღიარებენ სპეციალისტები. შუმახერის კვალდაკვალ ფინიშის ხაზი გადაკვეთა ფინელმა კიმი რაიკონენმა, რომელმაც შესანიშნავი რბოლა ჩაატარა და ლიდერს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.

მესამე დევიდ კულტჰარდი იყო. მეოთხე-მეხუთე ადგილები, შესაბამისად, ხუან პაბლო მონტოიამ და რალფ შუმახერმა გაინაწილეს. სანუგეშო ქულა "რენოსთვის" ჯეისონ ბატონმა მოიპოვა.

**მიხაელ შუმახერი:** *"უზომოდ ბედნიერი ვარ. არც კი ვიცი, რა ვთქვა. როცა მსოფლიო ჩემპიონატი მესამედ მოვიგე, რბოლებისგან სიამოვნებას ვიღებდი. ახლაც იგივე გრძნობა მაქვს. წინასწარ არასდროს დამიგეგმავს, რომ ესა თუ ის ეტაპი აუცილებლად უნდა მოვიგო. უბრალოდ, სიამოვნებას განვიცდი".*

**კიმი რაიკონენი:** *"მიხაელ შუმახერთან პაექრობა ძალიან საინტერესო იყო. გამარჯვებასთან ახლოს ვიყავი და დასანანია, რომ წარმატება ხელიდან გამომეცალა. იმედი მაქვს, მომდევნო ეტაპებზე უკეთესი შედეგი მექნება".*

**დევიდ კულტჰარდი:** *"გამყოფი ზოლი თუ გადვკვეთე, ნამდვილად არ შემიმჩნევია. ისეთი რბოლა იყო, რომ ამისთვის თვალყურის დევნება ძალიან ძნელი იყო. ისღა დამრჩენია, მიხაელს გამარჯვება მივულოცო".*

**საერთო ჩათვლა:** *მ. შუმახერი – 96 ქულა, მონტოია – 34, ბარიკელო – 32, რ. შუმახერი – 32, კულტჰარდი – 30.*

**კონსტრუქტორთა თასი:** *ფერარი – 128 ქულა, უილიამსი – 66, მაკლარენი – 47, რენო – 15.*

# სიჩქარის მოყვარულთა სამყაროს სიახლენი

ნინო პირველი

თანამედროვე ფორმულა ერთის რეალობა, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს ის სხვა გუნდებისათვის, ასეთია: ნებისმიერ ტრასაზე, ნებისმიერ სიტუაციაში გამარჯვებული თითქმის ყოველთვის იტალიური "ფერარის" პილოტები რჩებიან. გერმანელი მიხაელ შუმახერი და ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო ერთი მეორის მიყოლებით იგებენ რბოლებს და სხვა გუნდებს ისღა დარჩენიათ, დაბოღმილებმა აღიარონ "ფერარის" უპირატესობა.

სპორტის ამ სახეობაში საოცრად რთულია თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლა. თუ ერთხელ ფეხი დაგიცდა, შეიძლება ველარც დაიბრუნო დაკარგული პოზიციები. ფრანგული "რენო" თავგამოდებით ცდილობს აღიდგინოს ძველი სახელი და ისევ დაიმკვიდროს ადგილი საუკეთესოთა შორის, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრით ვერ მოახერხა სამეულში მოხვედრა.

ფორმულა ერთში დაბრუნების შემდეგ "რენო" დარწმუნებული იყო, რომ მზის ქვეშ ადგილი მისთვისაც მოიძებნებოდა, მაგრამ ფრანგებმა "მაკლარენისა" და "უილიამსის" კონკურენციას ვერ გაუძლეს და მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავეს. ინგლისურმა "უილიამსმა" ფრანგებს 23 ქულით გაასწრო, რაც საკმაოდ სოლიდური უპირატესობაა.

"რენო" ფარ-ხმალის დაყრას ჯერ არ აპირებს და ისევ ტრიუმფისთვის ემზადება, რისთვისაც ფრანგულ გუნდს, რა თქმა უნდა, ხარისხიანი საბურავები სჭირდება. "რენო" "მიშელინის" საბურავებით ასპარეზობს, რომლის მომსახურებითაც სარგებლობენ "მაკლარენი" და "უილიამსი". "ფერარი" "ბრიჯსტოუნის" საბურავებით იპყრობს ტრასებსა და მაყურებელთა გულებს. ეს კომპანია კიდევ ერთ გუნდს – "ზაუბერსაც" ემსახურება, რომელიც შარშანდელ სეზონში იყო მეოთხე და ახლაც გამოთქვამს ამ პოზიციის დასაკუთრების პრეტენზიას. ასე რომ, "რენოს" ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა –ერთი მხრივ "უილიამსისთან" არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრაა საჭირო, მეორე მხრივ კი ფრანგები ყურადღებით უნდა იყვნენ, რომ მეოთხე ადგილიც არ დაკარგონ - "ბრიჯსტოუნის" საბურავებს რომ არაფერი დაეწუნება, ეს "ფერარიმ" უკვე დიდი ხანია დაამტკიცა. "ზაუბერსაც" ამ კომპანიის იმედი აქვს და ამიტომაც იბრძვის ასე მონდომებული მეოთხე ადგილის დასაბრუნებლად.

"რენოს" პილოტი იარნო ტრული ოპტიმისტურადაა განწყობილი მიუხედავად იმისა, რომ მან და მისმა მეწყვილე ჯეისონ ბატონმა სილვერსტოუნის რბოლა არც თუ ისე კარგად ჩაატარეს. ტრული იმედოვნებს, რომ "რენო" "მაკლარენსაც" მალე დაეწევა და "უილიამსსაც"."სილვერსტოუნში ჩვენ საკმაოდ კარგად ჩავატარეთ საკვალიფიკაციო ეტაპი და საგრძნობლად მივუახლოვდით ჩვენს მეტოქეებს. ჯერ რთულია რამის თქმა, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ გუნდმა უდიდესი პროგრესი განიცადა. "მაკლარენი" სეზონის დასაწყისში იყო შთამბეჭდავი, ჩვენ კი სეზონის მიწურულს. "რენოს" ახალი აეროდინამიკა აქვს და მხოლოდ წარმატებაზე ფიქრობს. დარწმუნებული ვარ, რომ სეზონის ბოლოს "უილიამსთან" და "მაკლარენთან": არსებულ ჩამორჩენას აუცილებლად ამოვქაჩავთ", - ამბობს ტრული.

სეზონის დასრულებამდე ჯერ საკმაო დროა და "რენოს" კიდევ აქვს შანსი, დაეწიოს თავის კონკურენტებს. სანამ ფრანგები ამ პრობლემებით არიან დაკავებულნი, სხვა გუნდები მოსალოდნელი ცვლილებებისთვის ემზადებიან. ცოტა ხანში, საბოლოოდ გახდება ცნობილი, რომელი პილოტის მომავალი რომელ გუნდს დაუკავშირდება. ასე მაგალითად, იგივე "რენოში", სავარაუდოდ, ჯეისონ ბატონის ნაცვლად მალე ფერნანდო ალონსო მოვა, გაურკვევლობაში არიან ალექს იუნგი და ალან მაკნიში, რადგან არ იციან, როგორ განვითარდება მათი ურთიერთობა "მინარდისთან" და "ტოიოტასთან". სპორტული პრესა ვარაუდობს, რომ კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია "უილიამსში" დარჩება, თუმცა სამხრეთამერიკელს ჯერ არ გაუგრძელებია კონტრაქტი ინგლისელებთან. სამაგიეროდ, ყველამ იცის, რომ "ფერარი" თავის ხუთგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერს არასადაც არ გაუშვებს და არც ბარიკელოს დაანებებს ვინმეს. "მაკლარენის" საქმეები ასე საათივით აწყობილი სულაც არ არის. კიმი რაიკონენი, შესაძლოა, დარჩეს თავის ძველ გუნდში, დევიდ კულჰარდის ბედი კი ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

Tour de France

# ერთდღიანი შვებულება ბარში

ლუჩანო ტაიოლი

ლაველან - ბეზიერი
სპეციალურად "24 საათისთვის"

ორმოცდარვასაათიანი მძიმე სამუშაოების შემდეგ ტურმა უკან მოიტოვა შვიდი უღელტეხილი და დროებით ისევ გაივაკა. მეცამეტე ეტაპის სტარტზე შეგროვებული ათასობით ქომაგი ახლა უკვე წითელხალებიან მაისურში გამოწყობილ ლორან ჟალაბერს, ავტოგრაფთან ერთად, მთის მეფის ტიტულისა და შესაბამისი მაისურის პარიზამდე შენარჩუნებას სთხოვდა.

ლაველანიდან ბეზიერამდე 171 კილომეტრია. პირველი კილომეტრები პირენეებიდან გამოღწევასა და სამი მცირე დაბრკოლების გადალახვას დასჭირდა. "მცირე დაბრკოლებები" ერთი მეოთხე და ორიც მესამე კატეგორიის მთა იყო. პელოტონისა და მის სათავეში მიმავალ არმსტრონგის გუნდის სურვილს, ორდღიანი გაუთავებელი აღმართ-დაღმართების შემდეგ ცოტათი მაინც მოეთქვა სული, ასრულება არ ეწერა. კვლავ გამოჩნდა ავანტიურისტთა ჯგუფი, რომელმაც მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზების გამო, თითქმის სტარტზევე მიატოვა თბილი ბუდე და თავგადასავლების გზას დაადგა.

ზემოხსენებული სამი მცირე უღელტეხილი მთის მეფის ნომინაციის ჩათვლაში, შესაბამისად, ათ, ხუთ და ათ ქულას იძლეოდა პირველგადამსვლელისთვის. ოცდახუთი ქულა ქუჩაში არ ყრიაო და, ჟალაბერიც, მიუხედავად იმისა, რომ წინა დღის ფანტასტიკური ძალისხმევის შემდეგ ვაკე-ეტაპზე შეტევა მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა, იძულებული გახდა, შეერთებოდა გაქცეულებს. საქმე ის არის, რომ წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, რა შეიძლება მოხდეს დარჩენილ ოთხ მთის ეტაპზე. ვეტერანისა და მისი უშუალო უფროსის ბიარნე რიისის გაანგარიშებანი დაახლოებით ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო: არმსტრონგის ამბიციებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ტურ დე ფრანსის ლიდერი ოთხი მთიანი ეტაპიდან სამ ფინიშზე მაინც იქნება პირველი. ეს ას ოცი ქულაა. ახლა ამერიკელს ოთხმოცდაოთხი აქვს. ესე იგი, ჟალაბერს, სულ მცირე, სამოცი-სამოცდაათი ქულა კიდევ სჭირდება. 1997 წლის ტურის ჩემპიონისა და გუნდის სპორტული დირექტორისგან ნებართვის მიღების შემდეგ ჟაჟა უერთდება გაქცეულებს და კვლავ (ჰოი, საკვირველებავ!) წარმატებით ახორციელებს ჩანაფიქრს - სამივე მთაზე პირველი კვეთს საშუალედო ფინიშის ხაზს.

ლტოლვილთა ჯგუფის დიდ ნაწილს, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ აწუხებს სამთო ქულები, ეტაპის მოგების შანსი და საერთო სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესება უფრო საინტერესო სამიზნეა. მართალია, ეს ჟალაბერის ამოცანებში არ შედის, მაგრამ, დაუწერელი კანონით, ნებისმიერ საქმეზე ერთად წასულებმა ერთადვე უნდა გასწიონ ჭაპანი. მისი ავტორიტეტის მქონე ველომრბოლი უკან დაუჯდებოდა გაქცეულ ათეულს და მშვიდად დაელოდებოდა მოვლენების განვითარებას. თუმცა, იგივე ავტორიტეტი ვალდებულებებსაც ითვალისწინებს. თანაც, საკმაოდ დიდი დოზით. დიდი სპორტსმენი საერთოდ მაგალითი უნდა იყოს და არა მარტო სპორტული შედეგების თვალსაზრისით. ლორან ჟალაბერს არასდროს მოუგია ტურ დე ფრანსი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისდამი გამოხატული სიყვარული და პატივისცემა სულ სხვაგან იღებს სათავეს.

მოიერიშე ჯგუფში საკმაოდ ცნობილი გვარები გამოერია: ბროშარი, მილარი, ეჩებარია, ბოგარდი, მაცოლენი, ჯულიჩი. ასეთ გუნდს მთების გადაბრუნება შეუძლია და საამისო ნიშნები სულ მალე გამოჩნდა.

ფინიშამდე ოთხმოცდაათი კილომეტრით ადრე პელოტონთან სხვაობა რვა წუთამდე გაიზარდა. კიდევ ოცი კილომეტრის შემდეგ განსხვავება ათი წუთი იყო. სიტუაცია დაიძაბა.

ასეთ დროს მოთავე გუნდი სიჩქარეს უმატებს და გაქცეულებიც თანდათან კონტროლის არეალში მოექცევიან ხოლმე. არმსტრონგის გუნდს ყურიც არ შეუბერტყავს. გაქცეულთაგან საუკეთესო მაჩვენებელი, +17 წუთი ამერიკელის დროსთან შედარებით ჟალაბერს ეკუთვნოდა. ასე რომ, მთქნარებისთვის ამერიკელებს, სულ ცოტა, შვიდი წუთი კიდევ ჰქონდათ. სამაგიეროდ, მოუსვენრობა დაეტყოთ სხვებს. ყველაზე მეტად კი - იტალიურ "ლამპრეს", რომლის რიგებში მოასპარეზე ლიტველი რაიმონდას რუმსასის მეოთხე ადგილი ბეწვზე დაეკიდა. ლამპრელები ჯერ თითო-თითოდ გაერივნენ მოწინავე გუნდში, მაგრამ როცა არმსტრონგი და ძმანი მისნი ისევ უწყინრად აგრძელებდნენ ძილ-ღვიძილს, განსხვავებამ კი ცამეტ წუთს მიაღწია, რუმსასის გუნდი მთელი შემადგენლობით გადავიდა პელოტონის სათავეში და მთელი ძალით ამუშავდა.

ამასობაში განხეთქილება მოხდა დაწინაურებულებს შორის. ფინიშის მოახლოებასთან ერთად, თითოეული ველომრბოლის შანსები კლებულობს ან მატულობს იმისდა მიხედვით, როგორი სპეციალიზაცია აქვს სპორტსმენს - სპრინტერია, მთიელი თუ ინდივიდუალური რბოლების მოყვარული. სპრინტერები დაინტერესებულნი არიან, ბოლო მეტრებამდე შეინარჩუნონ მთლიანი ჯგუფი - იქ ხომ სპრინტი გადაწყვეტს ყველაფერს. დანარჩენები ყოველნაირად ცდილობენ, რაც შეიძლება მალე ჩამოიშორონ სწრაფი რბოლის მოყვარულნი. ეს ტაქტიკური მანევრები დაახლოებით ბოლო ათი კილომეტრის ნიშნულზე იწყება და ხშირად უკანასკნელ მეტრებამდე გრძელდება. გაქცევა - თვალში ჩაჯდომა, ისევ გაქცევა - ისევ თვალში ჩაჯდომა და ასე გრძელდება იქამდე, სანამ რომელიმე ან რამდენიმე მათგანი არ მოახერხებს დანარჩენების მშრალზე დატოვებას.

ამჯერად მიტოვებულთა სიაში ჯულიჩი, პასკუალე, მაცოლენი, ჟალაბერი და კიდევ რამდენიმე ველომრბოლი აღმოჩნდა. ლორან ბოშარმა და დევიდ მილარმა ბასკ ეჩებარიასა და ბოგარდის დახმარებით, ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს გაქცევა. სხვათა შორის, ეს ის ბრიტანელი მილარია, რომელსაც მრავალდღიანებში ორი პროლოგი აქვს მოგებული. ერთხელ - ვუელტაზე - შარშან, ერთხელაც - ტურ დერ ფრანსზე შარშანწინ.

ფინიშის სწორზე ეჩებარიამ მოხერხებით კი მოახერხა მილარის ბორბალზე დაჯდომა, მაგრამ ვერც ამ მომგებიანმა პოზიციამ უშველა - ახალგაზრდა ბრიტანელი გაცილებით სწრაფი გამოდგა.

პელოტონი დაახლოებით ათი წუთის შემდეგ მივიდა ფინიშთან, ასე რომ, რუმსასიც დამშვიდდა და თავ-თავიანთი მაისურებიც შეინარჩუნეს სხვადასხვა ნომინაციების ლიდერებმა.

**ტექნიკური შედეგები**

**XIII ეტაპი.**

**ლაველან - ბეზიერი. 171 კმ.**

1. დევიდ მილარი ("კოფიდისი", დიდი ბრიტანეთი) - 4 სთ. 08 წთ. 18 წმ.

2. დავიდ ეჩებარია ("ეუსკალტელი", ესპანეთი) - იგივე დრო

3. მაიკლ ბოგარდი ("რაბობანკი", ჰოლანდია) - იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - 56 სთ. 35 წთ. 42 წმ.

2. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - + 2 წთ. 28 წმ.

3. იგორ გონზალეს გალდეანო ("ონსე", ესპანეთი) - + 3 წთ. 19 წმ.

**მთის მეფე**

1. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) - 167 ქულა

2. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - 84

3. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - 66


დევიდ მილარი
REUTERS

რაგბი

# საშემოდგომო საფიქრალი

პაატა თოთაძე

არაერთხელ თქმულა და საქმითაც დამტკიცებულა, რომ რაგბიში სუსტი ძლიერს თითქმის ვერასდროს უგებს. იმის გათვალისწინებით, რომ ქართველები ირლანდიელებს ჩამორჩებიან, ალბათ, არავის სჯერა, რომ ბორჯღალოსნები კელტებს სძლევენ. მოკლედ, საქმე ისეა, რომ ირლანდიას პრობლემა არ უნდა შეექმნას მსოფლიო თასზე თამაშის უფლების მოსაპოვებლად. ჩვენ კი გადამწყვეტი ბრძოლა მოგველის 5 ოქტომბრს რუსეთის ნაკრებთან. მაშინ გადაწყდება კიდეც ირლანდიელებთან ერთად მსოფლიო თასზე გასული მეორე გუნდის ვინაობა.

გასაკვირია, როცა მთელი მსოფლიო ასე ფიქრობს, თავად ირლანდიელები რატომ ფიქრობენ სხვანაირად. დიპლომატიურობას იჩენენ და იმიტომ აძლევენ ქართველებს ესოდენ მაღალ შეფასებას, თუ მართლა ჰგონიათ, რომ საქართველოს ნაკრებს მათი დამარცხება შეუძლია? ასეა თუ ისე, ირლანდიელთა თქმით, ქართველებს ძალუძთ ირლანდიელთა დამარცხება და, ასე რომ არ მოხდეს, გუნდი მათთან მატჩისთვის საგანგებოდ უნდა მოემზადოს. "ყველა თვლის, რომ ჯგუფში პრობლემა არ შეგვექმნება, მაგრამ არც ასე ადვილადაა საქმე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი მეტოქე საქართველოს ნაკრებია, რომლის მოთამაშეთა უმეტესობა ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ჩემპიონატში თამაშობს. ვფიქრობ, ჩვენთვის გადამწყვეტი სწორედ საქართველოსთან მატჩი იქნება. შესაძლოა, ოდნავი მოდუნებაც ძვირად დაგვიჯდეს", - თქვა ირლანდიის ნაკრებისა და "მანსტერის" მოთამაშემ ჯონ ონილმა "აირიშ თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში. ინტერვიუს აღების საბაბი კი ის იყო, რომ ირლანდიელები ორკვირიან შეკრებაზე პოლონეთში გაემგზავრნენ. ამ შეკრებაზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტრავმების გამო რვა რაგბისტი ვერ წაიყვანა. ერთი - ჯასტინ ბიშოპი კი დაქორწინებას აპირებს და პოლონეთში ამის გამო ვერ გაემგზავრა. ამით ბევრი არაფერი დააკლდება ნაკრებს. ძველი გვარდიის ამბავი გარკვეულია. ახლები კი პოლონეთში ბლომად წაიყვანა მწვრთნელმა. შესაძლოა, რომელიმე მათგანმა საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშოს. ის კი დანამდვილებით ცნობილია, რომ ქართველების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს "მანსტერის" მეორეხაზელი მორკინალი დევიდ უოლესი, რომელსაც ტრავმის გამო ახალ წლამდე მოუწევს დასვენება.

მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტი ეტაპის დაწყებამდე ირლანდიელები 7 სექტემბერს შეხვდებიან რუმინეთის ნაკრებს, რომელსაც ასევე მოუწევს შესარჩევი ეტაპის გადალახვა. თუმცა, საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით, რუმინელები შედარებით იოლ ჯგუფში მოხვდნენ და, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ ჯგუფიდან გასვლა. მართალია, ესპანელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ ფრანგი პიერ პერესის სახით და მასზე დიდ იმედებსაც ამყარებენ, მაგრამ, საეჭვოა, აქამდე საფრანგეთის 21 წლამდელთა ნაკრების დამრიგებელმა დარჩენილ დროში ესპანელებისგან რუმინელების მძლეველი გუნდი დააყენოს.

სხვათა შორის, რუმინელები უკვე ფიქრობენ, რომ მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე გავიდნენ და ავსტრალიაში საასპარეზოდ ახალი დიზაინის ფორმის შეკერვას აპირებენ, რომელიც, როგორც ამბობენ, ახლანდელი ყვითლის ნაცვლად, ლურჯი იქნება. ამასთან, რუმინეთის რაგბის კავშირი, იმ მიზნით, რომ მსოფლიო თასზე უკეთ გამოვიდნენ, ნაკრებისთვის სპარინგ-პარტნიორებს ეძებს. შესარჩევი ტურნირის შემდეგ რუმინელები ჯერ შინ უელსელებს, შემდეგ კი სტუმრად შოტლანდიის A და შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებებს დაუპირისპირდებიან. ეს ყველაფერი წლეულს, შემოდგომაზე მოხდება. რაც შეეხება მომავალ წელს, თითქმის გადაწყვეტილია ფრანგებთან, იტალიელებთან და ირლანდიელებთან თამაში. რუმინელთა თავკაცის ბერნარ შარირის თქმით, მის გუნდს რეალურად შესწევს ძალა, მსოფლიო თასზე ჯგუფური ეტაპი დაძლიოს. თუმცა, მსოფლიო თასამდე შესარჩევი ტურნირია დასაძლევი. მწვრთნელის მიერ საამისოდ შეგულებული 30 მორაგბიდან მხოლოდ ოთხი თამაშობს რუმინეთში. ყველასთვის გასაოცრად, არც ერთი არ თამაშობს ბუქარესტის "დინამოში", რომელიც ქვეყნის ჩემპიონია.

# სეიშენი

## „ქართული ჩანაწერები" ექსპერიმენტულ ჩანაწერს ამზადებს

ვერა ნეფარიძე

**საშემოდგომოდ ქართველი მსმენელი საინტერესო ჩანაწერს უნდა ელოდოს. საამისოდ "ქართულმა ჩანაწერებმა" რამდენიმე, სხვადასხვა ჟანრში მომუშავე მუსიკოსი, გააერთიანა. უპრეცედენტო ექსპერიმენტი თანამედროვე ქართულ მუსიკაში გუშინ დაიწყო.**

ერთი შეხედვით, უპრეცედენტო არაფერია შემოქმედებით თანამშრომლობაში, თუნდაც პროექტი განსხვავებული მუსიკალური მიმართულების წარმომადგენლებს აერთიანებდეს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, "ქართული ჩანაწერები" ნამდვილ ნოვატორად მოგვევლინა. წარმოიდგინეთ, სტუდიაში მიიწვიეს ათამდე შემსრულებელი, ერთადერთი რაც მათ უთხრეს, ეს იყო დანარჩენი მუსიკოსების ვინაობა. მიზანი ერთადერთი იყო – ყველას ერთად უნდა ჩაეწერა რაღაც, ოღონდ ეს რაღაც რომ დისკის სახით უნდა გამოვიდეს, ამის შესახებ მხოლოდ სტუდიის განმკარგავებმა – გიორგი ასანიშვილმა და ბასა ჯანიკაშვილმა იციან (ვინაიდან სხვა გზა არ ჰქონდათ, ინფორმაცია ჩვენც გაგვანდეს).

"მწვანე ოთახი", "ზუმბა", Soft Eject, ანსამბლი "ურმული", ნესტან ბაგრატიონ-დავითაშვილი, კახა ცისკარიძე, ნიკა მემანიშვილი – ასეთია "ქართული ჩანაწერების" ექსპერიმენტული პროექტის შემადგენლობა. თუმცა, ჯგუფები სრული შემადგენლობით არ მონაწილეობენ. "სოფთებს" ამ შემთხვევაში ვახო ბაბუნაშვილი წარმოადგენს, "მწვანე ოთახს" აჩიკო გულედანი, "ურმულს" კი დავით ქავთარაძე. საერთოდ კარგი იდეების უმრავლესობა კარგ ადგილებში იბადება ხოლმე. ასე იყო ამ შემთხვევაშიც. როდესაც ბაკურიანში სეიშენით თავშექცეულ ნიკა მემანიშვილს, "ზუმბას", გოგი ძოძუაშვილსა და მადი სერებრიაკოვას მუსიკალიურად ნიჭიერი რეჟისორები და მწერლები შეუერთდნენ, ბასა ჯანიკაშვილს გაუჩნდა იდეა, გაკეთებულიყო მსგავსი ჩანაწერი კომპაქტ-დისკისთვის. "ამ პროექტით გავაერთიანეთ სხვადასხვა სტილისა და მიმართულების მუსიკოსები. პროექტის მიზანი ძალიან უბრალოა: ჩაიწეროს ისეთი მუსიკა, როგორიც ნაკლებად იწერება საქართველოში – უფულობის, მოუცლელობისა და სხვადასხვა მიზეზების გამო. ალბომი ექსპერიმენტულია და სპონტანური. მთავარია, მუსიკოსები რამდენად დარჩებიან კმაყოფილი ჩანაწერით, ალბომის გამოშვება კი, ძალიან ადვილია. თუ კარგი გამოვა, მერე შეიძლება ერთჯერადი კონცერტიც გავაკეთოთ. ვინაიდან ჩვენი სტუდია გვაძლევს საშუალებას, ყველა ინსტრუმენტი ერთად ცოცხლად ჩავწეროთ, გვინდა გამოვიდეს ცოცხალი ჩანაწერი, ბევრი იმპროვიზაციით" – იდეის განმახორციელებელთა თქმით, ჩანაწერი მხოლოდ კომპაქტ-დისკის სახით გავრცელდება.

ჩანაწერი ისეთივე სპონტანური იქნება, როგორიც ბაკურიანის ერთობლივი საღამო გამოვიდა. ოღონდ, პროექტში მხოლოდ ის მუსიკოსები მონაწილეობენ, ვისაც ერთმანეთთან თანამშრომლობის გამოცდილება არ აქვს. აქაც ერთადერთი გამონაკლისია, ნიკა მემანიშვილისა და "ზუმბას" სახით, თუმცა, მათი ერთობლივი გამოსვლა რომ არ ყოფილიყო ბაკურიანში, ალბათ არც ამ პროექტის გაკეთება დაჩქარდებოდა.

წარმატებული და საინტერესო ჩანაწერის იმედს უკვე მონაწილეთა წარმომადგენლობა და მათი განსხვავებული მუსიკალური გატაცებები იძლევა. თავად განსაჯეთ: ორიგინალურ ვოკალზე ნესტან ბაგრატიონ-დავითაშვილი და აჩიკო გულედანი იზრუნებენ (თუმცა, ესეც არაა წინასწარ განსაზღვრული. ასეთი დასკვნა პირველი რეპეტიციიდან გამოვიტანე); ტამ-ტამზე საქართველოში მისი ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი, კახუჩელა დაუკრავს; განუყრელ სალამურს ააჟღერებს "ზუმბა" (ზაზა კორინთელი); ჭუნირით, ზურნითა და მოლდავური თიხის ჩასაბერი საკრავით ჩანაწერს ეგზოტიკას შემატებს ანსამბლ "ურმულის" მუსიკოსი, დავით ქავთარაძე; ვახო ბაბუნაშვილი გიტარით გამოაფხიზლებს მუსიკალურ მედიტაციაში გადაშვებულ მუსიკოსებს; ამ ყველაფერს კი, კონცეპტუალურად კლავიშებიანი საკრავით, გააერთიანებს ნიკა მემანიშვილი. მგონი, იმდენი რამ განვსაზღვრე წინასწარ, რისი ნახევარიც არ დაუგეგმავთ თავად მუსიკოსებს, მაგრამ ასეთი დასკვნები ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ნამდვილად არაა. ასე გადანაწილდა მუსიკოსთა პარტიები ექსპერიმენტის პირველ დღეს.


ნესტან ბაგრატიონ-დავითაშვილს ფონს უქმნის "ზუმბა"


ნიკა მემანიშვილი და ვახო ბაბუნაშვილი


"ზუმბა" და ნიკა მემანიშვილი

# ქართული კინო აუცილებლად იარსებებს

თამუნა კანდელაკი

"ყოველთვის, როცა ამბობენ ქართული კინო მოკვდაო, ძალიან ვბრაზდები", - ეს სიტყვები ეკუთვნის კინოცენტრის დირექტორს, ზაზა ურუშაძეს. კინომ შეიძლება არსებობა მაშინ შეწყვიტოს, როდესაც აღარ იარსებებს იდეა და სურვილი, მაგრამ არის მესამე და ყველაზე მთავარი - ფინანსები, რადგან კინო ძვირადღირებული ხელოვნებაა. ქართველ რეჟისორებს იდეებიც აქვთ და სურვილიც, მაგრამ არ არსებობს ამ იდეის განხორციელებისათვის საჭირო თანხა. სწორედ ეს არის იმის თქმის საბაბი, რომ ქართული კინო აღარ არსებობს. რატომ არ რჩება თანხა ქართული კინოსთვის?

აქამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააქციო საზოგადოება "ქართულ ფილმში" (ყოფილი კინოსტუდია "ქართული ფილმი") კინემატოგრაფისთვის სუბსიდიის სახით, მიდიოდა თანხები, მაგრამ სააქციო საზოგადოება ძალიან დიდ შენობებს ფლობდა და ის თანხაც, რომელიც ფილმების საწარმოებლად მოდიოდა, ძირითადად სააქციო საზოგადოების შენახვაში იხარჯებოდა. ამიტომაც, საჭირო გახდა, რაღაც ახალი სისტემის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემდა ქართველ კინემატოგრაფისტებს დანაკარგის გარეშე გადაენაწილებინათ თანხა ფილმებისათვის. სწორედ ამის გამო, შარშან საფრანგეთის ეროვნული კინოცენტრის მოდელის საფუძველზე (რადგან მსოფლიოში ყველაზე მეტად ამ მოდელმა გაამართლა) შეიქმნა კინოცენტრი. საქართველოს კინემატოგრაფიის მხარდაჭერის შესახებ კანონის თანახმად, ის არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას.

კინოცენტრის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ პირველ რიგში აუცილებელი იყო იმ ცხრა სრულმეტრაჟიანი და ორი ანიმაციური ფილმის დასრულება, რომლებიც სააქციო საზოგადოება "ქართულ ფილმში" იყო წარმოებაში ჩაშვებული. სახელმწიფომ ამ ყველაფრისთვის 466 000 ლარი გამოყო. ეს თანხა კინოცენტრში შექმნილმა დროებითმა კინოკომისიამ მხოლოდ სამ ფილმზე გადაანაწილა. ეს ფილმებია: რეზო ესაძის "ჭერი", გიო მგელაძის "ქალაქის დაცემა" და გუგული მგელაძის "ენკი-ბენკი". გარდა ამისა, ფინანსების გაცემა დასრულდა ორ ანიმაციურ ფილმზე, ესენია: რატი ნანეიშვილის "მგლის აღსარება" და ბადრი შოშიტაიშვილის "განხეთქილების ვაშლი". ეს ფილმები ეკრანებზე ჯერ არ გამოსულა. იმისათვის, რომ დანარჩენი ექვსი ფილმიც დასრულდეს, საჭიროა კიდევ 284 000 ლარი, რომელიც სახელმწიფომ უნდა გამოყოს. მაგრამ ეს თანხა ჯერჯერობით არ ჩანს.

რადგან სახელმწიფო ასე წყვეტილად აფინანსებს, არადა კინო ერთი ამოსუნთქვით უნდა გადაიღო, კინოცენტრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ 2004 წლამდე სრულმეტრაჟიანი ფილმები აღარ ჩაუშვას წარმოებაში და გადაიღოს მოკლემეტრაჟიანი ფილმები ციფრულ ვიდეოზე. მართალია, ვიდეო ფირს ვერ შეცვლის, მაგრამ მსოფლიოში, სადაც სიჩქარე და მობილურობაა საჭირო, ყველგან ვიდეოს იყენებენ. ახალი ქართული კინოპროდუქციით მეტად დაინტერესდებიან ტელევიზიები და ფესტივალებზეც უფრო ადვილად გაიყიდება.

კინოცენტრის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქართული კინო დაუახლოვდეს მსოფლიო ქვეყნების კინოინდუსტრიას. მომავალში მოეწყობა კონკურსები: ციფრული ვიდეოს ფორმატით სადებიუტო მოკლემეტრაჟიან ფილმებზე (ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება სტუდენტებს შეეძლებათ, მხოლოდ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ) და კინოპროდუქციის შესაქმნელ თანხაზე. ამ კონკურსში გამარჯვებულებს საშუალება ექნებათ ამ პროექტით წარსდგნენ 2004 წელს მხატვრული ფილმების შესაქმნელად, ერთი წლის განმავლობაში უნდა მოიძებნოს კო-პროდუქტორი. ასევე პროდიუსერებს შეეძლებათ შეიტანონ პროექტები. გამარჯვებულ პროექტებს დააფინანსებს კინოცენტრი, მაგრამ დაფინანსება ხდება მხოლოდ ნაწილობრივ - 75%-მდე (ეს დაახლოებით 800 000 ლარია). სანამ დანარჩენი 25% არ მოიძებნება, გამარჯვებული პროექტისთვის გამოყოფილი 75% ბანკში ხელუხლებელი უნდა დარჩეს, რომ პროექტის ავტორი არ შერცხვეს კო-პროდუქტორთან. ამ კონკურსებს აუცილებლად გაუკეთდება რეკლამა ტელევიზიითაც და სხვა საშუალებებითაც.

აპარატურას ამ ყველაფრისთვის კინოცენტრი არ ფლობს. მისი ხელმძღვანელობა თვლის, რომ არც არის საჭირო, რადგან კო-პროდუქტორები ძირითადად ტელევიზიები იქნებიან. ისინი კი შემოვლენ აპარატურით და არა თანხით (ეს იმ 25%-ში შედის).

გაისად ასევე იგეგმება კინოცენტრთან არსებული სადისტრიბუციო ცენტრის ჩამოყალიბება. მოეწყობა ტრენინგები საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სპეციალისტებთან. ალბათ, პროდიუსერებსაც გააგზავნიან საზღვარგარეთ სასწავლებლად. კინოცენტრის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ბიუჯეტის გარდა, სხვა გზებითაც უნდა მოხდეს დაფინანსება. კულტურის სამინისტროში უკვე მუშავდება კანონი, სახელწოდებით, "სპონსორობა და ქველმოქმედება", რომელიც გულისხმობს იმას, რომ სპონსორს, დაფინანსების შემდეგ, გარკვეული შეღავათები მიენიჭოს საგადასახადოს მხრიდან. ამით უფრო მეტი ინტერესი გაჩნდება ქართული კინოს მიმართ.

ბ-ნი ზაზა კინოცენტრის დირექტორია და ამიტომ დრო აღარ რჩება საკუთარი შემოქმედებისთვის. ის აპირებს გადაიღოს ფილმი, რომელშიც, ალბათ, ტრილერის ელემენტებიც იქნება. "ჩვენ ბევრს ვიმუშავებთ და დარწმუნებული ვარ, რომ მიზანს მივაღწევთ - ქართული კინო აუცილებლად იარსებებს" - აცხადებს იგი.

საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციასთან არსებული უმაღლესი
**მცირე აკადემია და მისი ლიცეუმი** სასწავლებელი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას უცხოური ენებისა და კომპიუტერის ყოველდღიური გაძლიერებული სწავლებით, ქართული, რუსული და ინგლისური სექტორების დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

**უმაღლეს სასწავლებელში:**

1. უცხოური ენების ფაკულტეტზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, თურქული, არაბული); 2. ხელოვნების ფაკულტეტზე (ფერწერა, ტანსაცმლის მოდელირება, ხელოვნებათმცოდნეობა: სახვითი ხელოვნება, თეატრი, კინო და მუსიკისმცოდნეობა); 3. ბიზნესის ფაკულტეტზე (საერთაშორისო ეკ. ურთიერთობები, ფინანსები და საბანკო საქმე, ფინანსები და საგადასახადო საქმე, აუდიტი და კონტროლი, წარმოების მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი); 4. იურიდიულ ფაკულტეტზე (სამართალმცოდნეობა, საბაჟო სამართალი); 5. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე (პერიოდული პრესა, ტელე-რადიო ჟურნალისტიკა); 6. პედაგოგიურ ფაკულტეტზე (სოციალური აღზრდა, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა).

ბიზნესის გარდა სწავლება ყველა ფაკულტეტზე [illegible], ბიზნესზე - [illegible].

**ლიცეუმში:**

(ქართულ, რუსულ და ინგლისურ სექტორებზე) ყველა ზემოაღნიშნულ სპეციალობაზე, ორი უცხოური ენისა და კომპიუტერის ყოველდღიური გაძლიერებული სწავლებით.
ფასიანი სწავლების განყოფილებაზე ფრიადოსნისა და კარგოსნის (5 ოთხიანამდე) ატესტატით
აბიტურიენტები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, დანარჩენები - ტესტური გასაუბრებით:
იურიდიულ, ხელოვნებათმცოდნეობის, ჟურნალისტიკისა და პედაგოგიურ ფაკულტეტებზე, ასევე ლიცეუმში - საქართველოს ისტორიასა და ქართულში (რუსულ სექტორზე - რუსულ ლიტერატურაში), ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე - შესაბამის უცხო ენასა და ქართულში (ენა-ლიტერატურა).
იტალიურ და ესპანურ ენებზე - მხოლოდ ქართულში.
მოდელირებასა და ფერწერაზე - ხატვასა და ქართულში.
ბიზნესის ფაკულტეტზე - მათემატიკასა და ქართულში.

უფასო სწავლების განყოფილებაზე ჩაირიცხებიან ტესტირებაში უმაღლესი ქულების მქონე საკონკურსო გამოცდებში გამარჯვებული აბიტურიენტები.

**სიახლე:**

1. მცირე აკადემიაში ჩარიცხულთათვის მეორე ფაკულტეტზე სწავლა უფასოა. 2. თითოეული სტუდენტისათვის დაწესებულია სწავლის ინდივიდუალური გადასახადი ოჯახური პირობების, ატესტატისა და მისაღები გამოცდების შედეგების შესაბამისად.

**გათვალისწინებულია ფინანსური შეღავათები:**

1. უმაღლესი სასწავლებლის ფრიადოსნის ატესტატიანთათვის 10 პროცენტი, ოთხოსნის (5 ოთხიანამდე) ატესტატიანთათვის - 5 პროცენტი ფასდაკლება. 2. მრავალშვილიან ოჯახებს, ობლებს, ლტოლვილებსა და ავღანეთში დაღუპულთა შვილებს სწავლის თანხა უმცირდებათ 10 პროცენტით. 3. ოჯახი, რომელიც მცირე აკადემიაში 2 შვილს ასწავლის, სარგებლობს 10-პროცენტიანი შეღავათით.

**სწავლის თანხის გადახდა - შეღავათიანი პირობებით (მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ)**

საბუთები მიიღება 10-დან 18 საათამდე (ყოველდღე, გარდა კვირისა)
უნდა წარმოადგინოთ:
1. ატესტატი (დედანი); 2. ოთხი ფოტოსურათი 3X4; 3. პასპორტი ან პირადობის მოწმობა.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 17 ა (შემოსასვლელი ეზოდან).
ტელეფონები: 22-02-01; 22-05-07.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

ამ აპოკალიფსურ ჟამს, როცა თითქმის აგვიხდა ჰერბერტ უელსის შავბნელი წინასწარმეტყველებანი (ვისაც "დროის მანქანა" არ წაუკითხავს, კინოთეატრ "ამირანს" მიაკითხოს), ქართველ ელიტარულ კლასს გენეტიკური მუტაციის პირველი ნიშნები — ლაყუჩები გაუჩნდა და საცხოვრებლად საცურაო აუზების გამოყენება დაიწყო; როცა უსამართლოდ ჩამოხრჩობილი არსენა ჯორჯიაშვილის აჩრდილმა ალექსანდრეს ბაღში დაიდო ბინა და ასი წლის განმავლობაში ჯოჯოხეთის აკადემიაში ნასწავლი პიროტექნიკის უნარ-ჩვევებით გვაკვირვებს; როცა კახეთს მკალი, "თავისუფლების ინსტიტუტს" კი ნავარჯიშევ ბეტმენთა ესკადრა შეესია, — ამ ძნელბედობის ჟამს კიოსკთა დახლებსა და ქუჩის სტენდებზე მწიფე ფორთოხლისფრად ანათებს გაზეთ "24 საათის" ტიტული, თბილისელ დალაქთა რისხვა.

და თუმცა ნაშუადღევს სულ უფრო ხშირად გაისმის "აღარა გვაქვს" და "უკვე გაგვითავდა", სადღაც, გულის სიღრმეში, მაინც ვგრძნობ, მთლად კარგად არ უნდა იყოს ჩვენი გაზეთის საქმე. თავიდან ის "სურნელოვან ქალბატონად" იყო ჩაფიქრებული და იმედი გვქონდა, რომ ეს "благоухающая дама" თურმე ერთნაირად მიიზიდავდა ჯენტლმენებსა და "ბომჟებს". ამგვარად უნდა განხორციელებულიყო ჩვენი მარადიული ოცნება ეროვნულ ერთიანობაზე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რეალური ცხოვრება გაცილებით უფრო რთულია, ხოლო ჩვენი პატარა ერი, ჩვენი ერთი მუჭა ქართველობა, რომელსაც აქამდე მხოლოდ რაღაც უცხო გარემოცვაში ჩავარდნილს, რომელიღაც დაუძინებელი მტრის მიერ დაპყრობილსა და მის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკრულს მოვიაზრებდით, სინამდვილეში ფენებად, ინტერესებად, სურვილებად, წარმოდგენებად და თვალსაზრისებად ყოფილა დაყოფილი და საკუთარ თავში მთელს საკაცობრიო კოსმოსს ატარებს. მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ საქართველო ცოცხალი ადამიანებითაა დასახლებული, უფრო მეტიც, ყოველ მათგანს თავისი განუმეორებელი ნება აღმოაჩნდა. დამხმარე კი არსადაა: დანიელ ჭონქაძის "სურამის ციხეც" კი ამოიღეს სასკოლო პროგრამიდან. რატომ? — ეს კითხვა დიდი ხნის განმავლობაში მაწუხებდა, რადგანაც ამ გარემოებაში რაღაც გასაღებს ვხედავდი, მაგრამ ვერ ვწვდებოდი. ბოლოს და ბოლოს, როცა ჩვენი აქტიური სტუდენტობის მდუღარე ტალღა რომელიღაც პრორექტორის ურყევ მონოლითს შეასკდა, ჩემს გონებასაც მოეფინა ნათელი: დანიელ ჭონქაძის მოთხრობაში თუ მცირე რომანში ბოროტებას ხომ ვიღაც უცხო კი არა, ჩვენი საკუთარი ქართველი ბატონი ასახიერებს. ნამდვილად ძნელი მოსანელებელია!

დიახ, ძნელია, მაგრამ უნდა მოვინელოთ. აუცილებლად უნდა მოვინელოთ და გავიაზროთ კიდეც, რადგან ეს შეგნება მრავალი მოულოდნელი და შეუმჩნეველი შეცდომისაგან გვიხსნის. მაგალითად, აღარ მოვტყუვდებით, და აღარ გვეგონება, რომ სურნელოვან ქალბატონს ერთნაირად ეტრფის ჯენტლმენიც და "ბომჟიც". ეს უკანასკნელი დიახაც გაიწევს მშვენიერებისკენ, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ შეურაცხყოფა მიაყენოს, ღვარძლი დაანთხიოს, შური იძიოს საკუთარი უბადრუკობისა და უბედურებისათვის.

აქაც არჩევანია საჭირო. არჩევანის გასაკეთებლად კი — ცოდნა. უპირველეს ყოვლისა, გავიგოთ, რას ნიშნავს "ბომჟი". ეს სიტყვა რუსული აბრევიატურაა — БОМЖ, Без Определенного Места Жительства — და, როგორც ვხედავთ, გარკვეული საცხოვრებელი ადგილის უქონლობას ნიშნავს. კულტურული თვალსაზრისით ნამდვილი ბომჟი სწორედ ჩვენს მიერ წარმოდგენილი "სურნელოვანი ქალბატონია", რომელსაც ვერ გაურკვევია, ვის მისცეს თავისი გული. შეუძლებელია "შპიგელისა" და "ბილდის", "ესპრესოსა" და "ჯენტეს", ან "ფაინენშლ თაიმსისა" და "დეილი მირორის" შეჯვარება. შავსა და თეთრს შორის საზღვრის წამშლელი საბოლოოდ მოსაწყენ, ჭუჭყიან ნაცრისფერს მიიღებს. ჩვენ კიდევ გვაქვს შანსი, წინ აღვუდგეთ სულიერ "ბომჟობას" — მდგომარეობას, როცა ჩვენი გემოვნებისთვის არანაირი გარკვეული საცხოვრებელი ადგილი არ არსებობს და ერთი ადრიანად გადმოცემული შოუსი არ იყოს, სიმონ მასხარაშვილი და ბრიტნი სპირსი მშვიდობიანად იყოფენ საეთერო წუთებს. ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, თავი დავაღწიოთ ცუდ ეკლექტიკას და ვიქცეთ საზომად, კულტურის (თუ ასეთი ჯერ კიდევ შეგვრჩა) მყარ ეტალონად, ათვლის წერტილად. თუნდაც შუაში იდგეს ეს ათვლის წერტილი, ოღონდაც ღობე-ყორეს არ ედებოდეს, როგორც ეს ხშირად ხდება ახლა.

ასე რომ, *გარკვეული* საცხოვრებელი ადგილი უნდა მოვძებნოთ და, როგორც ეტყობა, დროითა და სივრცით უნდა დავიწყოთ. დროსა და სივრცეს კი, ცოტა არ იყოს, უცნაურად აღვიქვამთ. პირდაპირ რომ ვთქვათ, მითოლოგიურად.

ასახსნელად მეც მითოლოგიურ წარსულში — ორი კვირის წინანდელ ორშაბათს უნდა გადავინაცვლო და ორი ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებული პუბლიკაცია განვიხილო. პირველი 8 ივლისს გამოქვეყნებული *ჰომინიდების საგაა* (მარინა ვაშაყმაძე), მეორე კი — 15 ივლისის ნომერში დაბეჭდილი სტატია *ანსამბლი "რუსთავი" გერმანელებმა ფრონტზე გააცილეს* (ნანა კობაიძე). პირველი დროში გაურკვევლობას ასახიერებს, მეორე — სივრცეში.

## გუშინ შვიდნი ჰომინიდნი...

პირველი ამბავი შორიდან იწყება. ასე გვაფრთხილებენ თავიდან. მაგრამ შთაბეჭდილება მატყუარაა: მთელი ფოკუსი წარსულის მოახლოებაში, მის მოხელთებაში მდგომარეობს. ავტორი გვაფრთხილებს: ისე შორიდან უნდა დაიწყოს, რომ შეიძლება იმათაც გაუკვირდეთ, "ვინც შორი ამბები სხვაზე კარგად იცის". ნეტა ვის გულისხმობს? იქნებ იმ განათლებულ ქართველებს, რომლებმაც, მორჩილაძე-ჰამსუნის თქმით, შესანიშნავად იციან ძველი სამეფოს ისტორია, მაგრამ წარმოდგენა არა აქვთ საკუთარი ქალაქის უახლოეს წარსულზე? წარსული კი იკუმშება, ადვილი ჩასაყლაპი რომ იყოს, მუჭში დატევას ლამობს.

ამისათვის კი ცნობილ ორიენტირს უნდა მიებას. ყველასათვის ერთნაირად მისაღები და ცნობილი ორიენტირი კი მადლიანი მეთორმეტე საუკუნეა. თურმე, სამხრეთ კავკასიაში უძველესი ჰომინიდები ბინადრობდნენ "მანამ, სანამ ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო, ჯერ კიდევ მანამ, სანამ მართლაც "ნიკოფსიიდან დარუბანდამდე"...

პატარა მათემატიკური გაანგარიშების შედეგი: სამხრეთ კავკასიაში მობინადრე ჰომინიდების ეპოქა (მილიონ შვიდასი ათასი წლის წინ) იმდენჯერვეა დაშორებული მეთორმეტე საუკუნეს, რამდენჯერაც თვით მეთორმეტე საუკუნე — წლევანდელ თებერვალს. მაგრამ ეს არავის აინტერესებს. მთავარი წარსულის დაღეჭვა, ჩაყლაპვა და მონელებაა. ოღონდაც ეს წარსული წინასწარ მოშინაურებული უნდა იყოს და, რაც მთავარია, გარკვეულობისაგან დაცლილი, თავის ჭეშმარიტ ზომებს მოკლებული. ამიტომ ყველაფერი, რაც კი ხდებოდა პლანეტის ამ მონაკვეთზე, აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს ტაძარსა და გალავანს, ათასგვარ მტერსა და მათ წინააღმდეგ, ერის გადასარჩენად მიმართულ გულიან ქართულ ლოცვას. აფრიკიდან "ნელი ნაბიჯით" მოსული ჰომინიდის იერსახე აუცილებლად უნდა ჩაჯდეს უკვე ცნობილი არქეტიპების რიგში: ვინ იცის, იქნებ ასეთივე ნელი ნაბიჯით შემოვიდნენ საქართველოში წმიდა ნინო, ასურელი მამები... შედარება ვიღაცას მკრეხელურად მოეჩვენება, მაგრამ მარინა ვაშაყმაძის პათეტიკური ტონი სხვა გზას არ გვიტოვებს.

სამხრეთ კავკასიის მილიონშვიდასიათასიწლისწინანდელი გარემო თურმე ძალიან ჰგავდა სავანას, მაგრამ ეს "არ იყო აფრიკის მიწა". ხომ შეიძლებოდა, დაგვეწერა, "ეს არ იყო აფრიკა". არა, მაინცდამაინც "აფრიკის მიწა". მიწა, მიწა, — სადღაც უკვე იყო ეს, სადღაც უკვე გაიჟღერა ამან... ჰო, გამახსენდა — Blut und Boden — "სისხლი და მიწა". არა, ჰომინიდები ჯერ მხოლოდ ლაღად დადიოდნენ დედამიწის ზურგზე და მათი ერთადერთი საზრუნავი საჭმელი იყო.

მაგრამ ეს არ გვაინტერესებს. მთავარი ისაა, რომ დმანისში "გათხრებისას მრავლადაა აღმოჩენილი XI-XIII საუკუნეების ქართული კერამიკა, რკინის იარაღი შრომისათვის და ბრძოლისათვის, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ქართული და უცხოური მონეტები — უტყუარი დასტური დმანისისა და საქართველოს ძლიერებისა და უდიდესი კონტაქტების". რა კავშირი აქვს ყოველივე ამას პალეოანთროპოლოგიასთან? — არავითარი. XI-XIII საუკუნეებში დმანისის, ისევე როგორც რომის, კაიროს, ბაღდადის, პეკინისა და სხვა მრავალი ქალაქის მოსახლეობას უკვე სრულიად ჩამოყალიბებული *ჰომო საპიენსები* შეადგენდნენ და მათი თავის ქალები ჩვეულებრივი ანთროპოლოგის საკვლევი ობიექტია. მაგრამ წარსული ღომივით უნდა მოიზილოს, მოიხარშოს, რომ უფრო ადვილი იყოს მისი გადამუშავება. ამიტომაც წერია, რომ ჰომინიდები აფრიკაში "სახლობდნენ" — ნეტა რანაირი "სახლები" ჰქონდათ? — და არა უბრალოდ "ბინადრობდნენ". ამიტომაც წერია, რომ დმანისში ათასი ჯურის სამშვიდობოდ მოსული სტუმრისათვის მინარეთიანი მეჩეთი და მედრესე იდგა თურმე — აფრიკელმა ჰომინიდებმა ხომ განსაკუთრებული ტოლერანტული სული შთაბერეს თავიანთ ქართველ შთამომავლებს. ამიტომაც არც "უსასრულო" შემოსევები გამორჩა ავტორს: მონღოლები, ოსმალები, სპარსელები. საშუალო ქართველი ინტელიგენტის ამ ჯენტლმენურ კრებულს აშკარად აკლია არაბები.

მაგრამ მიზანს არაბების გარეშეც ვაღწევთ: წარსულმა დაკარგა თავისი სახე და იმის მაგიერ, რომ ქართველთა ისტორია შესულიყო მსოფლიო ისტორიის ერთიან ნაკადში, კაცთა მოდგმის საწყისები იქნა წარმოდგენილი საქართველოს წარსულის კერძო შემთხვევად.

სწორედ აქედან მომდინარეობს ის მოკაშკაშ-მოელვარე პროვინციალიზმი, რომლითაც პროექტში მონაწილე მეცნიერთა სახეებია წარმოდგენილი. სტატიის წაკითხვის შემდეგ არ გვეცოდინება, რა კონკრეტული წვლილი შეიტანა აღმოჩენაში ევროპულმა მხარემ, წამყვანი მეცნიერის საკანდიდატო ნაშრომის სათაურიც ცუდადაა თარგმნილი რუსულიდან. სამაგიეროდ, ქართველი მკვლევარი ჩვენს თვალწინ წარდგება როგორც თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად მუდამ უზომოდ დიდ დაბრკოლებებთან მებრძოლი რაინდი. მისი არ სჯეროდათ, წლების, ათწლეულების განმავლობაში არ ამჩნევენ, მასხრად იგდებენ, შეუძლებელიაო. და მაინც! და მაინც! მერედა, რისი წყალობით? — "საამაყო წარმომავლობის დახვეწილი ინტელიგენტი, მომღიმარი და თავისუფლად მოსაუბრე მრავალ ენაზე, იმ კოდისა და იმ პირობის მატარებელი, რომელიც დღეს საერთაშორისო მასშტაბს სჭირდება", — ასეა დახატული ქართველი მეცნიერის სახე. სინამდვილეში კი თავზე ფერფლი უნდა დავიყაროთ: საამაყო წარმომავლობას რომ თავი დავანებოთ, აქ მხოლოდ ის თვისებებია ჩამოთვლილი, რომელიც უბრალო და უსახური უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლისთვისაც კი აუცილებელი უნდა იყოს. ასე ვახასიათებთ ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებს? — რომ მათ თურმე თავიანთ უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობა შეუძლიათ? ნუთუ მხოლოდ ჩვენთვის რჩება საიდუმლოდ, რომ მეცნიერებას სამშობლო არა აქვს? და ვინც მის საერთაშორისო ენას არა ფლობს, გამოჩენილი კი არა, საერთოდაც არაა მეცნიერი?

მაგრამ ეს წვრილმანებია: მთავარია ჩვენი დამოკიდებულება დროსთან. ჩვენი ისტორიის ეგრეთ წოდებული "ოქროს ხანა" ჩვენთვის პროკრუსტეს სარეცელია, რომელზეც ერთნაირად ვაწვენთ წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ამ რამდენიმე დღის წინ გაეროს მიერ გამოცხადებული საშუალო სკოლის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ერთი კონკურსის გამსწორებლემა შემომჩივლა: სამასზე მეტი თხზულება შემოვიდა და ყველაში ერთიანად სულ დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეზე იყო ლაპარაკიო. კონკურსის თემა შემდეგი იყო: "მე რომ მშვიდობის ელჩი ვყოფილიყავი". ასე ვაწვენთ პროკრუსტეს სარეცელზე ჩვენს აწმყოს. მეორე მხრივ, ვინ არ იცის ერთი გავრცელებული შეხედულება, თითქოს XII საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 12 მილიონი იყო — მაშინდელი კაცობრიობის 5%. ასე ვზომავთ იგივე საზომით ჩვენთვის სასურველ მომავალს.

ისე კი, თუ დროში ვერ მივაგენით გარკვეულობას, უნდა ითქვას, რომ არც სივრცეში ვგრძნობთ თავს უკეთესად.

ვის არ გაუგონია სოფლად და ქალაქად ერთნაირად გავრცელებული გამოთქმა: "რა კარგი ბიჭია, როგორ ჰგავს ქართველს!". ჩვენ ვერასოდეს მოგვეწონება რაიმე უცხო ან შორეული, თუ ძალით არ დავიახლოვეთ, რაიმე ჩვენეული არ მოვახვიეთ თავს.

"გერმანიის ერთ დიდსა და ლამაზ სოფელში, რომელსაც თუნდაც შვაინენშლამფს დავარქმევთ, ცხოვრობს ფერკელშმუცების ტრადიციული გერმანული ოჯახი. რაინის მიმდებარე დამრეც ფერდობებზე შეფენილა შვაინენშლამფის კოხტა სახლები და ზვრები. დილაადრიან იწყება ოჯახის უფროსის, ბატონი კურტის სამუშაო დღე და გვიან საღამომდე დაღლა არ იცის მისმა მარჯვენამ. სულ ნახევარი საათით თუ შეყოვნდება, რათა საყვარელი მეუღლის, ქალბატონ ჰელგას მიერ მომზადებული გემრიელი სადილი იგემოს და ზედაც ერთი ჭიქა ქარვისფერი მოზელურით ადღეგრძელოს მშობლიური ქვეყნის, სათაყვანებელი გერმანიის უკვდავი გმირები ლეგენდარული ზიგფრიდიდან რეალურ შუმახერამდე. ქალბატონი ჰელგაც დილიდან საღამომდე ფუსფუსებს და სულ დაკრიალებული აქვს ვეებერთელა კარმიდამო. ფერკელშმუცები დიდ პატივს სცემენ თავიანთი ოჯახის ისტორიას: საპატიო ადგილას, გოეთესა და შილერის პორტრეტებს შორის ჰკიდია ბატონი კურტის მამის, სტალინგრადთან გმირულად დაცემული ჰანს-გეორგის სურათი და მისი რკინის ჯვარი..."

განვაგრძოთ ეს აბსურდი? ნუთუ მხოლოდ ასე უნდა გამოჩნდეს აბსურდულობა, ხოლო ნანა კობაიძის ზემოხსენებული პუბლიკაციის პირველივე წინადადება სრულიად მშვიდად უნდა მივირთვათ: თურმე ანსამბლ "რუსთავის" ხელმძღვანელი "აღფრთოვანებულია გერმანული სტუმართმოყვარეობით (მარტო ჩვენ არ გვცოდნია სტუმრის პატივისცემა)". კი ბატონო, შეიძლება აღგვაფრთოვანოს მიღებამ, კვებამ და ცხოვრების პირობებმა, ამაში არც საკვირველია არაფერი და არც დასაძრახი, მაგრამ როცა სტატიის ავტორი ფრჩხილებში მოცემულ ინტერპრეტაციას იძლევა, ეს უკვე ჩემს მიერ შეკოწიწებული აბსურდის ტოლფასია. დახეთ, დახეთ გერმანელებსა! იმათაც სცოდნიათ ავ-კარგი. მთელი სტატია რაღაცნაირი აგრარულ-ძმაკაცური სულისკვეთებითაა გამსჭვალული: მდიდარი გერმანელები ზედ ყვებიან ჩვენს მომღერლებს, "სანაქებო პურმარილს" უშლიან, ისეთ სასტუმროში ამწესებენ, სადაც მანამდე მხოლოდ ნობელის პრემიის ლაურეატებს, მათ გარდა კი, მიხაილ გორბაჩოვსა და რაისა მაქსიმოვნას უცხოვრიათ. ამ უკანასკნელის სურათზე შავი *მანდილია* ჩამოფარებული (ლენტი მაინც დაეწერა იმ დალოცვილს).

ერთი სიტყვით, სივრცეშიც ერთადერთი ორიენტირი გვაქვს: საქართველო. ოღონდ ეს საქართველო წარმოდგენილია, როგორც სოფელი. ჩვენი სივრცული იდეალი სწორედ ესაა. ჩემი ბავშვობიდან მახსოვს, ჟურნალებში "პიონერი" და "დილა", სისტემატურად რომ ჩნდებოდა მოთხრობები: არდადეგებზე სოფლად ჩასული ქალაქელი ბავშვები გმირულად იტანენ დაცინვას და ენით აუწერელ სიამოვნებას იღებენ ქვევრების რეცხვისგან; ქალაქელი ბიჭის კლარნეტისტი მამა საზეიმოდ აღიარებს, რომ კონსერვატორიამ თითქმის არაფერი მისცა, სულისბრუნება კი მესალამურე გიგო პაპამ ასწავლა; ორი ბიძაშვილი — ქალაქელი და სოფლელი — ჩუმად იპარებიან პაპისეულ მიტოვებულ სახლში და საიდუმლოდ სვამენ ჟიპიტაურს, რომელშიც ძველი ხანჯლიდან აფხეკილი ვერცხლია გარეული, იქვე კედელზე კი დამარცხებული ქისტების გამხმარი ხელები ჰკიდია. აი, შედეგიც: ქართული სოფელია ჩვენი პროკრუსტეს სარეცელი, რომლითაც ყველანაირ უცხო კულტურას ვზომავთ და, ვაი მას, თუ ვერ ჩაეტია (ჩვეულებრივ, ვერ ეტევიან ხოლმე), ხოლო ჩვენი ქალაქების ძირითადი მოსახლეობა ერთმა ჩემმა ნაცნობმა უცხოელმა (ისიც ვერ ჩაეტეოდა) განსაზღვრა, როგორც urbanized peasantry, ანუ "გაქალაქელებული გლეხობა".

თუ დროსა და სივრცეში ასე მოვნიშნეთ ჩვენი საცხოვრებელი ადგილი, არც ის უცნაური მოვლენები უნდა გვიკვირდეს, ხანდახან რომ ხდება ჩვენს კულტურაში, და არც მათი გადმოცემის უცნაური მანერა. ისე კი, საქართველოში მუდამ პატივს სცემდნენ ხოლმე წიგნის კითხვას, თუნდაც ხმამაღლა და საჯაროდ...

## ვწეროთ და ვიკითხოთ!

17 ივლისს გამოქვეყნდა მადი სერებრიაკოვას სტატია *დრამატურგები განუკითხაობის წინააღმდეგ*. სტატიიდან ზოგი რამ გაურკვეველი რჩება, ამიტომ მის გასაგებად აუცილებლად დაგვჭირდება 18 ივლისის ნომერში დაბეჭდილი ლაშა ბუღაძის "პრეს-პიესა" *"ოტელო", ანუ ქართველი რეჟისორი (ღვარძლიანი პიესა)*. ამ შემთხვევაში ჩვენ იმდენად საგაზეთო პუბლიკაციის ხარისხი კი არ გვაინტერესებს, რამდენადაც თვით მომხდარი ფაქტის შინაგანი მოტივაცია და შესაძლო ახსნათა სპექტრი.

მადი სერებრიაკოვას პუბლიკაციის დასაწყისში მოყვანილია ორი მაგალითი: საკუთარი პიესის სცენაზე სანახავად საბჭოთა კავშირში ჩამოდის ჟან პოლ სარტრი და მერე რეჟისორს ეხვეწება, გმირები არ დაუმატოს. თურმე "სცენაზე მას სცენარით გათვალისწინებულზე 15-ით მეტი გმირი დახვდა" (რომელი "სცენარით", — ვიკითხავთ ჩვენ, — ნუთუ პიესას კიდევ რაღაც "სცენარი" აქვს?); მეორე მაგალითი ართურ მილერია, რომელმაც მოსკოვურ დადგმაში საერთოდ ვერ იცნო თავისი პიესა. არაა დასახელებული არც რეჟისორები, არც თეატრები, არც პიესები. კეთილი და პატიოსანი, — მივიჩნიოთ ეს შესავალი ჩვენი ავტორისათვის საძულველ "ლიტერატურშჩინად" და განვაგრძოთ.

თურმე ივლისის შუა რიცხვებში სამეფო უბნის თეატრში შეიკრიბნენ ლაშა ბუღაძე, გოგოლა კალანდაძე, დათო საყვარელიძე და სხვები, რომლებიც სცენაზე განლაგებულ სკამებზე ჩამოსხდნენ და ხმამაღლა წაიკითხეს ლაშა ბუღაძის "პოლიტიკური პიესა".

სტატიაში ერთხელ გაკრთება მოვლენის სწორი განსაზღვრება, რომელიც აუცილებელი რედაქტორული შესწორების შემდეგ ასე გამოიყურება: დრამატურგიულ ტექსტში რეჟისორის მხრიდან სახიფათო ჩარევის წინააღმდეგ მიმართული აქცია. ძალიან კარგი. კი მაგრამ, ქართველ დრამატურგებს რა იმდენი რეჟისორი დგამს სცენაზე, რომ არც ერთი ასეთი სახიფათოდ დამახინჯებული სპექტაკლი ან ტექსტის უდიერად ხელმყოფელი რეჟისორი არ დასახელდეს? ნუთუ ისევ ჩვეული და, როგორც წელან ვაჩვენეთ, სოფლური ხატრიანობა მოქმედებს ჩვენს მილიონნახევრიან ქალაქში?

მაინც შევეცადოთ და აღვადგინოთ ხსენებული აქციის გამამართლებელი ან განმაპირობებელი რამდენიმე შესაძლო გარემოება, მადი სერებრიაკოვას სტატიასა და თვით ლაშა ბუღაძის პრეს-პიესაზე დაყრდნობით.

1) *ქართველი მსახიობი იმდენად უდისციპლინოა, რომ თავის როლს ვერ სწავლობს ზეპირად და არ შეუძლია, რამდენიმე სპექტაკლის განმავლობაში ერთნაირად ითამაშოს*. ამას გვაფიქრებინებს ლაშა ბუღაძის ღვარძლი მისი "ღვარძლიანი პიესიდან". იქ წარმოდგენილმა არც ერთმა მსახიობმა არ იცის კითხვა და ყოველი მათგანი იდიოტურობამდე პრიმიტიულია. მართალია, ჩვენს კულტურას პროფესიონალიზმის მიმართ გარდარეულ პატივისცემას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ ეს ვერსია მაინც დაუჯერებლად და აზრსმოკლებულად მიმაჩნია. მერე რა, რომ ჩვენი მსახიობების საჯარო გამოსვლებს დიდი სიბრძნე ვერ შევატყვეთ, მათ მოყირჭებულ "კურიოზებს" კი — გემოვნება, ზოგადად, ლაშა ბუღაძის მიერ "ღვარძლიან პიესაში" გამოყვანილი მსახიობის ტიპი მაინც უსამართლოდ გადაჭარბებული და არადამაჯერებელი მგონია.

2) *ქართველი რეჟისორი იმდენად ამბიციური და ამავე დროს უპასუხისმგებლოა, რომ...* კი ბატონო, მაგრამ მასაც ხომ შეიძლება ჰქონდეს თავისი გამართლება და საკმაოდ სოლიდურიც: იმპროვიზაციის გენია, რომლითაც სული უდგას თეატრს, მისი საკარნავალო ფესვები, რომლებიც ბუნებრივად ეწინააღმდეგება ყოველივე დაწერილსა და გახევებულს. გავიხსენოთ, რომ ოცდაათიოდე წლის წინანდელი ნაშრომის სათაური, რომლის წყალობითაც პირველად გაიჟღერა მსოფლიოში უმბერტო ეკოს სახელმა, იყო "ღია ნაწარმოები" — *Opera aperta*. თანდათანობით უფრო მატულობს ხელოვნების ნაწარმოების ღიაობა, ანუ მის ქმნადობაში სულ უფრო მეტად ერევა შემსრულებელი, ხშირ შემთხვევაში კი მომხმარებელიც. ვერც იმას ვიტყვით, რომ ამას ტრადიცია არ გააჩნია: სიზუსტისა და სიმკაცრის ეტალონი, იოჰან სებასტიან ბახი არპეჯიოების თხზვისას მხოლოდ ციფრებით უჩვენებდა ხოლმე საჭირო აკორდს, მისი რიტმული გაშიფვრა, ცოცხალ ფიგურაციად ქცევა შემსრულებლის ოსტატობასა და გემოვნებაზე ეკიდა. იგივე შეიძლება ითქვას ურიცხვი ინსტრუმენტული კონცერტების პირველი ნაწილებისა და ფინალების კადენციებზე, იტალიური ბელკანტოს ფიორიტურებზე და მრავალ სხვაზეც. რეჟისორი პიესის თუ არა, სპექტაკლის თანაავტორია, გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ! ესე იგი, თუ მარგველაშვილი შექსპირს ამახინჯებს, ეს მარგველაშვილის პრობლემაა, და არა შექსპირისა. შექსპირს ხომ ისეთი ტექსტი არ დაუწერია, რომ ორიგინალი გადაკეთებამ ვერ გააფუჭოს. ავტორის ჩანაფიქრის საჯაროდ გამოტანის ერთადერთი გამართლება მისი ტექსტის მხატვრული ღირებულებაა. და თუ რომელიმე ქართველი დრამატურგი ისეთ ტექსტს წერს, რომ გადაკეთების შემდეგ ეს ღირებულება დიდად არ იცვლება, ამაში რეჟისორს უკვე ნამდვილად არ მიუძღვის ბრალი. დრამატურგის წვლილი მშობლიურ კულტურაში უკვე განსაზღვრულია მის მიერ შექმნილი ტექსტის გამოქვეყნებით. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა.

3) *ქართველი დრამატურგები სპექტაკლის შემდეგ ატყობენ, რომ ტექსტებს დრამატულობა აკლია, რომ რეჟისორის მიერ შეტანილი ცვლილებები პრაქტიკული მიზეზებით გამართლებულია, რის გამოც საჯარო კითხვის საშუალებით ცდილობენ, ნამუსი ჩამოირეცხონ და ამგვარად ლამობენ საკუთარ ტექსტში დრამატულობის წარმოჩენას*. ამ წამოწყებიდან არა მგონია, რამე გამოვიდეს. ერთია ოპერის საკონცერტო შესრულება: აქ წამყვანი ძალა მუსიკაა, ამიტომაც თბილისის საოპერო თეატრში სპექტაკლების ნახვის შემდეგ მე და ჩემს მეგობრებს სურვილი გაგვიჩნდა, იგივე ოპერები საკონცერტო შესრულებით მოგვესმინა. მაგრამ დრამატული თეატრი სხვაა, და ამის მტკიცებას ახლა ვერ დავიწყებ. მახსოვს, ბავშვობაში ერთხელ "ჰამლეტი" თეატრში წასვლამდე წავიკითხე და მერე დაბრუნების შემდეგ. უნდა გითხრათ, სამი სხვადასხვა შთაბეჭდილება მივიღე, რომელთაგან არც ერთი არ სწევდა მეორის მაგივრობას. ასე რომ, სცენიდან ხმამაღლა წაკითხული ორიგინალური და უცვლელი ტექსტი სხვა არაფერი იქნება, თუ არა მისი ერთ-ერთი სცენური განხორციელება, თანაც მოსალოდნელთაგან ყველაზე ღარიბი და უსახური.



# ნიცასა და მარსელს კონკურენტი გამოუჩნდა



პარიზი

პარიზს უწინ მაღალი მოდის, სიყვარულის ქალაქი ერქვა. სოციალისტი მერის, ბერტრან დელანოს წყალობით, მალე ის კიდევ ერთ ტიტულს შეიძენს. თავად მერიც ამ ახალ პროექტს "ოდნავ გიჟურს" უწოდებს. საუბარია პარიზისთვის მართლაც უჩვეულო გეგმაზე, რომელიც გადასახადის გადამხდელებისგან აკრეფილი თანხით დაფინანსდა და მთლიანობაში 1.5 მილიონი ევრო დაჯდა. ამ თანხით პარიზის მერმა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, მდინარე სენას მარჯვენა სანაპიროს ავტოსტრადა პლაჟად გადააკეთა. როგორც ნამდვილ სანაპიროს შეეფერება, ისიც მთლიანად ქვიშითა და პალმებით არის დაფარული. აგვისტოდან იქ პარიზელები ქალაქიდან გაუსვლელად შეძლებენ მზის აბაზანების მიღებას, დასვენებას და ეგზოტიკურ დისკოთეკებზე გართობას. პარიზულ პლაჟზე განლაგებული იქნება 300-მდე შეზლონგი, 150 ქოლგა და ძველი პარიზული სტილის კაფე, რომლის სტუმრებიც თავს ცეკვითაც გაირთობენ. იქვე იქნება ნამდვილი დისკოთეკები, სანაპიროზე ივლიან კლოუნები, მუსიკოსები და ქუჩის მსახიობები, რომლებიც დამსვენებლებს საღამოს 11 საათამდე არ მოაწყენენ. "ჩვენი მიზანია, პარიზელებს მდინარის პირას დასვენებისათვის პირობები შევუქმნათ. თუმცა, სენაში ბანაობა აკრძალული იქნება", - აცხადებს პროექტის ერთ-ერთი დიზაინერი ჟან-კრისტოფ შობლე. ეს იმიტომ, რომ სენა ძალზე დაბინძურებულია და მასში ბანაობა ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. ახლად მოწყობილ სანაპიროზე ძაღლების მიყვანა აკრძალული იქნება. სისუფთავის დასაცავად კი გასართობ პარკს დღეში ორჯერ გაწმენდენ.

ამ ზომების მიუხედავად, მერის "გიჟურ" ინიციატივას ოპოზიცია უკვე აუხირდა. ქალაქის მუნიციპალიტეტის ოპოზიციურად განწყობილი წევრები ტყუილად გადაყრილ ფულზე წუწუნებენ. უკმაყოფილონი არიან ტაქსის მძღოლებიც. მათი აზრით, ავტოსტარდის გაუქმება ქალაქში უზარმაზარ საცობებს შექმნის. მერი კი აპირებს, ცენტრალური პარიზი ტრანსპორტისგან მთლიანად გაწმინდოს.

## სკანდინავიური კროსვორდი



## TV პროგრამა 22 ივლისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 60 წუთი. ჩვენი ეზო
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 ველური ბუნება
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 სასამართლო დარბაზი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "კომუნიკატორი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "მომენტო" მთ.როლებში: გაი პირსი, კერიენ მოსი

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "მამიკო კასტორის ამბები"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45 საკვირაო გამოფენა
13.00 ნაშუადღევს
14.05 "საწინდარი"
14.35 ცეკვავს ანსამბლი "იმერი"
15.15 სატ. კადარბაზი - "ალი ბაბა და 40 ყაჩაღი"
17.15 50/50 18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.00 ვიდეოპატრული
19.10 ენერგია
19.40 ბასტი-ბუბუ
20.55 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
21.45 "ჯაზის საღამო"
23.35 სერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ქართ. ფილმი "ხარება და გოგია"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "ქაიროს ლალი"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "ერთხელ ამერიკაში" (1-ლი ნაწილი)

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "აფრიკელი"
10.20 მხ.ფ. "პარფიუმი"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "დომინოს პრინციპი"
22.15 მხ.ფ. "მარიუსის უმანკო ჩასახვა"
00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მო" განმეორებით
13.00 ინფორმატორი
13.35 სარეკლამო ათეული
15.00 მხ.ფილმი
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "დიდი ვარცხნილობა"
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძირობანა
22.00 ევროპული ათეული
23.00 უცნობი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "დეტოქსიკაცია". მთ. როლებში: სილვესტერ სტალონე, ტომ ბერენჯერი
01.45 "ღამურა" მხ.ფ. "კარგი ბიჭები" მთ. როლებში: რობერტ დე ნირო, რეი ლიოტა, ჯო პეში
03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ბრონქსის ისტორია"
13.50 მხ.ფ. "ვარსკვლავური კარიბჭე"
15.50 მულტფილმი
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ინტუიცია"
19.20 სპექტრი
21.00 სერიალი "ჩრდილოეთი და სამხრეთი"
22.30 მხ.ფ. "9 იარდი"

### მეცხრე არხი

09.10 სად? რა? როდის?
10.00 "დილა"
11.45 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
12.35 მხ. ფილმი "პადი"
14.20, 17.15, 18.45, 21.00, 22.00, 00.20 მუსიკა
14.45, 15.15 მაცაცერა
16.45 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი"
17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-10 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-10 სერია
19.00 დისქავერი
20.00 გადაცემა რაგბი
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.15 მხ.ფ. "მსახიობები". მთ. როლებში ჟან პოლ ბელმონდო, ალენ დელონი, ჟერარ დეპარდიე
00.40 მხ.ფ. "კუზიანა ბეტი" მთ. როლებში ჯესიკა ლანჟი, ელიზაბეტ შუ

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 Новости в воскресенье
10.00 კომედია "რუსული ზაფხული"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ისტორიული მელოდრამა "ბაუნტი"
14.20 მხატვრული ფილმი "უსაზღვრო სიყვარული"
16.15 მულტფილმი
17.15 კომედია "ავტოფარეხი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 თრილერი "გადასახადის ამკრეფი"
20.05 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ჭა"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 თრილერი "მამის უფლება"
03.30 სათავგადასავლო ფილმი "იურული პერიოდის პარკი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 "პერიფერია"
09.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.30 "აჩიკუდა"
09.55 მოკლედ... სპორტი
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.25 მუსიკალური ტაიმაუტი
11.00 მულტსერიალი
11.15 "სახლიდან გაუსვლელად"
11.35 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი (განმეორებით)
12.30 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.55 დისნეი და მისი მეგობრები
13.15 "სახლიდან გაუსვლელად"
13.40 ამინდის პროგნოზი
13.40 ჰოროსკოპი
13.45 სპორტი
13.50 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.00 ანონსი
18.05 ამინდის პროგნოზი
18.10 პრესა
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.30 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.00 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.25 "ლა-ლა-ლა"
21.10 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი
21.15 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.35 მოკლედ... სპორტი
21.40 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.50 "სახლიდან გაუსვლელად"
22.15 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "კლდე". ა.შ.შ. 1998 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - მაიკლ ბეი. როლებში: შონ კონერი, ნიკოლას ქეიჯი.
00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.05 მუსიკალური ბიორითმი - ვალერი ლეონტიევი
01.25 მხ.ფ. ჟანრებში: - "სპეციალისტი კამელოტისთვის". ა.შ.შ. 1998 წელი. სათავგადასავლო. რეჟისორი - როჯერ იანგი. როლებში: ვუპი გოლდბერგი, მაიკლ იორკი.
03.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.15 "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.15 Царь горы
12.35 КОАПП
13.15 Сериал «ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО «ЛУННЫЙ СВЕТ»
14.15 Поле чудес
15.10, 20.20 "Ералаш"
15.20 Человек и закон
16.15 х.ф. "САМОЗВАНЦЫ"
19.20 "Кто хочет стать миллионером?"
20.30 х.ф. "ВСТРЕТИМСЯ У ФОНТАНА"
22.00 Время
22.35 Сериал "СКАРЛЕТ"
23.40 "Шутка за шуткой"
00.05 Сериал "АБСОЛЮТНЫЕ УБИЙЦЫ", "ПРАВДА О ХИЩНИКАХ"
01.00 Ночное "Время"
01.15 "Крах империи - Убийство Распутина"
02.05 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ".

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 17.45 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 17.40 Экспертиза РТР
08.25, 09.15, 15.20 Вести-спорт
09.15 "Хронограф"
10.10 Вести недели
11.05 Ток-шоу "Рядом с тобой"
12.20 х.ф."ДЕРЕВЕНСКИЙ ДЕТЕКТИВ "
14.10 Международный фестиваль искуств "славянский базар в Витебске"
14.30 Сериал "БЕТТИ"
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "дикий ангел"
17.10 "ДРУЗЯ - 5"
18.20 Международный фестиваль искуств "славянский базар в Витебске"
19.50 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.35, 00.20 Местное время. Вести-Москва
21.55 х.ф."ТРАНЗИТ ДЛЯ ДЬЯВОЛА"
22.55 х.ф." ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ЗАТЕРЕННАЯ ШАХТА".
00.00 Вести - Подробности
00.30 "НОЧНОЙ ДОЗОР".

### НТВ

9.50 "ОХОТА НА ЗОЛУШКУ" сериал
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 СЕГОДНЯ
11.25 "ОЧНАЯ СТАВКА" "Маугли на цепи"
11.55 "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА" сериал
13.20 "ЖЕНСКИЙ ВЗГЛЯД" Оксаны Пушкиной. Марина Анисина
13.50 "КУРОРТНЫЙ РОМАН" сериал
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня - "БЕСПРИЗОРНИКИ"
16.25 "КРИМИНАЛЬНАЯ РОССИЯ : ДОМОДЕДОВСКИЙ УПЫРЬ".
17.30 ПРОФЕССИЯ - РЕПОРТЕР "ЗОНА ОТЧУЖДЕНИЯ"
17.45 "ГЛУШИТЕЛЬ" боевик.
19.40 "КРИМИНАЛ"
20.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ИСПОРЧЕННЫЙ ТЕЛЕФОН"
21.45 Мелодрама "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА".
23.35 "СКОРАЯ ПОМОЩЬ - 4" сериал.
0.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ТЕМНОЕ ПИВО, ИЛИ УРОК АНГЛИЙСКОГО"
1.40 "О, СЧАСТЛИВЧИК!" азартная игра
2.15 "ДВОЙНОЙ ВИТОК" триллер. США

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"